

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არქეოლოგიის ინსტიტუტი

Sukhumi State University
Institute of Archeology

Сухумский Государственный Университет
Институт археологии

რეზო ხვისტანი

მასალები საქართველოს ქრისტიანული
არქეოლოგიისათვის

Rezo Khvistani

MATERIALS FOR CHRISTIAN
ARCHAEOLOGY
OF GEORGIA

Резо Хвистани

Материалы к христианской
археологии Грузии

თბილისი

Tbilisi

Тбилиси

2009

უპკ 903.7 (479.22)

ს-496

წიგნში თავმოყრილი და განხილულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ავტორის მიერ ბოლო წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილი ქრისტიანული ძეგლები. გაკეთებულია ამ მასალის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და მოხსენილია მათი ადგილი საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებს შორის.

წიგნი გამიზნულია სტუდენტებისა და საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. ვ. აფაქიძე

რეცენზენტი ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. ვ. ჯაფარიძე

In the book, there are collected and reviewed the Christian monuments exposed by the author in different regions as a result of the archaeological researches. There is made a typological-chronological classification of these materials and there is found their place among the archaeological culture of Georgia.

The book is aimed for the students and persons interested in the history of the material culture of Georgia.

EDITOR Phd. prof. J. Apakidze

REVIEWER Phd. prof. V. Japaridze

В книге собраны и рассмотрены выявленные автором на протяжении последних лет в результате археологических раскопок христианские памятники разных регионов Грузии. Проведена типолого-хронологическая классификация этих памятников и найдено их место в ряду археологических культур Грузии.

Книга рассчитана на студентов и лиц интересующихся историей материальной культуры Грузии.

РЕДАКТОР Докт. ист. наук Проф. Д. Апакидзе

РЕЦЕНЗЕНТ Докт. ист. наук Проф. В. Джапаридзе

© რევაზ ხვისტანი, 2009

© გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2009

ISBN 978-9941-0-1616-5

შესავალი

საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით მის მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში გაუნელებლივ ლვივის ინტერესი ჩვენში მიმდინარე არქეოლოგიური მუშაობისა და ახალ-ახალ აღმოჩენათა მიმართ. ამ ინტერესს საზოგადოების ჯანსაღი პატრიოტული სულისკვეთება ასაზრდოებს.

წინამდებარე წიგნში თავმოყრილია საქართველოს რეგიონებში (აფხაზეთი, სვანეთი, ქართლი) წინა წლებში ჩვენს მიერ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ქრისტიანული საკულტო ძეგლები, რომელთაგან ნაწილი წერილების სახით უკვე გამოქვეყნდა პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში, ნაწილი მოხსენებადაა წაკითხული სპეციალისტთა წრეში, ნაწილი კი პირველად ქვეყნდება. მათი ერთ წიგნში გაერთიანების მიზანი არის შესწავლილი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის კვლევის შედეგების ერთობლიობაში წარმოდგენა და შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა.

ჩვენი კვლევა აღნიშნულ განათხარ მასალაზე მსჯელობისას ძეგლის თავისებურებათა გარდა, ეყარება თანადროულ არქეოლოგიურ მონაცემებს, ძეგლის სტრატეგრაფიას, შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოცემულ განზოგადებას, აგრეთვე უახლეს ლიტერატურას, მათ შორის დღემდე გამოუქვეყნებელ საველე ანგარიშებსა და დღიურებს. აღნიშნული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველ ერს მოეპოვება ბევრი რამ, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის და რითაც მას თამამად შეუძლია შეავსოს მსოფლიო კულტურის საგანძური.

§1. ქრისტიანული ძეგლები ოქუმისწყალის ზემო წელზე (ღუმურიშის ეკლესია)

ოქუმისწყალის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლა, რომელიც წლების მანძილზე ინტენსიურად წარმოებდა, კომპლექსური ხასიათისა იყო და ემსახურებოდა ამ რეგიონის ისტორიის ნაკლებად გამოკვლეული საკითხების გაშუქებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ბარამიძე) საკვლევე კომპლექსური პრობლემის ერთ-ერთი რგოლი შუა საუკუნეთა მატერიალური კულტურა იყო.

საკვლევე ხეობა ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში, ეგრისის საერისთავოს (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით საბედიანოს) ნაწილი იყო. გვიან შუასაუკუნეებში იგი ჯერ სამეგრელოს სამთავროს ნაწილია, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან რუსეთთან შეერთებამდე კი სათავადო სამურზაყანოსი. თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით, აღნიშნული ხეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონში შედის.

ოქუმისწყალის, ვახუშტის მიხედვით დადისწყალის ხეობაში, შემორჩენილია ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის, შუასაუკუნეების სხვადასხვა ეტაპის ეკლესია-მონასტრები, ციხე-დარბაზები, ნასოფლარები და სხვა ძეგლები, რომლებიც დრო-ჟამისა თუ მტრის ხელით შემუსვრილია და დღეს ნანგრევებადაა ქცეული. ეს ძეგლები შუა საუკუნეებში ცხოვრების ძლიერ მაჯისცემაზე, ფეოდალურ ურთიერთობაზე, ქრისტიანული იდეოლოგიის ბატონობასა და მხარის მიერ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოში შეტანილ წვლილზე მეტყველებენ. ისინი ყურადღებას იმსახურებენ, ერთი მხრივ წმინდა მხატვრული თვალსაზრისით, მეორე მხრივ, როგორც მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების დონის უტყუარი საზომი. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო მატულობს, თუ მათ განვიხილავთ სოციალურ, პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ მოვლენათა სფეროში, რაც თავის მხრივ რეგიონის ისტორიული ცხოვრების მეტი სიციხადით წარმოდგენისათვის დამატებით

მონაცემებს იძლევა.

შუა საუკუნეებში ოქუმისწყალის ხეობიდან მიემართებოდა მრავალი გზა, რომლითაც იგი ეკონომიკურად და სტრატეგიულად მომიჯნავე რაიონებს უკავშირდებოდა. ხეობა სამთო გზა-გადასასვლელით ჩრდილო კავკასიასაც უკავშირდებოდა. აღნიშნული გზა-გადასასვლელი, რომელიც მთისა და ბარის დამაკავშირებელ არხს წარმოადგენდა, მიჰყვებოდა ბუნებრივად დაცულ წყალგამყოფ ქედებს – დადალძის, ჟებიშხას, აფშარას და ხოჯალს. აქედან მისიმიანეთის (დღევანდელი აფხაზეთის სვანეთი) გავლით, გზა მდ. კოდორის სათავეებისაკენ მიუყვებოდა და ნაჰარის უღელტეხილით (კარებით) ჩრდილოეთ კავკასიაში, უშგულანის ხეობაში, დღევანდელ ყარაჩაევო-ჩერქეზეთში ჩადიოდა. ხეობის ზედა წელზე მრავლადაა ადრეული ხანის ციხე-სიმაგრეების ნაშთები, რომლებიც მიგვანიშნებენ საციხისთავო ერთეულების შექმნაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზასაც აკონტროლებდნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ისტორიული გზებით გადაჰყავთ დღესაც საქონელი ალპურ საძოვრებზე. ეს გზა, თავის დროზე ალბათ დაკავშირებული იქნებოდა „დარინის გზასთან“, დიდ სავაჭრო მაგისტრალთან, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს აკავშირებდა.¹

გეოგრაფიული სახელწოდება „ღუმურიშ“-ი, ჩვენი აზრით, სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ტოპონიმია, სვანური „ღუმურ“ ნიშნავს ნაძვს, „იშ“ სვანური ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (სვან. „ღუმურიშ“-ი, ქართ. ნაძვისი), ნათესაობითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ტოპონიმები ყველა ქართველურ ენაში დასტურდება, მაგ. ქართ. თბილის-ი, მეგრ. ჯიხა-იშ-ი, სვ. ხა-იშ-ი და სხვ.

საკვლევე ძეგლი მდებარეობს სოფ. ღუმურიშის ჩრდილო-დასალოეთით, სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით, მდ. ოქუმისწყალის მარჯვენა ნაპირზე, მცირე ხეობის სიღრმეში, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე, ადგილ «საგერგაიოში». ადგილობრივმა

¹ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 236-237.

მოსახლეობამ არ იცის თუ ვის სახელზეა ეკლესია აგებული და როდის იმართებოდა იქ დღეობები. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საგერგაიოში ახალი მოსახლეობის გაჩენის დროისთვის (XVIII ს.) ეკლესია შეიძლება უკვე მწყობრიდან იყო გამოსული და აღარ ფუნქციონირებდა.

ეკლესიის ეზო რიყის ქვით ნაგები წრიული კონფიგურაციის გალავნით ყოფილა შემოფარგლული, რომლისგანაც ამჟამად მხოლოდ მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. გალავნის შესასვლელი ამჟამად არ ჩანს. ადგილის რელიეფისა და მისასვლელი გზის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, კარი გალავანს სამხრეთიდან ექნებოდა მოწყობილი.

აღნიშნული ძეგლი 1959 წელს ვიზუალურად აღწერა არქეოლოგმა მ. თრაფშმა.¹ აღნიშნულმა მკვლევარმა ძეგლის არქეოლოგიურ გამოკვლევამდე მისი დათარიღებისაგან თავი შეიკავა.

არქეოლოგიურ სამუშაოებს ღუმურიშში საფუძველი ჩაეყარა 1986 წლის გაზაფხულზე, რაც განაპირობა ძეგლიდან მომდინარე, მოყვარულ მხარეთმცოდნე ნ. შონიას მიერ 1955 წელს აქ აღმოჩენილმა, XI საუკუნით დათარიღებულმა, სოხუმის მუზეუმში დაცულმა კირქვის ფილამ, რომელზეც ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამის ტაძრისა მაშენებელი დეოფალოთ-დეოფალი საგლეხტ, ნიანის ასული, ამენ“.² არქეოლოგიური სამუშაოები ღუმურიშში დამთავრდა 1989 წელს.

ფერდი, სადაც მდებარეობს ეკლესია, მოიცავს დაახლოებით 800 კვმ მიწის მოვაკებულ თუ ხელოვნურად მოსწორებულ ტერიტორიას. დროთა განმავლობაში ეკლესიის შემორჩენილი კედლებისათვის, როგორც შიგნით, ისე გარეთ, შემოუცლიათ პერანგი, რომელიც მოსახლეობას გამოუყენებია სამშენებლო თუ საბუნრე ქვებად.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიყო ორი სამშენებლო პერიოდი. ზედა სამშენებლო დონის ეკლესია დაფარული იყო

მცენარეული საფარით, რომელთა ფესვები ჩაღწეული იყო იატაკამდე და ასახავდა მისი გაუკაცურების მთლიან პერიოდს. გაწმენდის შემდგომ გამოვლინდა ნაყარში ჩამჯდარი დარბაზული ეკლესიის კედლები (4,5X7,5), რომელთა შემორჩენილი სიმაღლე ერთიდან ორ მეტრამდეა. დარბაზის გეგმა წარმოადგენს წესიერ სწორკუთხედს, რომლის მხრებით გამოყოფილი აბსიდა აღმოსავლეთის მხარეზე გარედან, სწორ კედელშია ჩაწერილი. დარბაზი შუაზეა გაყოფილი საფეხურედი პილასტრებით. აბსიდის მოედანი იატაკის დონიდან ამალელებულია თანაბარი, სამუშალო ზომის კირქვის კვადრებით, რომელიც ზემოდან კირის ხსნარითაა მოსწორებული. აბსიდის ცენტრში კედელზე მიდგმული საკუთხეველის ფუძის კირქვის კვადრია შემორჩენილი. დარბაზის დასავლეთ და სამხრეთ კედლებში კარებია გაჭრილი. დარბაზის იატაკიც კირის ხსნარითაა მოსწორებული. (ტაბ. I) დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ერთი მეტრი სიმაღლისა და ნახევარი მეტრი რადიუსის მქონე ქვევრია ჩადგმული. კონქში, ხმის გასაძლიერებლად, თიხის ჭურჭელი ყოფილა მოთავსებული. კედლის კონსტრუქცია ორმხრივი მოპირკეთებისა და მის შუა ამოვსებისაგან შედგება.

ზედა სამშენებლო დონის მწირი კერამიკული მასალიდან ყურადღებას იპყრობს უცხოური ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები, ჭურჭელს მკვეთრად გამოყოფილი მაღალი ქუსლი ჰქონია. ორნამენტი შედგენილია მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით. მწვანე, თეთრი, ლურჯი და შავი საღებავებით შესრულებული ხაზები დახვეწილია. მისი მხატვარი, ჩანს კარგად იცნობს თავისი დროის ტრადიციებს. ჭურჭლის ფრაგმენტი მაღალი ხარისხისაა, ნატიფია, კეცი მკვრივია, გამოძვარია მოთეთროდ, ძლიერ წმინდა სტრუქტურის მასალისაგან (ტაბ. II.4). ჭურჭლის აღდგენა და დათარიღება ხერხდება გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ, ანალოგიურ, XVII საუკუნით დათარიღებული ჭურჭლის მიხედვით.

ქვედა სამშენებლო დონის ნაგებობის ნაშთები უფრო ფრაგმენტულია, რომელმაც, ალბათ, დაზიანება განიცადა მომდევნო სამშენებლო დონეზე წარმოებული საქმიანობის დროს. იგი საგრძნობლად დაუზიანებიათ სამრახებსაც. მიუხედავად ამისა, ნაგებობის მიწისქვეშ

¹ Трапш М.М. Труды, т. 4, Сухуми, 1975, გვ. 208.

² ქართული ლაბიარული წარწერების კორპუსი II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 126.

მოქცეული საძირკველი, რომელიც შედგენილია რიყის ქვისა და კირის ღულახისაგან, თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი, რომლითაც ძველის ნაწილობრივი სურათის წარმოდგენა შეიძლება. მისი ხუროთმოძღვრული კომპოზიცია ასეთია: დაგრძელებულ შიდა დარბაზულ სივრცეს სამხრეთიდან სივრძივ ღერძზე განვითარებული, ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მასათა აგებულებით დაქვემდებარებული სათავსო ემიჯნება, რომელიც დარბაზის გრძივი ღერძის მიმართ მეორე, განივ ღერძს ქმნის. დასავლეთის მხრიდან დარბაზს კიდევ ერთი სათავსო (სტოა?) ჰქონია მიშენებული. დარბაზის გეგმა გარედან სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ ძლიერი მხრებით გამოყოფილი, ფართო აბსიდა ჩაწერილი. დარბაზს, როგორც აღნიშნეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მინაშენი აქვს, აღმოსავლეთის მხარეზე იგი დარბაზის გარე ხაზს უსწორდება და ამიტომ შენობის საერთო აბრისში საფეხურადაა შეწყული (ტაბ. I). დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია კირისა და თიხის ნაზავისაგან შემდგარი იატაკის ფრაგმენტი.

ღუმურის ქვედა სამშენებლო დონის ეკლესია მიეკუთვნება ქართული დარბაზული ხუროთმოძღვრების თავისებურ ტიპს, ე.წ. ერთნავიან დარბაზულ ეკლესიას. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტიპის ეკლესიაში აბსიდის ჩრდილოეთით, ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული სათავსოა გამოყოფილი, რომელიც ძირითად ნავთან შედარებით მოკლე მოცულობითი ფორმისაა, რის გამოც შესაბამის ფასადზე საფეხუროვანი გადასვლა იქმნება. მსგავს ეკლესიებში ნაგებობის ძირითად ბირთვის სხვადასხვა მხარეს ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მასათა აგებულებით დაქვემდებარებული მინაშენები ემიჯნება (ცხისი, ტამალა, გარბანი, ჩხორთოლი, ხვილიშა, ბზიანა II, მღვიმე და სხვ.).

ქვედა სამშენებლო დონის ნაგებობაში ყურადღებას იქცევს ეკლესიის გეგმის დამახინჯება, სამხრეთის სათავსოს საერთო გეგმიდან გადახრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომლის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მშენებლის შეცდომა. ეკლესიის სამხრეთი ნაწილისა და ხელოვნურად მოსწორებული ეზოს დაბლა ჩამოწოლა

ნიადაგის ეროზიული ცვლილებებისაგან უნდა იყოს გამოწვეული.

კომპოზიციური სქემით, ხუროთმოძღვრული ფორმებითა და სამშენებლო მასალით ღუმურის ქვედა სამშენებლო დონის ერთნავიან დარბაზული ეკლესია, მსგავსებას ქართლის, ჯავახეთის, არაგვის ხეობისა და რაჭის ძველებთან ავლენს. იგი მთლიანად XI-XV საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ხაზს აგრძელებს.

ქვედა სამშენებლო დონეზე გამოვლენილ არქიტექტურული დეტალების მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესიის მხატვრული შემკობისათვის დამახასიათებელი ყოფილა ცხოველხატულობა, დინამიურობა, დეკორატიული გაფორმების სიმდიდრე. რაც XI საუკუნეში ქართული საკულტო ხელოვნებისათვის „მხატვრული შთაბეჭდილების საფუძვლად იქცევა“.¹ კარნიზები, სარკმელთა საპირეები და სათაურები შემოკბილი ყოფილა ქვაზე ნაკვეთი სახეებით. ფასადთა კომპოზიციაში ჩართული ყოფილა ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები. ეს მორთულობა ეკლესიის, როგორც ხუროთმოძღვრული ნაწარმოების სრულყოფილებიანი კომპონენტი ყოფილა, სადაც ჩრდილ-ნათელის დაპირისპირებით გაცოცხლებულ, პლასტიკურ ჩუქურთმაში განსაკუთრებულ როლს მცენარეული სახეები თამაშობს. (ტაბ. II, 6, 7, 8, 9).

კერამიკული მასალა ქვედა სამშენებლო დონეზეც მწირია, მათგან ყურადღებას იქცევს ქვევრების ყელ-პირის ნაშთები, საოჯახო, სასუფრე ჭურჭლის ნატეხები და ქოთნების ფრაგმენტები.

მასალის გამოწვის, დამუშავების ტექნიკისა და ორნამენტაციის მიხედვით, კერამიკული მასალა ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის ნატეხები ნორმალურად გამომწვარია, წითელი ფერისაა, თიხა რბილია, სუფთად განლექილია, პრიალა ან დაშტრიხულია, კორპუსი პირის გვორგვინის ქვემოთ შემკულია ე.წ. „ნათითურებიანი“ სარტყლით. მეორე ჯგუფის ნატეხების ფერი მორუხო-მოწითალოა. თიხა უხეშია, ცუდად განლექილი და არასაკმარისად გამომწვარია.

სამხარეულო კერამიკაც ნატეხებითაა წარმოდგენილი (პირისა და კედლის ნატეხები, ყურები, ძირები). აღნიშნული ჭურჭლის თიხა

¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 48.

მსხვილმარცვლოვანი და მინარევებიანია (ქარსი, ქვიშა, კვარცი), უმეტესწილად ცუდადაა განლექილი და კეცი არათანაბრადაა გამომწვარი.

ლუპურიშის ქვედა სამშენებლო დონის ანალოგიური კერამიკული მასალა ცხუმისა და ანაკოფიის ციხეებზე XI-XV საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში გვხვდება.¹

ქვედა სამშენებლო დონის ეკლესიას მიეკუთვნება რკინის საკეტები და გრძელი, მრგვალოთაიანი ლურსნები, რომელთაც მრავლად მოეპოვებათ ანალოგიები დასავლეთ საქართველოში.

ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით, გალავნის გარეთ, 20 მ სიგრძის, რიყის ქვით მშრალად ნაწყობი კედლის ფრაგმენტი გამოვლინდა, რომელიც უშუალოდ გალავნიდან იწყება.

XVI-XVII საუკუნეებში საგერგაიო რომ ძლიერი სამოსახლო ყოფილა, ეს ნათელჰყო ეკლესიის გალავანშემოვლებულ ეზოში გამართული სამაროვნის შესწავლამ. გათხრებმა ცხადჰყო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში აქაურობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. სამარხების ერთადერთი ტიპი – ორმოსამარხებია. დამარხვის წესები აქაც ისეთივეა, როგორც საერთოდ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში. სამარხეულ ინვენტარში ძირითადად ერთი და იმავე სახის ჭურჭელი, ხელაღებია (ტაბ. II, 2, 3). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მიცვალებულთა ჩასაყოლებლად მხოლოდ ერთი ტიპის ჭურჭელს იყენებდნენ, რაც რელიგიური მოტივებით უნდა აიხსნას, ვიდრე ეკონომიკური ფაქტორით.

სამარხეული ინვენტარიდან ყურადღებას იქცევს გრძელყელიანი უცხოური მინის ჭერჭლის ფრაგმენტები, რომელიც სოხუმის მუზეუმში დაცული ანალოგიური ჭურჭლის მიხედვით, XVII საუკუნით თარიღდება. (ტაბ. II, 5).

ამგვარად, არქეოლოგიური გათხრებით და ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ XI საუკუნეში აუშენებიათ ერთნაიანი დარბაზული ეკლესია სამხრეთის მინაშენითა და კარიბჭით (12X14), რომელიც XV საუკუნეში წყვეტს არსებობას. XVI საუკუნეში მის ადგილზე აუშენებიათ მცირე დარბაზული ეკლესია (4,5X7,5), ეკლესიის

¹ Трапш М.М. Труды... გვ. 131, ნახ. 46-47.

გალავანშემოვლებულ ეზოში კი სასაფლაო გაუმართავთ. XVII საუკუნის დასასრულიდან, როცა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ჩამოწოლის გამო ადგილობრივი მოსახლეობა იზიზნება, აღნიშნული ეკლესია და სასაფლაოც აღარ ფუნქციონირებენ.

ზემოთ აღნიშნული წარწერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. მკვლევართა მსჯელობის საგანი არც საგდუხტ „დეოფალთადეოფლის“ ვინაობის დადგენა გამხდარა.

ჩვენი აზრით, საგდუხტის ტიტულის (დეოფლის) გვერდით, მამის სახელის მოხსენიება იმის მიმანიშნებელია, რომ მისი ჩამომავლობა მამის მხრიდან სოციალურად მეფის რანგისაა. შესაძლოა ნიანია მეფის გვარის ჩამომავალია.

როგორც ცნობილია, ნიანია ქვაბულის ძემ, თავი ისახელა რანის სულთან ფადლონის ქართლიდან განდევნაში.¹ 1073 წელს ნიანია ქვაბულის ძე ივანე ლიპარიტის ძისა და სვანთა ერისთავ ვარდანთან ერთად გადაუდგა გიორგი მეორეს, დაიპყრო ქუთაისი და ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ხაზინა. მეფე სხვას ვერაფერს გახდა, გარდა იმისა, რომ მეამბოხეებს წყალობა და მამულები გაუმრავლა.²

XI ს-ის საქართველოს მეფეების თანამეცხედრების სახელები, გარდა გიორგი მეორის თანამეცხედრის სახელისა, ცნობილია. ლუპურიშის ეკლესიის ქტიტორის, ნიანიას ასულ საგდუხტის სახით, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს გიორგი მეორის თანამეცხედრესთან, დავით აღმაშენებლის დედასთან.

საკვლევ პერიოდში ოქუმისწყალის ხეობის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ იგი ცალკე ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარების ამსახველი უნდა იყოს ლუპურიშის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული, ხეობის განმგებელი, დედოფალთ-დედოფალი საგდუხტი.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამავე ხეობაში, სოფელ

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 310.

² მითით. ლიტ. გვ. 315-316.

წარჩევი შემორჩენილია დარბაზული ეკლესიისა და გალავნის ნაშთები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „მაფაშ ოხვამე“-ს უწოდებს, რაც დედოფლის სალოცავს ნიშნავს. აქვეა წყარო, რომელსაც „მაფაშ წყურვილს“ (დედოფლის წყარო) უწოდებენ. აღნიშნული სახელწოდებები დაკავშირებულია ადგილობრივ მოსახლეობაში სხვადასხვა ვარიანტით შემორჩენილ ლეგენდასთან, რომლის მიხედვითაც ამ მხარეს ოდესღაც დედოფალი განაგებდა.¹

§2. ჩხორთოლის ეკლესია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გეგმაზომიერი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩაატარა გალის რაიონში. ექსპედიციის საკვლევი პრობლემის ერთ-ერთი მიმართულება, როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, შუასაუკუნეთა მატერიალური კულტურის შესწავლა იყო.

ექსპედიციის მიერ წლების მანძილზე ინტენსიურად წარმოებულ სამუშაოების პროცესში გამოვლინდა შუასაუკუნეების მრავალი არქეოლოგიური ძეგლი, ზოგიერთ მათგანზე გაკეთდა სადაზვერვო თხრილები, შეირჩა პირველ რიგში გასათხრელი და შესასწავლი ძეგლები, შესწავლილ იქნა რამდენიმე ნაეკლესიარი, შეგროვდა და დამუშავდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა. გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ფიჩორის არქეოლოგიურ ბაზაზე დაცული ეს უახლესი არქეოლოგიური კოლექციები, რომელთა ნაწილი კამერალურადაც კი არ იყო დამუშავებული, სამწუხაროდ, აფხაზეთში ბოლო წლებში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეიწირა.

ექსპედიციის მიერ წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ რეგიონი გაჯერებულია ქრისტიანული საკულტო ძეგლებით, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ადრე შუასაუკუნეების ადრეული ეტაპიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით ეტაპს მოიცავს.

რეგიონში გამოვლენილ ქრისტიანულ საკულტო ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება ექსპედიციის მიერ 1985-86 წლებში შესწავლილი ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია,¹ რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

სოფელი ჩხორთოლი მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობის ჩრდილო-დასავლეთით, გალიდან 26 კმ-ის დაშორებით, მდინარეების

¹ Шервашидзе Л.А. Монументальная живопись Абхазии, Тб., 1980, გვ. 163.

¹ Барамадзе М.В. Чигошвили Т.Е. Фхакадзе Г. Квирквелия Г.Т. Джибладзе Л.В. Хвистани Р.Г. Археологические исследования в Гальском районе в 1986-87 гг. Археологические открытия Абхазии, Тб., 1987, гв. 17.

– ოხოჯესა და ოქუმისწყალს შორის. საკვლევი ეკლესიის ნანგრევი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან 5 კმ-ის მანძილზე, მდ. ოხოჯეს შენაკად ჯუხუს სიღრმეში, მდინარის მარცხენა მხარეზე, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე.

საკვლევი ძეგლის შესახებ ისტორიულ მატრიანებში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (XVII ს.) ჩხორთოლის ჩრდილო მხარეზე, მთის ძირში, აღნიშნულია ნანგრევი და ამ პუნქტის სახელწოდება – „გირპიგ“-ი. იმავე ადგილასაა აღნიშნული ნანგრევი ხუთვერსიან (გენშტაბის) რუკაზეც.

ჩხორთოლის ცენტრში დაცული ეკლესია XIX-XX სს. მიჯნაზეა აშენებული ადგილობრივი თავადებისა და ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნაციხარების „ჯიხა“-სა და „ჯოტომ ჯიხა“-ს კომპლექსებში მოქცეულ, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილ მცირე სამლოცველოების ნაშთებს, საკვლევი ძეგლის გარდა, სოფლის ტერიტორიასა და მის მახლობლად სხვა ეკლესია არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ რუკებზე მითითებული ნანგრევი ჩხორთოლის ეკლესია უნდა იყოს.¹

სოფლის სახელწოდება „ჩხორთოლ“-ი, ჩვენი აზრით მეგრული „ჩხორთოლ“-იდან (ქართული ცხრა თვალი) უნდა მომდინარეობდეს, რაც შეიძლება დაუკავშირდეს სოფლის ტერიტორიასა და მის შემოგარენში განფენილ სამეთვალყურეო ციხეებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ სამთო-სამესაქონლო გზა-გადასასვლელს აკონტროლებდნენ.² ცხრა რიცხვიდან ნაწარმოები ტოპონიმები ქართველურ ენებში მრავლადაა, მაგ., ქართ. ჩხორეთი, სვან. ჩიხარეში, მეგრ. ჩხოროწყუ და სხვ. ლამბერტის მიერ აღნიშნული სახელწოდება „გირპიგ“-ი შესაძლოა მეგრ. „ჟინ პიჯ“-ის (ქართული – ზედა ნაპირი) ლათინური ტრანსფორმაცია იყოს.

¹ ხვისტანი რ. ოქუმისწყალის ხეობის ქრისტიანული ძეგლები, საისტორიო ძეგანი, №2, თბ., 1999, გვ. 240.

² ხვისტანი რ. ქრისტიანული ძეგლები ოქუმისწყალის ზემო წელზე (დუმურიშის ეკლესია), ძეგანი, №2, 1998, გვ. 88.

ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის, როდის იმართებოდა საკვლევი ეკლესიაში დღეობები და ვის სახელზეა აშენებული იგი. უფრო მეტიც, ნაეკლესიარს ისინი „ჯიხა“-ს (ქართ. ციხე) – უწოდებენ. აღნიშნული ფაქტი იმის საბუთია, რომ ჩხორთოლში ახალი მოსახლეობის გაჩენის დროისათვის ეკლესია აღარ ფუნქციონირებდა.

ეკლესიის ნანგრევი ხეებით, ბუჩქებითა და კოლხეთისათვის დამახასიათებელი გაუვალე ეკალ-ბარდით იყო დაფარული. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ძეგლი რომელიც არცთუ ისე შორსაა დასახლებული პუნქტიდან, არა მარტო შეუსწავლელი იყო, არამედ მკვლევართა თვალთახედვის მიღმა იყო დარჩენილი. ძეგლზე მცენარეული საფარის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა მიწის ზედაპირზე შემორჩენილი ეკლესიის ეზოს შემომფარაველი წრიული კონფიგურაციის მშრალად ნაწყობი ქვის გალავნის ფრაგმენტები, გალავნის აღმოსავლეთ კედელთან მიახლოებული ეკლესიის ჩრდილო კედლის ნანგრევი და გალავნის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით, ქვის უზარმაზარ მონოლითზე ნაგები ოთხკუთხა კოშკის ნაშთები (ტაბ. III, 1).

არქეოლოგიური სამუშაო, ობიექტური მიზეზების გამო ამჯერად ეკლესიის გაწმენდით შემოიფარგლა. ეკლესიის ეზოში საგულეველი სამაროვნისა და ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე შესაძლო ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრა სამომავლოდ გადაიდო.

ეკლესიის ნანგრევზე ასეულ წლობით მცენარეთა ღვინისა და დანგრეული კედლებისაგან მიღებული 1 მ-დან 3,5 მ-მდე სიმაღლის „ფენის“ მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ოთხკუთხა ნაგებობის მიწისქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლების ფრაგმენტები. გამოიკვეთა სამნაწილიანი ეკლესიის გეგმა (ტაბ. III, 2, 3), რომლის ცენტრალური სათავსო (12X8) გარედან სწორკუთხა მოყვანილობისაა, სადაც აღმოსავლეთ ნაწილში საკმაოდ ძლიერი მხრებით, ფართო, ნალისებური აბსიდაა გამოყოფილი.

აბსიდის მოედანი (არდაბაგი) სათავსოს (დარბაზის) იატაკის დონიდან შირიმის კვადრებისაგან გამოყვანილ ორი საფეხურითაა (საფეხურის სიმაღლე – 18 სმ, სიგანე – 15 სმ) ამალეული, რომელიც დარბაზს ჩრდილო კედელზე მიდგმულ, შირიმის კვადრე-

ბისაგან გამოყვანილ სამსაფეხურიან (საფეხურის სიმაღლე – 15 სმ) კიბით უკავშირდება.

აბსიდის მოედანზე კედლიდან 1 მ-ით დაშორებული, შირიმის კვადრებისაგან შემდგარი ოთხკუთხა, შეღესილი საკურთხევლის (ტრაპეზის) ქვედა ნაწილია (სიმაღლე – 44 სმ, სიგრძე – 1 მ, სიგანე – 71 სმ შემორჩენილი. ხუროთმოძღვარს გამოუყენებია ადგილზე დახვედრილი, მიწაში ურყევად ჩამჯდარი დიდი ქვა, რომელიც მოხდენილად ჩაუსვია აბსიდის კედლის ცენტრში, საკურთხევლის უკან. აბსიდის კედელზე გაყოლებულია შირიმის კვადრებისაგან შემდგარი შეღესილი საფეხური (ჩამოსაჯდომი, მერხი), რომლის სიმაღლეა 40 სმ, სიგანე კი 30 სმ.

დარბაზის ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნაწილში ვიწრო ღიობია დატოვებული კარებისათვის, რომლითაც იგი ჩრდილო სათავსოს უკავშირდება. დასავლეთის კედლის ცენტრშიც ღიობია (სიგანე 1 მ და 1,5 სმ) დატოვებული კარებისათვის. ორივე კარის წირთხლი შირიმის კვადრისაგანაა გამოყვანილი. დარბაზისა და აბსიდის მოედნის იატაკი კირისა და ქვიშის ნაზავის ხსნარის სქელი ფენითაა მოსწორებული.

ჩრდილო, აბსიდიანი სათავსო (8X4) აღმოსავლეთის მხარეზე დარბაზის გარე ხაზს უსწორდება და შენობის საერთო აბრისში დასავლეთის მხარეზე საფეხურადაა შეწყული. იატაკი აქაც კირის ხსნარისა და ქვიშის ნაზავითაა მოსწორებული.

დასავლეთის სათავსოს (4,5X8) დასავლეთის კედლის ცენტრში შესასვლელისათვის ღიობია (1 მ და 15 სმ) დატოვებული, რომლის წირთხლად გრძელი, დამუშავებული ქვაა გამოყენებული. იატაკი აქ თიხატკეპნილია.

დარბაზისა და ჩრდილო სათავსოს კედლები (სისქე 1 მ) გარდა დარბაზის შემორჩენილ ჩრდილო კედლის პილასტრებს შორის მოქცეული ნაწილებისა, სადაც წყობაში შირიმის კვადრებს საგულდაგულოდ დამუშავებული ქვებიც ურევია (რაც ალბათ თავიდანვე შესაღესად იყო გათვალისწინებული), ნაგებია შირიმის კვადრების ორი პარალელური რიგით, მათ შორის სივრცე ამოვსებულია წვრილი ქვით. კირისა და ქვიშის ხსნარით. თითოეული

რიგის სიმაღლე მერყეობს 0,35 მ-დან 0,4 მ-მდე. კვადრების სისქე საშუალოდ 0,15 – 0,2 მ-ია.

დასავლეთის სათავსოს კედლების საშენად გამოყენებულია ფლეთილი ქვა და კირისა და ქვიშის ხსნარი.

ცენტრალურ სათავსოში, ნაყარში, დაფიქსირდა სქელკეციანი ქვევრის ნატეხები, მოწითალო ფერის გვერდებაკეცილი კრამიტის (აკეცილი გვერდის საშუალო სიმაღლე 5 სმ, კეცის სისქე – 1,5 სმ) ნატეხები, წითლად შეღებილი ბათქაშის ფრაგმენტები და შირიმის არქიტექტურული დეტალები (პილასტრის საფეხურები, კამარის ნაწილები და სხვა). ამავე სათავსოში, აბსიდის ნაყარში დაფიქსირდა ნიშებისა (თაროების) და სარკმლის სათაურისა და ფუძის ქვები. აბსიდის მოედნის იატაკზე აღმოჩნდა თხელკეციანი თიხის ჭურჭლის უსახო ნატეხები. დასავლეთის სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკზე გროვად ეწყო ირმისა და არჩვის რქები.

სამნაწილიანი ეკლესიის ცენტრალურ სათავსოსა (დარბაზის) და მასთან ჩრდილო, შემებე კედელში მიერთებული სათასოს გეგმის შიგნითაა ლაკონური და უბრალო მოხაზულობა ემთხვევა გარეთა მოხაზულობას და არავითარი კონსტრუქციული გაუმართაობა მათ შორის არ შეინიშნება. იდეალურად მოხაზული ნაღისებური აბსიდა მწყობრი, ტანადი მხრებით ეკვრის კედლის სვეტებით დანაწევრებულ დარბაზს. შენობის ორივე ნაწილი ერთდროულად, ერთნაირი მასალითა და სამშენებლო ტექნიკითაა აშენებული. შეერთების ადგილას არ შეიმჩნევა რაიმე ნაკერი, სათავსოებს საფასადო მხარეს, ირგვლივ ერთსაფეხურიანი (სიმაღლე – 20 სმ) შირიმის კვადრების ზედიერკველი შემოუყვება.

აღნიშნული სათავსოების კედლები ორმხრივი, მონოლითური მოპირკეთების მაღალი მხატვრულ-ტექნიკური ხერხითაა შესრულებული, სადაც შირიმის კვადრების ორ პარალელურ რიგს შორის წვრილ ქვას აწყობენ და ზემოდან კირის ხსნარს ასხამენ. კვადრები ისე საგულდაგულოდ, გულდასმითაა ერთმანეთზე მორგებული, რომ ხსნარი გარეთ არ იღვრება. სიმძიმის მასის ძირითად დატვირთვას არა გარეთა კვადრები, არამედ მათ შორის სივრცის შემვსები ღულაბი ღებულობს. შირიმის კვადრები მხოლოდ ერთგვარი, „შეფიცვრის“, მოპირკეთების

როლს ასრულებენ.

ეკლესიის დასავლეთის სათავსოს ჩრდილო და სამხრეთი კედლები ცენტრალურ სათავსოს დასავლეთ კედელზე სამშენებლო ნაკერითაა გადაბმული. სათავსოს ასიმეტრიული ზომები და პროპორციები არ ჯდება ნაგებობის საერთო გეგმაში.

როგორც ვხედავთ, მასალის, სამშენებლო ტექნიკისა და კომპოზიციური სქემის მიხედვით, ძეგლზე აშკარად გამოირჩევა განსხვავებული სამშენებლო პერიოდები.

დარბაზის აბსიდის მოედანზე დაფიქსირებული სასუფრე ჭურჭლის უსახო ნატეხების ზედაპირი გაპრიალებულია, მაღალი ხარისხისაა, წმინდა სტრუქტურის თიხისაგანაა გამოძვარი მოთეთრო-მოყვითალოდ, შიგნითა პირი დამტრინხულია, გარეთა პირი კი მოწითალოდაა შეღებილი. ქვევრების, რომლებიც ალბათ კედელში ხმის გასაძლიერებლად იყო ჩადგმული, ნატეხები ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის ნატეხები გამოძვარია მსხვილმარცვლოვან, მინარევებიან, ცუდად განლექილ მოწითალო თიხისაგან, პირის გვირგვინებს სწორი, მაღალი ყელი აქვთ, ყელის ძირში ე.წ. „ნათითურებიანი“ სარტყელი შემოუყვებათ. მეორე ჯგუფის პირის გვირგვინების ნატეხებს დაბალი ყელი აქვთ, რომელსაც ძირში ღრმა ფოსოები მიუყვება (ტაბ. III,4). ანალოგიური კერამიკა დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში. მსგავსი კერამიკა ანაკოფის ციხეზე VII-X საუკუნეებით დათარიღებულ ფენებში გვხვდება.¹

არქეოლოგიურ მასალაში კრამიტის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩხორთოლის ეკლესია კრამიტით ყოფილა გადახურული. კონსტრუქციის მიხედვით, ეკლესიას ორქანობიანი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

ეკლესიის დასავლეთის სათავსოს იატაკზე დაფიქსირებული ირმისა და არჩვის რქები მონადირეების შენაწირი უნდა იყოს. როგორც ცნობილია, მონადირეები წმინდა გიორგის განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, მისი სახელობის ეკლესიებს სწირავდნენ

ნანადირევის რქებს, ისრისპირებს, ბოძალებს და სხვა ნივთებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩხორთოლის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა იყო.

აბსიდაში გამოვლენილი წითლად შეღებილი ბათქაშის ფრაგმენტების მიხედვით დგინდება, რომ კონქი მხატვრობით ყოფილა შექმული. აბსიდას ჩრდილო და სამხრეთ კედლებში ნიშები, ხოლო აღმოსავლეთ კედელში სარკმელი ჰქონია, რაზეც აქ გამოვლენილი ნიშებისა და სარკმლის ფუძე და სათაური ქვები მეტყველებენ.

როგორც ვხედავთ, ჩხორთოლის არქეოლოგიური მონაპოვარი ძალიან მწირია, ამიტომ ძეგლის დათარიღებისათვის წინა პლანზე მისი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ფორმები და მათი კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უნდა გადმოვიტანოთ.

ჩხორთოლის ეკლესია (დარბაზი და ჩრდილო სათავსო) გეგმის გადაწყვეტით წარმოგვიდგება როგორც დარბაზული ხუროთმოძღვრების თავისებური ტიპი, ე.წ. ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. აღნიშნულ ეკლესიებში დაგრძელებულ დარბაზულ შიგა სივრცეს ჩრდილოეთიდან სივრცე ღერძზე განვითარებული, ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მასათა აგებულებით დაქვემდებარებული სათავსო ემიჯნება, რომელიც დარბაზის გრძივი ღერძის მიმართ, მეორე, განივ ღერძს ქმნის.

ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე მის ძირითად ხაზს გუმბათოვანი თემის მრავალგვარი ვარიანტი წარმოადგენდა. გავრცელებული იყო უგუმბათო საკულტო ხუროთმოძღვრული ძეგლებიც, ე.წ. სამნავიანი ბაზილიკები და მათ ნიადაგზე აღმოცენებული საკულტო ნაგებობები, რომელთაც ხელოვნებათმცოდნეები წმინდა ქართული წარმომავლობის ძეგლებად მიჩნეულ „სამეკლესიანი“ ბაზილიკებს უწოდებენ.¹

არანაკლებ გავრცელებული იყო ერთნავიანი დარბაზული ეკლესიებიც. ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიათა ტიპებს შორის, საქართვე-

¹ Транш М.М. Материалы археологии средневековой Абхазии, Труды, т. 4, Сухуми, 1973, გვ. 131, სურ. 46-47.

¹ ჩუბინაშვილი, გ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 67; Чубинашвили Г.Н. Церковь близ сел. Болнис-Каранакчи. Христианский восток, т. 5, вып. 3, Петроград, 1916. გვ. 114.

ლოში ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა დარბაზულმა ეკლესიამ.

გამარტივებული გეგმის კომპოზიციის ერთნაირი ეკლესიების ცალკე ჯგუფი – დარბაზული ეკლესიები, საქართველოში აღმოცენებულია გარკვეული ხუროთმოძღვრული წინამძღვრებიდან. მათ საწყისებს ხელოვნებათმცოდნეები სამეკლესიან ბაზილიკებს უკავშირებენ.¹

ამ ტიპის ეკლესიებში, როგორც აღვნიშნეთ, აბსიდის ჩრდილოეთით ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული სათავსოა (პასტოფორიუმი) გამოყოფილი, რომელიც ძირითად ნავთან შედარებით მოკლე მოცულობითი ფორმაა, რის გამოც შესაბამის ფასადზე საფეხუროვანი გადასვლა იქმნება. ქართულ დარბაზულ ეკლესიებში ნაგებობის ძირითად ბირთვის ჩრდილო მხარეს ფუნქციონალურად დაკავშირებული და გარეგან მასათა აგებულებით ყოველთვის დაქვემდებარებული მინაშენები ემიჯნებიან (ხცისი, გარბანი, ხვილიშა, ტამალა, ბზინა II, ძღვიძე და სხვ.). დარბაზულ ეკლესიებში გვერდითი, ჩრდილო, გამოშვებული სადგომი XI ს-ის დასაწყისიდან ქრება და მკვიდრდება დარბაზულ ნაგებობათა კომპაქტური დაგეგმარება. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აგრეთვე შენიშნულია, რომ დარბაზულ ეკლესიებში ჩრდილო მინაშენს საკუთხეველის სასამსახურო სათავსოს დანიშნულება აქვს, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მინაშენი ეკლესიის კედლის სიგრძეზე მთლიანად არ ვრცელდება, მასში შესასვლელი მხოლოდ ტაძრის შიგნითა სივრცეში, უშუალოდ საკუთხეველის სიახლოვეს მდებარეობს და მინაშენის ფართობის ზომა ჩვეულებრივ გაცილებით ნაკლებია ეკლესიის დარბაზის ფართობის ზომაზე.²

დარბაზული ეკლესიების ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს: სწორკუთხედში ჩაწერილ აბსიდიანი და სწორკუთხედიდან ნახევარწრედ ან მრავალწახნაგად გამოშვებული აბსიდიანი. ჩხორთოლის

¹ დოლიძე ვ. გარბანი – ქართული ხუროთმოძღვრების (IX-X სს.) ძველი ხეგმა, თბ., 1958, გვ. 27.

² მითითებული ლიტერატურა, გვ. 29.

ეკლესია სწორკუთხედში ჩაწერილ აბსიდიან დარბაზული ეკლესიების ჯგუფს განეკუთვნება.

გუმბათიანი და ბაზილიკური ძეგლებისაგან განსხვავებით, დარბაზული ეკლესიები დამატარებულ ფორმებს ნაკლებად შეიცავენ ფორმათა სიმარტივის გამო, მაგრამ ამ ტიპის საკულტო ნაგებობების ზოგადი გენეზისი, გავრცელების დიაპაზონი და ქრონოლოგიის საკითხები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა გარკვეული.

როგორც ცნობილია, დარბაზული ეკლესიისათვის VI-VII საუკუნეებში ინტერიერში ყოველგვარ დამატებით ელემენტს მოკლებული, გლუვი კედლებია დამახასიათებელი, VIII-IX საუკუნეებში კედლების გასაფორმებლად არკატურასა და საფეხურებიან კედლის სვეტებს იყენებენ. ჩხორთოლში სამსაფეხურიანი პილასტრებით დანაწევრებული კედლები გვაქვს. ორსაფეხურიანი პილასტრებითაა დანაწევრებული ჯავახეთში ხვილიშის დარბაზული ეკლესიის კედლები. აღნიშნული ეკლესია VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.¹

ანალოგიური პილასტრები აქვთ შიდა ქართლის ძეგლებს: სნეჭის ეკლესიას (IX-X სს.), ერედვის ბერის საყდარს (X ს.), ერედვის წმ. გიორგის (906 წ.), კუსირეთის ეკლესიას (VIII-X სს.), ხვითის საბაწმინდას (X ს.) და დისევის დარბაზულ ეკლესიას (X ს.).² კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია ანალოგიებს პოულობს ილორის (XI ს.), ლაშქენდარის (X-XI სს.) და აჩანუას³ ეკლესიებთან, რომელთაც აბსიდის ჩრდილო მხარეზე ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული,

¹ ჩუბინაშვილი ნ. ჯავახეთის დარბაზულ ძეგლთა განვითარება VI-VII სს-დან XI ს-ის ნახევრამდე, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1948, გვ. 7.

² Мефисашвили Р. Цинцадзе В. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли, Тб., 1975, გვ. 39, 64, 93, 98; ტაბ. 54, 64, 82, 83.

³ Кациа А. Памятники архитектуры в долине Цкуара, Материалы по археологии средневековой Абхазии, Тб., 1967, გვ. 87.

ნავთთან შედარებით მოკლე, შესაბამის ფასადზე საფეხურად შეჭრილი სათავსოები აქვთ გამოყოფილი. შუა საუკუნეების ანალოგიური კომპოზიციების მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება.

ჩხორთოლის ეკლესიის სიგანის თანაფარდობა სიმაღლესთან (შემორჩენილი ჩრდილო კედლის სიმაღლის მიხედვით) გვაგრძობინებს სივრცის მშვიდ და ჰარმონიულ აზიდულობას ზევითკენ. ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს მკვეთრად მოხაზული პილასტრების ისეთი განლაგება, რომელიც გრძივი კედლის ცენტრალურ ნაწილში გამოყოფს უდიდეს მონაკვეთს, რითაც ხაზი ესმება კედლების შუა ნაწილს. პილასტრების ასეთი განლაგება გვაქვს IX-X სს-ის დარბაზულ ეკლესიაში გარბანში. საკვლევ ეკლესიას გარკვეულ ქრონოლოგიურ საზღვრებში აქცევს შენობის სხვადასხვა ნაწილებისათვის განსხვავებული კომბინირებული საშენი მასალის გამოყენება (ჩვენს მაგალითზე შირიმის კვადრები და რიყის ქვა), რაც VIII-IX სს-ში ქართული საკულტო ძეგლებისათვის ტიპური მოვლენაა.¹ საკვლევ ძეგლი მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას, მთელი ყურადღება გადატანილია ახალი, სივრცითი ორგანიზაციისა და ფუნქციონალური მომენტებისაკენ, რაც გარდამავალი ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

ჩხორთოლის ნაეკლესიარი საშუალებას იძლევა ეპოქების მიხედვით გამოიყოს შემადგენელი სამშენებლო პერიოდები. პირველ სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება დარბაზული ეკლესია მინაშენით ჩრდილო მხარეზე, რომლის შიგა და გარე პირისათვის გამოყენებულია შირიმი, ახასიათებს წყობის წესიერი სისტემა, გამოირჩევა სამშენებლო ხერხების მაღალი დონით. მეორე სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება დასავლეთის მინაშენი, რომლის კედლების წყობის ხასიათი და სამშენებლო მასალა განსხვავებულია.

კერამიკული მასალა, არსებული პარალელები და ეკლესიის

¹ Чубинашвили Г.Н. К вопросу о рядовых памятниках Грузинской архитектуры VIII-IX вв. Вопросы истории искусство, Тб., 1970, გვ. 177.

ზოგიერთი ელემენტი, კერძოდ: ორსაფეხურიანი ცოკოლი, გარედან და შიგნიდან თლილი ფილებით მოპირკეთება, სხვადასხვა ნაწილებისათვის განსხვავებული, კომბინირებული მასალის გამოყენება, დეკორატიული მორთულობის არარსებობა და სივრცითი პროპორციები უფლებას გვაძლევს ნაგებობის პირველ სამშენებლო პერიოდად IX-X სს-ის მიჯნა – კონსტანტინე „აფხაზა“ მეფის ზეობის ხანა მივიჩნიოთ.

მოგვიანებით, ეკლესიისათვის დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი სათავსო მიუშენებიათ. ეკლესია ფუნქციონირებდა XVI საუკუნემდე, შავიზღვისპირეთში თურქების გაბატონებამდე.

ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია გარდამავალი ძეგლია, როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერებათ, იგი მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. მთელი ყურადღება გადატანილია ახალი, სივრცითი მომენტებისაკენ. შიგა და გარე პირისათვის გამოყენებული შირიმი, წყობის წესიერი სისტემა, სამშენებლო ხერხების ხარისხობრივი დონე, ჩხორთოლის დარბაზულ ეკლესიას გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვან ძეგლთა რიგში აყენებს. ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძიებებით მიგნებულ თავისებურ ნიშნებს ატარებს და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ნიშანდობლივი თემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომისა და გადაამუშავების შედეგს წარმოადგენს.

როგორც ძეგლის ანალიზმა გვიჩვენა, იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან, ზუსტადაა ჩაწერილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო ხაზში და გამოხატავს ერთიან შემოქმედებით ძიებებსა და მიმართულებას. იგი სათანადო ადგილს იჭერს ქართული კულტურის, კერძოდ, საკულტო არქიტექტურის გავრცელების დასადგენად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს გაერთიანებამდე დასავლეთ საქართველოში, აშენებენ ადებული დროის აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ მხატვრულ მისწრაფებათა გავრცელების მაჩვენებელ საკულტო ნაგებობას, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს

პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა კულტურული და ეკლესიური ერთიანობა.

როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველომ ანუ „აფხაზთა“ სამეფომ, ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება-განმტკიცების, საქართველოს გაერთიანებისა და ბიზანტიის იმპერიასთან დაპირისპირების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. ბიზანტიის იმპერიის მიმართ რეაქცია „აფხაზთა“ მეფეებმა არა მარტო ბერძნული კონფესიური გავლენისაგან გათავისუფლებით, არამედ ქართული სუროთმოდვრებისათვის ნიშანდობლივ მნატვრული მისწრაფებების მატარებელი ახალი ეკლესიების მშენებლობითაც გამოხატეს, რომლის ერთ-ერთი მაგალითია „აფხაზთა“ მეფის, კონსტანტინე II-ის (893-992 წწ.) მოღვაწეობის ხანაში აშენებული ჩხორთოლის დარბაზული ეკლესია.

ჩხორთოლის ჩრდილო მხარეზე გამოშვერილ სადგომიანი ერთნავე დარბაზული ეკლესია IX-X საუკუნეების მიჯნის მხარის სუროთმოდვრების ტიპური ნიმუშია. როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა უკავშირდება ადრე შუა საუკუნეების მიწურულისა და განვითარებული შუა საუკუნეების პირველი საფეხურის საწყის ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ ექსპანსიას დასავლეთის მიმართულებით.

§3. ბედიის ტაძარი

„აფხაზეთის სამეფოს“ დანატოვარ სუროთმოდვრების ნაწარმოებებიდან ჩვენს მატთანეში ყველაზე დიდი ზარ-ზემით ბედიის ვლაქერნის წმ. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მოიხსენიება. ბაგრატ მეფემ „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვისა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ხევითა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“, – გვამცნობს მატთანე ქართლისა.¹

„დადიანთა ქრონიკის“ ცნობით, „აფხაზთა“ მეფეს (შემდეგში საქართველოს ერთიანი მონარქიის პირველ მეფეს) ბაგრატ III-ს (978-1014) ბედიის ტაძრის აშენება X საუკუნის მიწურულს, 999 წელს დაუმთავრებია: „წელსა შუთ (999) ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან კუროპალატმან ბედია აღაშენა“.² ამ ტაძარს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. არქიტექტორ-რესტავრატორმა ლ. ხიმშიაშვილმა სარესტავრაციო სამუშაოების დროს 1968 წელს თანამედროვე ტაძრის ქვეშ მასზე დიდი ნაგებობის, ბაგრატ III-ის დროინდელი ტაძრის საძირკვლისა და სუფთად გათლილი ქვის კვადრებით მოსწორებული იატაკის ნაშთი აღმოაჩინა. გაირკვა, რომ ახლანდელი ნაგებობა ბაგრატიანების ნაშთებზეა (ტაბ. IV) დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში.³ ახლანდელი ტაძრის დეკორატიულ მორთულობაში მეორედაა გამოყენებული თავდაპირველი ტაძრის რელიეფური სამკაულები, რომლებიც ბაგრატ მეფის მამეულ კუთხის,

¹ მატთანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 281.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფ., 1892, გვ. 137.

³ ლ. ხიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედია), ჟურნ. ძეგლის მეგობარი, 1969, №14, გვ. 77; ი. ვარსიმაშვილი, ბედია, ჟურნ. ძეგლის მეგობარი, 1973, №31-32, გვ. 174.

სამხრეთ საქართველოს რელიეფების ანალოგიურია.

მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სიმბოლოდ ეგრისის პოლიტიკურ ცენტრში აშენებული ტაძარი, რომელიც სამეფო საძვალედ გადაიქცა (1014 წელს აქ დაკრძალეს ბაგრატ III), გამორჩეულად მდიდრული და ლამაზი ყოფილა: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს, სამკაული ბედიის ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“, – გვაუწყებს მატიანე.¹

ბედიის ტაძრის სიმდიდრეს ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: „ალაშენა ნ-დ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდშუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად, ამისათვის წერილ არს: ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნ-დ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მითი სცნობ“.²

ბედიის ტაძრის მდიდრულ სამკაულიდან საბედნიეროდ შემორჩენილია ლითონზე პლასტიკის იშვიათი ნიმუში, ბავჯალლო ოქროს ბარძიმი (თასი). მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ბარძიმის შექმნის დრო აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა 989-999 წლებით განსაზღვრა.³ მკვლევართაგან ბედიის ბარძიმი პირველმა დ. ბაქრაძემ იხილა 1865 წელს ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სალაროში, რომელიც აქ ბედიის ტაძრის გაუკაცურების შემდეგ მოხვედრილა. ბარძიმზე გვიანდელ ეპოქაში გაკეთებულ ფეხზე (სადგარზე) ამოკვეთილი ყოფილა წარწერა: „ყოვლად წმიდაო დედოფალო, ვლამქერნისა ღმრთისმშობელო, შემინწყალე მე ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტციე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად

შემკობად ფეხისა ამის ბარძიმისა“.¹

მიტროპოლიტ გერმანე ჩხეტციის ბედიის კათედრაზე მოღვაწეობას მკვლევართა ნაწილი XVII საუკუნით, ნაწილი XVIII საუკუნით, ნაწილი კი XVI საუკუნის მიწურულითა და XVII საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.² 1886 წელს დ. ბაქრაძეს ილორის ეკლესიაში ბარძიმი უფეხოდ, სადგარის გარეშე დახვდა: „ახლა ფეხი მოკვეთილი ჰქონდა და მისი წარწერაც დაკარგული იყო“.³

მრგვალი ფორმის ბავჯალლო ოქროს თასის (სიმაღლე – 12X5 სმ, დიამეტრი 14 სმ) ზედაპირი რიტმულად განაწილებულ სვეტებზე დაყრდნობილი თაღების უწყვეტი ზოლით 12 არედაა დაყოფილი. თითოეული თაღის ქვეშ თითო ფიგურაა (მაცხოვარი, წმ. ღმრთისმშობელი ყრმით, წმ. იოვანე, წმ. ანდრია, წმ. ლუკა, წმ. მერკილე, წმ. პავლე, წმ. პეტრე, წმ. ლებეოზი, წმ. თადეოზი, წმ. ბართლომე, წმ. იაკობი) გამოსახული. შესაბამისი ასომთავრული წარწერებით (მაცხოვარი ბერძნული წარწერითაა, ღმრთისმშობლის ფიგურა კი უწარწეროდ).

ლითონზე პლასტიკის ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებით ბედიის ბარძიმზე დეკორატიული ამოცანები ახლებურადაა გადაწყვეტილი. ფიგურათა რიტმული განლაგებითა და კომპოზიციური აქცენტის შექმნით ოსტატი ახერხებს შინაარსი დაუმორჩილოს ორნამენტული დეკორის მხატვრულ აგებულებათა მოთხოვნნილებას.

ბარძიმის ზედა ნაწილში მოთავსებულია ერთსტრიქონიანი წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატს აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტს დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხეველისა შემამკობელთა

¹ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 281.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 780.

³ გ. ჩუბინაშვილი, ბედიის ოქროს ბარძიმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-ი, 1940. გვ. 17. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 152.

¹ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Записки общества любителей кавказской археологии, 1, Тиф., 1887, гв. 23.

² გ. კალანდია, ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, ჟურნ.: არტანუჯი, თბ., 1995, გვ. 36; ლ. ახალაძე, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII საუკუნეებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998, გვ. 32; ბ. ზორავა, ბედიის საეპისკოპოსო, ჟურნ.: საისტორიო ძიებანი, III, თბ., 2999, გვ. 36.

³ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках..., гв. 23.

და ამის წმიდისა საყდრისა აღმაშენებელთა. ამინ“.

ბედიაში შემონახული ლიპიდარული, ფრესკული, ჭედური წარწერები, რომლებიც ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში, სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე და საეკლესიო ნივთებზეა მოთავსებული, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავენ. ეპიგრაფიკულმა წარწერებმა შემოგვინახა რამდენიმე ბედიელი მღვდელმთავრის (ნიკოლოზ კათალიკოს ბედიელ-ყოფილის, სოფრონ ბედიელის, ანტონ ჟუანისძის, გერმანე ჩხეტიძის) სახელები.

ხელოვნებათმცოდნეთა გამოკვლევით ბედიის ტაძრის კედლებმა მხატვრობის სამი ფენა (პირველი – X-XI სს., მეორე – XIII-XIV სს., მესამე – XVI-XVII სს.) შემოგვინახა.¹

ბედიის ტაძარში XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე, ბედიის საეპისკოპოსოს გაუქმებამდე, ესვენა ტაძრის მთავარი ხატი, ვლადკერნის წმ. ღვთისმშობლის ხატი და წმ. ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი. ივარაუდება, რომ ვლადკერნის წმ. ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარმა მემკვიდრეობით მიიღო გუდაყვა-ზილანეოსის ეკლესიიდან.²

ბაგრატ III-ის მიერ გუდავის საეპისკოპოსოს „მოცვლა“ ბედიით, აფხაზეთში IX-X საუკუნეებში მიმდინარე იმ პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც მიზნად ისახავდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფას და მცხეთის საკათალიკოსოში გაერთიანებას, რამეთუ „აფხაზთა მეფეებს უცხოენოვან და კულტურულად უცხო ეკლესიისაგან ჩამოშორებისას, თავისად მშობლიური ქართლ-კახეთ-სამცხე-ტაო-კლარჯეთში ეგულებოდათ. მათი არჩევანი ცხადად

გვიმოწმებს, რა იყო და რა არა მათთვის საკუთარი“.¹ ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „აფხაზთა სამეფო“ IX-X საუკუნეებში „მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შეერთებისათვის მიიწვედა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს“.²

ბედიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფ. ბედიაში, რომელიც ქ. გალიდან 25 კმ-ით არის დაცილებული ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

კონცხად გამოწვდილი თხემი, რომელზეც ბედიის ტაძარია აღმართული, სამი მხრიდან შემოზღუდულია კლდეებით. მეოთხე მხარეს – დასავლეთით, ეს მცირე გავაკებული მოედანი ვიწროვდება და გორაკის ფერდობს უერთდება. სწორედ აქ, ამ ვიწროზე იყო აღმართული ორსართულიანი სასახლე და კარიბჭე სამრეკლო.

ამგვარი გეგმარების ანსამბლით იქმნებოდა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტი. ანსამბლის მთავარ ხუროთმოძღვრულ ელემენტს გუმბათით დაგვირგვინებული ტაძარი წარმოადგენდა.

ენგურ – ღალიძგის აუზში არსებულ საეკლესიო ნაგებობათა უმრავლესობა ხეობის სასაზღვრო და შიგა ქედების ყველაზე ლამაზ და შემალღებულ ადგილებზეა აგებული, საიდანაც ოთხივე მხარეზე კარგად მოჩანს მოსაზღვრე ხეობები და სოფლები. საინტერესოა მათი დაგეგმარების პრინციპიც: თითოეული ძეგლიდან კარგად მოსჩანს დანარჩენი. ერთი სიტყვით, მათთვის ისეთი ადგილებია შერჩეული, რომ საფორტიფიკაციო ნაგებობისთვისაც მეტად ხელსაყრელია.

როგოპც ზემოთ აღვნიშნეთ, ბედიის სამონასტრო კომპლექსი შესდგება ღვთისმშობლის სახელზე აგებული ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის, ეპისკოპოსის საცხოვრებლის და კარიბჭე-სამრეკლოსაგან.

კომპლექსს გალავანი შემოუყვებოდა, რომელიც აგებული ყოფილა ფლეთილი ქვის წყობით, რთულ ხსნარზე. იგი ძირითადად თხემის

¹ Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тиф., 1931, გვ. 8; რ. შერლინგი, ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. შობე, ტ. XVIII, №4, 1957, გვ. 51; Л. Шервашидзе, Средневсковая монументальная живопись Абхазии, Тб., 1980, გვ. 66.

² გ. არახაძია, ვლადკერნის წმ. ღვთისმშობლის ხატი ბედიის ტაძარში. კრებ.: მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, თბ., 2005, გვ. 104.

¹ დ. თუმანიშვილი, აფხაზეთის ხუროთმოძღვრების რაობისათვის, ჟურნ.: ზედაზე, თბ., 2005, გვ. 82.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 315.

წვერის გავაკებულ ადგილს შემოფარგლავდა და უშუალოდ ციცაბო ხევის პირას იყო მოწყობილი. კომპლექსის დასავლეთ მხარეს, გალავნის კედლის ხაზში, ეპისკოპოსის სასახლე და კარიბჭეა ჩართული.

გალავნის საერთო ზომა სიგრძეზე 300 მ. ყოფილა, სიგანეში 0,6 მ. სიმაღლეზე ლაპარაკი ძნელია, რადგან გალავანი დაუზიანებელი სახით არსად არ შემორჩენილა.

ეკლესიის აღმოსავლეთით, გალავნის კედლის ნანგრევებში, შემორჩენილი საძირკვლის ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ ადრე-არსებული კოშკის ფრაგმენტად.

დღემდე გალავნის კედლის წყობამ ძალზე ცუდ მდგომარეობაში მოაღწია, მისი საერთო სიგრძეა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 300 მ. საშუალო სიმაღლე 0,8 მ. გალავნის კედლის დარჩენილი ნაწილი (170 გრძივი მეტრი) დანგრეულია მიწის ზედაპირის დონემდე, ისე, რომ მისი კვალის წაკითხვაც კი ძნელია.

ტაძრის დასავლეთით, დაახლოების 50 მ-ის დაშორებით, მდებარეობს ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევები. თავდაპირველად იგი ორსართულიანი ყოფილა, ამჟამად მეორე სართული თითქმის დანგრეულია, დარჩენილია ჩრდილო-დასავლეთის კუთხისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები.

სასახლის პირველი სართული შესდგება ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სათავსოსაგან. სასახლის პირველი სართული ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც დაახლოებით შუა ნაწილში, კედლით არის გადატიხრული. სათავსოებს ერთმანეთთან კავშირი, კარის ან ფანჯრის საშუალებით, არ გააჩნიათ. ორივე სათავსოს ცენტრალურ ნაწილში, გრძივ ღერძზე დგას კვადრატული გეგმის მქონე ბოძები. პირველ სათავსოში, რომელიც სამხრეთით მდებარეობს – ორი ბოძია, მეორეში სამი. ბოძები ქვითაა ნაგები და მოპირკეთებულია თლილი ქვიშაქვის პერანგით.

ბოძებს მარტივი ფორმის ბაზა და კაპიტელი გააჩნიათ. მათზე შესაბამისად გადადის სამი და ოთხი თალი, რომლებიც ნახევარწრიულია. თალების რიგი ქმნის საბრჯენ კედელს. მათზე

და სასახლის აღმოსავლეთ და დასავლეთ გრძივ კედლებზე ქვის წყობით გადაყვანილია ცილინდრული კამარები, რომლებიც სასახლის პირველი სართულის გადახურვას ქმნიან.

თითოეულ დარბაზში ორი კამარაა. ბოძები და კამარები სათავსოთა შიდა სივრცეს ორ ნაწილად ყოფენ.

დარბაზებში შესასვლელი კარები გაჭრილია აღმოსავლეთიდან. ორივე შესასვლელი თაღოვანია. მეორე სათავსოში შესასვლელ კარს გააჩნია ტიშპანის ქვა, რომელზეც წარწერაა მოთავსებული. წარწერაში მოხსენიებული არიან XVI საუკუნის მოღვაწეები – ბედიელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჟვანიძე, რესტავრატორი პალატებისა და კირილე ჟვანიძე. თაღოვანი შესასვლელის ნაოთხალები შემკულია დეკორატიული ორნამენტით.

სათავსოები განათებულია დასავლეთიდან ოთხი ვიწრო, ხოლო სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თითო-თითო ფართო თაღოვანი სარკმლით.

სამხრეთიდან პირველ სათავსოს კიდევ ერთი კარი აქვს, რომლიდანაც ვიწრო ბილიკს ხეობაში ჩავყავართ.

ეპისკოპოსის სასახლის აღმოსავლეთ მხარეს, პირველი სართულის ფასადზე, პატარა, მრგვალი სარკმლებია. სვეტებსა და კედლებში ზოგან მცირე, ზოგან საკმაოდ ღრმა, კვადრატული ფორმის ნიშებია.

კამარებს დიდი ქვით გადაყვანილი საბრჯენი თალები აქვთ, თვით კამარები გადაყვანილია უხემად თლილი მცირე ზომის კირქვისაგან.

დარბაზის იატაკი მიწის თხელი ფენითაა მოსწორებული. სასახლის ზედა სართულზე ასასვლელი კიბე ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს.

მეორე სართულის კედლები თითქმის მთლიანადაა დანგრეული. დარჩენილია აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების მცირე ფრაგმენტები. აღმოსავლეთის კედლის ფრაგმენტზე მთლიანადაა დარჩენილი კარის ღიობი თაღოვანი გადახურვით.

ჩრდილოეთის კედლის ფრაგმენტებზე დარჩენილია ღრმა ნიში. სართულშუა გადახურვა 1968-69 წლების რესტავრაციის დროს შეუკეთებიათ – იატაკზე ბეტონი დაუსხიათ და ზედ გუდრონის თხელი ფენით საიზოლაციო შრე მოუწყვიათ, რაც ნაგებობის პირველ

სართულს იცავს წყლის გაუონვისაგან.

კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს კარიბჭე, რომლის თავით სამრეკლო იყო მოწყობილი კარიბჭის დასავლეთ მხარეს, ფასადზე, შემორჩენილია წარწერა, სადაც მოხსენიებული არიან გიორგი დადიანი და კონსტანტინე მეფე, XIV საუკუნის მოღვაწეები.

კარიბჭის ნაგებობა მიერთებულია სასახლეზე და მასთან ერთად მთლიანობაში აღიქმება. კარიბჭე გეგმით კვადრატს წარმოადგენს. მისი სიგრძე და სიგანე (6,65 მ) ერთმანეთის ტოლია. მისი სიმაღლეა 7 მ. კედლის სიგანე 0,9 მ.

კარიბჭის შიგა სივრცე კამარითაა შემოფარგლული. ნაგებობა მოპირკეთებულია თლილი ქვის ფილებით. ფილების წყობის ხასიათი თარაზულია.

კარიბჭეში მიმოსვლა ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, გასასვლელებში, ერთმანეთის მოპირდაპირედ, მაღალი თაღები იყო მოწყობილი.

კარიბჭის ჩრდილოეთ და სამხრეთი მხარე კედლებითაა შემოფარგლული.

კარიბჭის ფასადების ზედა ნაწილში ქვის პერანგს ლილვების ორი პარალელური ზოლი გასდევს. ლილვები ქვის ერთი რიგის წყობით იმიჯნებიან.

კარიბჭის ინტერიერიც თლილი ქვითაა მოპირკეთებული. კამარა ნაგებია უხეშად გათლილი მოგრძო ზომის კირქვების ვერტიკალური წყობით.

კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ეზოს მხრიდან, მდებარეობს სამრეკლოზე ასასვლელი კიბე. კიბე შესდგება ცამეტი საფეხურისაგან და უშუალოდ ებჯინება მომიჯნავე ნაგებობის პირველ სართულს ჩრდილოეთის მხრიდან.

კარიბჭის სიბრტყე ეყრდნობა მისთვის სახელდახელოდ ნაგებ კამარის ზედაპირს.

კიბის საფეხურები ნაგებია თლილი ქვის კვადრების წყობით. სამრეკლოს ფანჩატურიდან მხოლოდ ფუძის მცირეოდენი ფრაგმენტებია შემორჩენილი.

კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა – გუმბათიანი ტაძარი არის

ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის, ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა. გეგმაში იგი სწორკუთხედში ჩაწერილი ჯვარია. ტაძრის ცენტრში, ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე მიღებულ კვადრატზე, აფრების საშუალებით ამოყვანილია თოთხმეტწახნაგა გუმბათი, რომელშიც ამავე რაოდენობის სარკმელებია გაჭრილი. გუმბათი დასავლეთით ორ ცალკე მდგომ საყრდენს ეყრდნობა, აღმოსავლეთით აფსიდის შვერილებს. ჯვრის აღმოსავლეთი მკლავი აფსიდით მთავრდება, დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. ჯვრის მკლავებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია აღმოსავლეთით – აფსიდის გვერდითა ორსართულიანი სათავსებით (პირველ სართულზე მოწყობილია სამკვეთლო და საღიაკენე, რომელთაც აფსიდალური დაბოლოება აქვთ, ხოლო მეორეზე სამალავი ოთახები), დასავლეთით – დამატებითი სივრცეებით.

აფსიდის გვერდითა სათავსების მცირე სართული ერთიანი კედლის მასითა მოცემული, რომელშიც გაჭრილია პატარა კარი (აქ ასვლა დარბაზის მხრიდან მისადგმელი კიბით ხორციელდებოდა). ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაგების მეორე სართულზე, დასავლეთით მოთავსებულია პატრონიკენი. აქ ასვლაც მიდგმული კიბის საშუალებით ხორციელდებოდა.

ტაძარში შესასვლელი სამი მხრიდანაა მოწყობილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში შესასვლელი დასავლეთით, ცალკე მდგომი საყრდენების სიახლოვეზეა გაჭრილი. ერთი შესასვლელი დასავლეთის მკლავის ცენტრშია მოთავსებული. ტაძრის ზუსტად ცენტრში აღმართულია გუმბათი.

გარედან ტაძარი სუფთად გათლილი ქვიშაქვითაა ნაგები კირის ხსნარზე. ეკლესიის ყველა სარკმლის ღიობი ადგილზეა შემორჩენილი. ეკლესიის ინტერიერში მათი კონტური დაუზიანებელია. ფასადებზე კი, ორი სარკმლის გარდა, ყველა სარკმელი დაზიანებულია, მორთულობები არ გააჩნიათ.

მ. ბროსეს ცნობით, ბედიის ეკლესიის დასავლეთ კედლის კუთხის ერთ-ერთ ქვაზე მოთავსებული ყოფილა წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ექმენ წმიდისა ამის საყრდრისა აშშენებელს, გალატოზთუხუცესს სვიმეონსა“. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ეს წარწერა, როგორც ჩანს, დაიღუპა XIX ს-ის II ნახევარში ეკლესიის შეკეთების დროს. წარწერა თავისი შინაარსით, თითქოს,

ბედიის ტაძრის აგების პერიოდს უნდა განეკუთვნოს.¹

ეკლესიის სამხრეთის კედელზე გამოხატული იყვნენ ქტიტორი დადიანები, სადაც არსებობდა ფრესკული წარწერა: „დედოფალთ-დედოფალი მარეს და შვილი მისი ერისთავი და მსახურთუხუცესი დადიანი გიორგი“. მ. ბროსეს გამოკვლევის თანახმად, ფრესკაც და წარწერაც XVI ს. ეკუთვნის.²

ტაძრის დასავლეთის მხარეს შემორჩენილია მინაშენის ნაშთები. ა. პავლინოვის აზრით, აღნიშნული მინაშენი ღია პორტიკის როლს თამაშობდა.³

XIX საუკუნის დასასრულს ბედიის ტაძარი უკვე გაუკაცურებულ და მცენარეულობით დაფარულ ნაგებობას წარმოადგენდა, მაგრამ გუმბათის დიდი ნაწილი შემორჩენილი იყო და ფასადების წყობაც უკეთ იყო დაცული. ამის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, ტაძრის „განახლების“ მიზნით რუსმა ბერ-მონაზვნებმა სრულიად მოშალეს დაზიანებული გუმბათი და მოხსნეს იოლად ჩამოსაცვილებელი საპირე ქვები.

¹ მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ, წ. I, ტფ., 1825, გვ. 11.

² იქვე.

³ А.М. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материали археологии Кавказа, вып. 111. М., 1813, გვ. 27.

§4. ბედია – შუა საუკუნეების საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი

ისტორიული ეგრისის მთისწინა გორაკ-ბორცვიან ზოლში განლაგებული ბედია თავისი მდებარეობის გამო „ხევების“, „ქვეყნის“ სტრატეგიულ-გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს. აქ გადიოდა გზა, რომელიც მხარეს საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებდა.

გზა, რომელიც დიდ მნიშვნელობას იძენს, ადრე შუა საუკუნეებიდან, მთისწინა ზოლს მიუყვებოდა. ამ გზის გაყოფებით მრავალი ციხე-კოშკის ნაშთია (რეჩხი, ჯიხა, ობაჟე, სათანჯო, ნაცმერი, ოცარცე და სხვ.) შემორჩენილი, რომლებიც მთიდან მომავალ ბილიკებსაც აკონტროლებდნენ, რადგან მთა უტყვედა და ბარი იძულებული იყო, თავი დაეცვა.

გვიან შუა საუკუნეებში, საქართველოს სამთავროებად დაშლის ხანაში, თანდათან შესუსტდა ეკონომიკური კავშირი ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის. შესაბამისად შემცირდა ამ გზების მნიშვნელობა, მაგრამ განმეორდა ადრე შუა საუკუნეების სიტუაცია – მთის შემოტევა ბარზე. აუცილებელი გახდა დაზიანებული ციხეების აღდგენა ან მათ ადგილებზე ახლების აგება.

არქეოლოგიური მონაცემებით, ბედიაში ადამიანის მოღვაწეობის უძველესი კვალი დასტურდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. პროფ. მ. ბარამიძე) 1988 წელს ბედიის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ერთმანეთისაგან სტერილური შრით გამიჯნული გვიანბრინჯაოს, ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების კულტურული ფენები გამოავლინა.¹

ბედია უძველესი დასახლებული პუნქტია XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის საეკლესიო-ბიბლიურ მოძღვ-

¹ რ. ზვისტანი. ბედიის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე 1988 წელს ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიში. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

რებაზე დამყარებული თეორიის მიხედვითაც. ბიბლიური ნოეს მესამე შვილის – იაფეთის შვილიშვილის შვილი თარგამოსი, მაშინ, როდესაც ბაბილონში გოდოლის აშენების გამო, ენათა აღრევა და ხალხთა დიდი განხევა მოხდა, თავის მრავალრიცხოვანი ახლობლებით პონტოს (შავ) და გურგანის (კასპიის) ზღვებს შორის დამკვიდრდა და სათავე დაუდო კავკასიელ ხალხთა წარმომავლობას. მან თავის მერვე ვაჟიშვილს – ეგროსს მისცა ზღვის სანაპირო ქვეყანა პონტოს ზღვასა და ლიხის მთას შორის, ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა, „სადაცა წარსწოთების წუერი კავკასიისა“. იქ ეგროსს აუგია ქალაქი, რომლისთვისაც თავისი სახელის მიხედვით ეგრიისი დაურქმევია. ეს ის ადგილია, რომელსაც ახლა ბედია ჰქვია, – იუწყება ლეონტი მროველი.¹

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, VIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „აფხაზთა“ სამეფოს სახელით აღდგენილი დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზთა“ მეფე ლეონმა რვა საერისთავოდ დაყო, რომელთაგან ერთ-ერთი ეგრისწყალსა (მდ. ღალიძგა) და ცხენისწყალს შუა განათავსა ცენტრით ბედიაში.²

ბედია რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრად გვევლინება განვითარებული შუა საუკუნეებშიც. X ს-ის ბოლოს ბაგრატ III-მ აქ ტაძარი ააგო და გადმოიტანა გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა.³ მემკვიდრის სიტყვით, ბაგრატს ბედიაში ისეთი ძვირფასი ტაძარი აუშენებია, რომ იქვე დასძინეს: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს

¹ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 5.

² ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 796.

³ მათიანე ქართლისა, – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 281.

სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“.¹

ნიშანდობლივია, რომ მემკვიდრე ბაგრატ III-ის მეფობის სიღიადეს ბედიის ტაძრისადმი შეწირული სამკაულით განსაზღვრავს, რომლის მხატვრული ღირებულება მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო, რისი დადასტურებაცაა დღემდე მოღწეული ბედიის ოქროს ბარძიმი.

ბედიის ბარძიმი, რომელსაც შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა აკად. გ. ჩუბინაშვილმა,² მკვლევართაგან პირველმა დ. ბაქრაძემ ნახა და აღწერა, რომელმაც იგი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის სალაროში იხილა 1865 წელს. 1886 წელს მას ილორის ეკლესიაში ბარძიმი ნაკლული სახით, უფეხოდ დახვდა, რომელიც ამ დროს უკვე დაკარგული იყო. მანვე გამოარკვია, რომ ეს იყო ბედიის ვლადიკრის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სატრაპეზო თასი, რომელიც ბედიის ეკლესიის გაუკაცურების შემდეგ მოხვედრილა ილორის ეკლესიაში.³

X-XI საუკუნეებით დათარიღებული მრგვალი ფორმის ბაჯალო ოქროს თასის (სიმაღლე – 12X5 სმ, დიამეტრი – 14 სმ) ზედაპირი რიტმულად განაწილებულ სვეტებზე დაყრდნობილი თაღების უწყვეტი ზოლით 12 არედაა დაყოფილი. თითოეული თაღის ქვეშ თითო ფიგურაა გამოსახული, ერთ მხარეს – ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორე მხარეს – ღვთისმშობელი ყრმით ხელში, აქეთ-იქეთ კი – ფეხზე მჯდომი წმინდანები.⁴

¹ მათიანე ქართლისა, – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 281.

² გ. ჩუბინაშვილი, ბედიის ოქროს ბარძიმი, – „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1940, ტ. 108; მისივე, ქართული ოქრომჭედლობა VIII-XIII სს., თბ., 1957; მისივე, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 25.

³ რ. ხვისტანი. ენგურ-ღალიძგის ორმდინარეთის შუა საუკუნეების ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიიდან, – „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1998, გვ. 62.

⁴ რ. ყენია, ბედიის ჭედური თასი, – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 266.

ლითონზე პლასტიკის ადრეული ნიმუშებისაგან განსხვავებით, ბედიის ბარძიძე დეკორაციული ამოცანები ახლებურადაა გადაწყვეტილი. ფიგურათა რიტმული განლაგებითა და კომპოზიციური აქცენტის შექმნით ოსტატი ახერხებს შინაარსი დაუმორჩილოს ორნამენტული დეკორისმხატვრულ აგებულებათა მოთხოვნილებას.¹

ბარძიძის ზედა ნაწილში მოთავსებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის მიხედვით, მეფე ბაგრატი და მისი დედა გურანდუხტი ბარძიძს სწირავენ, მათ მიერვე აგებულ ეკლესიას.²

ბედიის ტაძარი დღეისათვის პირვანდელი სახით არ არის შემორჩენილი. ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი ადრეული სამშენებლო ფენისა (თანამედროვე ტაძრის ქვეშ მასზე დიდი ზომის ნაგებობის საძირკვლისა და სუფთად გათლილი ქვის კვადრებით მოსწორებული იატაკის ნაშთი აღმოჩნდა)³ და გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების (თანამედროვე ტაძრის დეკორაციული გაფორმების ნაწილი, რომელიც მკვლევართა აზრით, X-XI საუკუნეების ნაყოფია, თავის პირვანდელ ადგილზე არ არის მოთავსებული და მეორედ გამოყენების კვალს ატარებს) მიხედვით, ბედიის ტაძარი პირველად X-XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული.⁴ ხუროთმოძღვრული მიდგომით, ტაძრის გადაწყვეტითა და მასზე აღმართული სივრცით ბედიის ტაძრის ახლანდელი, ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს მიეკუთვნება.⁵

¹ გ. გოცირიძე, ბედიის ბარძიძი, თბ., 1984, გვ. 3.

² Г.Н. Чуютнашвили, Грузинское чеканное искусство, გვ. 153.

³ ლ. ხიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედა), – ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, №14, 1969, გვ. 77.

⁴ ი. ვარსიმაშვილი, ბედა, – ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, №31-32, 1973, გვ. 55.

⁵ იქვე.

§5. გალის რაიონის ქრისტიანული არქეოლოგიური ძეგლები

ქრისტიანული ძეგლების კვლევა ჩვენი ქვეყნის ისტორიის პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს, რადგან ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო მატერიალური და სულიერი კულტურის ახლებურ განვითარებაში, არამედ საბოლოოდ განსაზღვრა ქრისტიანობას ზიარებული ქართველი ხალხის ბედი, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მისწრაფებები და ის დასავლური ორიენტაცია, რომელიც იძლეოდა ცივილიზირებულ სამყაროსთან ინტეგრირების საშუალებას.

ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ერთ მთლიანობად ჩამოყალიბებაში, აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა მოსახლეობის დაახლოებასა და ერთიანი საქართველოს შექმნის საქმეში. საქართველოსათვის (ქართლისა და ეგრისისათვის) IV საუკუნე წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული შემობრუნების პერიოდს, რადგან ქრისტიანობის აღიარება იყო ახალი პოლიტიკური, გარკვეული თვალსაზრისით სოციალური და რაც მთავარია, იდეოლოგიური, კულტურული ორიენტაციის ფაქტი. ქრისტიანული მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ცნობიერებას.

გალის რაიონში არქეოლოგების მიერ წარმოებულ საკვლევადიებო სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ეს ტერიტორია გაჯერებულია ქრისტიანული საკულტო ძეგლებით, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ადრე შუა საუკუნეების ადრეული ეტაპიდან მოყოლებული, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით ეტაპს მოიცავს.¹ არქეოლოგიურად შესწავლილი სხვადასხვა დროს აშენებული

¹ გალის რაიონში არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლენასა და გამოკვლევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას (ხელმ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.

ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ცალკეული ძეგლები: გუდავა (IV ს.),² ჩხორთოლი (IX-X სს. მიჯნა),³ ბედია (X-XI სს. მიჯნა),⁴ მწკელიკარი (X ს.),⁵ ლუმურიში (XI ს.)⁶ საშუალებას იძლევა თვალი

მ. ბარამიძე), რომელიც აფხაზეთის ბოლოდროინდელ ტრაგიკულ მოვლენებამდე წლების განმავლობაში აწარმოებდა ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლას. ექსპედიციის მიერ მოპოვებული, გალის მხარეთმცოდნეების მუზეუმსა და ფიორის არქეოლოგიურ ბაზაზე დაცული უახლესი არქეოლოგიური კოლექციები, რომელთა ნაწილი კამერალურადაც კი არ იყო დამუშავებული. სამწუხაროდ, აღნიშნულმა ტრაგედიამ შეიწირა. გალის რაიონში ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოსავლენად და შესასწავლად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები აქვთ ჩატარებული აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა (ხელმ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. პ. ზაქარაია) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს (ხელმ. ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. ლ. შერვაშიძე).

² პ. ზაქარაია, ვ. ლექენაძე, არქეოლოგიური გათხრები გუდავასა და ჭაქვინჯაში. – არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1961 წ. თბ., 1971 წ. გვ. 76-99; პ. ზაქარაია, ვ. ლექენაძე, გუდავაში 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, – საქ. სახ. მუზეუმის ექსპედიციები, III, თბ., 1984, გვ. 130-151; მ. ზამთარაძე, გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი, – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXX- , თბ., 1979, გვ. 64-78.

³ М. Барамидзе, Р. Хвистани и др. Археологические исследования в Гальском районе. – Полевые археологические исследования в 1986-1987 гг. – Археологические открытия в Абхазии, Тб., 1982, гв. 27-34. რ. ზვისტანი, ოქუმისწყლის ხეობის ქრისტიანული ძეგლები, – საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1999, გვ. 239-252.

⁴ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სოფელი ბედია მთლიანად გალის რაიონს ეკუთვნოდა. XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ს. ლაკობამ სოფელი ბედია შუაზე გაყო. მის ჩრდილო ნაწილს, სადაც ცნობილი კათედრალური ტაძარია აღმართული, აკრებდია (აფხაზეთი ავგუ – ქართული ცენტრი) დაარქვა და მდ. დალიძის აღმოსავლეთ სანაპიროს სოფლებთან ერთად ოჩამჩირის რაიონს მიაკუთვნა. სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით შურფების გათხრის შედეგად ბედიის არსებული ტაძრის მიწისქვეშა ნაწილში აღმოჩნდა ადრეული, X ს-ის ფენები, რის საფუძველზეც

გადაღწეოთ IV-XVII საუკუნეების მხარის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ისტორიის რიგ საკითხებს.

აღნიშნულ ძეგლებზე მოპოვებულ მასალის ანალიზით ირკვევა, რომ ადრე შუა საუკუნეებში მხარე ცხოველ კულტურულ ურთიერთობაშია ჩაბმული შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან. ძირითადად მასზე გამავალი გზებით შემოდის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული კულტურა.

ადრე შუასაუკუნეები მხარის ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების პერიოდია, რასაც ასახავს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი გუდავის ბაპტისტერიუმი (IV-X სს.).

VIII ს-ის დასასრულს, დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ მხარის ტერიტორიაზე შეინიშნება საქართველოს აღმოსავლეთ ოლქებთან და ცენტრთან კიდევ უფრო მჭიდრო კულტურული კავშირი, რომლის თვალსაჩინო მაგალითია IX-X ს-ის მიჯნაზე აშენებული **ჩხორთოლის ეკლესია**. აღნიშნული ეკლესიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართულ

გაირკვა, რომ არსებული ეკლესია XIV ს-შია დაშენებული წინამორბედ, ბაგრატიის დროინდელ ნაგებობაზე. (იხ. ი. ვარსიმაშვილი, ბედია. – ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 31-32, 1973, გვ. 50-55; ლ. ხიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბედია) – ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 14, 1969, გვ. 50-64; რ. ზვისტანი, ბედიის სამონასტრო კომპლექსი, – აფხაზეთის მოამბე, I, თბ., 1998, გვ. 56-60; რ. ზვისტანი, ბედია – შუა საუკუნეების საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი, – საისტორიო ძიებანი, III, თბ., 2000, გვ. 10-14.

⁵ Л. Шервашидзе, Цкеликари. – Материалы археологии Абхазии, Тб., 1971, гв. 34-64; Л. Шервашидзе, Некоторые средневековые стенные росписи на территории Абхазии, гв. 112-118.

⁶ М. Барамидзе, Р. Хвистани и др. Археологические исследования в Гальском районе. – Половые археологические исследования в 1987, г. 1995, гв. 165-170; რ. ზვისტანი, ქრისტიანული ძეგლები ოქუმისწყლის ზემო წელზე (ლუმურიშის ეკლესია), ძიებანი, №2, 1998, გვ. 88-92.

ქრისტიანულ-საკულტო ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან, თვალსაჩინო ადგილს იჭერს ქართული კულტურის, კერძოდ საკულტო არქიტექტურის გავრცელების დასადგენად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და საქართველოს სხვადასხვა მხარეების კულტურული ერთიანობის კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია. იგი გვიჩვენებს, რომ საქართველოს გაერთიანებამდე მხარეში აშენებენ მოცემული დროის აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ მხატვრულ მისწრაფებათა გავრცელების მაჩვენებელ საკულტო ნაგებობას, რაც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ერთიანობას წინ უსწრებდა კულტურული და ეკლესიური ერთიანობა.

X-XI სს-ის მიჯნაზე, საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ხანაში, ბედიაში ბაგრატი III აშენებს ტაძარს და იქ გადმოაქვს გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა. ამიერიდან ბედია ხდება მხარის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი. ამავე პერიოდს განეკუთვნება მწკელიკარის ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში მხარე გაერთიანებული საქართველოს სამეფო დომენს წარმოადგენს. ამ პერიოდს განეკუთვნება ლუმურიშის ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა.

XIII-XIV სს-ში მხარეში იგრძნობა კულტურულ-ეკონომიკური დაქვეითება, რაც საქართველოში მონღოლთა ბატონობამ გამოიწვია, თუმცა, საქართველოს ცენტრალურ ოლქებთან შედარებით, მხარეში შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ინტენსიური მშენებლობის საწარმოებლად. მიმდინარეობს ეკლესია-მონასტრების შეკეთება-მოხატვა. ამ პერიოდს განეკუთვნებიან ბედიის, ლუმურიშის, ჩხორთოლისა და მწკელიკარის ეკლესიების მეორე სამშენებლო ფენები. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის მხარის ეკლესიები სრულიად საქართველოსათვის დამახასიათებელ იმ ხუროთმოძღვრულ კანონებს იმეორებენ, რაც აღებული დროის წინა აზიისა და ბიზანტიის ქრისტიანულ ორბიტაში შემავალ ქვეყნებს ახასიათებთ.

XVI ს-ის მეორე ნახევარი მტკიცენი ეტაპი იყო მხარის ისტორიაში. ოსმანთა იმპერიის აგრესიას შედეგად მოჰყვა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაშლა და ეკონომიკური

დასუსტება.

მხარეში ძნელბედობის ხანაშიც არ შეწყვეტილა კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელიც მართალია მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც გრძელდება. ამ დროისაა ბედიის მხატვრობის მესამე ფენა, მწკელიკარის ეკლესიის მინაშენი, მოხატულობა და სხვა.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეებში მხარის ქრისტიანული, კულტურის განვითარება ზოგადქართული ქრისტიანული კულტურის სინქრონულად მიედინებოდა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

§6. აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი და სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი შუა საუკუნეების ნივთიერი ძეგლები – ქრისტიანული ტაძრები, საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ IV-XVIII საუკუნეების ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრების განვითარების თითქმის უწყვეტ სურათს, სტილითა ცვლას, ევოლუციის ისტორიულ პროცესს, შემოქმედებითი ძიების სრული მხატვრული სიმწიფისა და კრიზისის პერიოდების მონაცვლეობას. აღნიშნულ ძეგლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართული კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ კი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევართა მიერ მრავალმხრივ გაშუქებული და კარგად შესწავლილია.¹ ამჯერად აფხაზეთის რეგიონის ადრე შუა საუკუნეებისა (IV-VII სს.) და გარდამავალი ხანის (VII-X სს.) საეკლესიო ხუროთმოძღვრების მხოლოდ ის განსხვავებული, თავისებური ნიშნებია განხილული, რომლებიც ქართული „ქვეყნებისათვის“ საზიარო მხატვრულ ღინებებს, ერთიან გემოვნებას, შემოქმედებითი ძიებების საერთო მიმართულებებს ასახავენ და მთელი საქართველოსათვის ნიშანდობლივი თემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომის, შემოქმედებითი გადამუშავების შედეგს წარმოადგენს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ხუროთმოძღვრათ სრულიად

¹ ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; მისივე: Некоторые вопросы Грузинской центрально-купольной архитектуры переходного периода. – IV международный симпозиум по Грузинскому искусству, Тб., 1983; Л.Д. Рчеулишвили, Некоторые аспекты Грузинской архитектуры черноморского побережья, - Средневековое искусство, Русь. Грузия, М., 1978, მისივე: Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб., 1988 და სხვ.

გარკვეული ამოცანა დაუსახა: უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სარწმუნოებრივი რიტუალის ჩასატარებლად გამოდგებოდა. ევროპასა და ახლო-აღმოსავლეთში ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: წაგრძელებული უგუმბათო შენობა, ე.წ. ბაზილიკა და ცენტრული, მრგვალი, რვაწახნაგა, ჯვარისებრი შენობა.¹

საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში, აგრეთვე ვხვდებით ორ სახეობას: წაგრძელებულ უგუმბათო შენობებსა და ცენტრულ შენობებს. ქართული ცენტრული ტაძრების ბირთვის შეადგენს კვადრატს, რომელზედაც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვარისებრი გეგმა. ეს სტილი გენეტიკურად. ერთი მხრივ, უკავშირდება ანალოგიურ კომპოზიციას ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგალითად, სასანურ სასახლეებს ირანში), მეორე მხრივ, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავებულ, ღვიძლ და ტრადიციულ გლეხურ „დარბაზის“ ტიპს.²

საზგასმით გამჟღავნებული სიგრძივი ღერძის მქონე შენობა-ბაზილიკის ტიპი რომელიც აგებულია გარკვეული ელემენტების რიტმული განმეორებით, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო იყო. ამ ტიპს ნერგავდა ოფიციალური ეკლესია, რადგან ქრისტიანულ ეკლესიას დასაწყისში ესაჭიროებოდა უკვე აღიარებული, სარწმუნოების მიერ ნაკურთხი ნიმუშები. ასეთ ნიმუშებად მიჩნეულ იქნა პალესტინის უძველესი ბაზილიკები, რაკი პალესტინა, საღმრთო წერილის თანახმად, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ასპარეზი იყო.³

ადრე ქრისტიანულ ხანაში ქართლში, კახეთსა და აფხაზეთში

¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართული..., გვ. 18.

² იქვე, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 19.

თითქმის ერთდროულად აღმოცენდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „სამეკლესიანი ბაზილიკა“ უწოდეს. გარედან თავისი „პროფილით“ იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, მაგრამ შიგნით ნაგები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებითაა გათიშული; ე.ი. არსებითად, აქ ერთ შენობაში გაერთიანებულია სამი დამოუკიდებელი სამლოცველო. V-VI საუკუნეებში ჩასახული, ეს თემა VII საუკუნიდან გარკვეულ ევოლუციას განიცდის და განსაზღვრულ ხანაში IX ს. მხატვრულად დასრულებული ნაწარმოების სახეს იძლევა.¹

სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკის გვერდით, აფხაზეთში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ანუ ცალნავიანი) ეკლესია. სოფლის მცირე სამლოცველოთა უმეტესობა ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა არსებობს მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიებიც, აგრეთვე გვხვდება ორნავიანი ეკლესიები.

ქართული ეკლესია მთლიანად და სავსებით ემხრობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიღებულ ნორმებს. ფუნქციური თვალსაზრისით, იგი ემთხვევა სხვა ქრისტიანული (უბირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი) ქვეყნების ეკლესიას: აღმოსავლეთისაკენ მიმართული, ნახევარწრიულ აფსიდიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო; მის ორსავე მხარეს (გარდა უძველესი ეკლესიებისა, სადაც ეს სადგომები ჯერ კიდევ არ არის), მლოცველთა დარბაზი. ქართული ეკლესიები იმთავითვე ატრიუმების გარეშე შენდებოდა. მათ არ გააჩნდათ არც ნართექსები დასავლეთის მხარეს (იშვიათი გამონაკლისის გარდა), არც ცალკე აშენებული სანათლავეები (ბაპტისტერიუმები) დასავლური ეკლესიებისა, ხოლო სამრეკლოები XIII საუკუნიდან ჩნდება.²

დღევანდელ აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის საკულტო

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 65-66; მისივე: Архитектура Кахетии, текст. Тб., 1959, გვ. 141.

² ვ. ბერიძე, ძველი ქართული..., გვ. 20.

არქიტექტურის ოცზე მეტი ერთეულია ცნობილი, რომლებიც ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა გამოვლენილი. როგორც არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, ქრისტიანული ტაძრები არა მარტო წერილობითი წყაროებით ცნობილ ცენტრებში (ბიჭვინთა), მნიშვნელოვან ქალაქებსა და გამაგრებულ ციხეებში (სებასტოპოლისი, ანაკოფია, წებელდა) არსებობდა, არამედ წერილობით უცნობ პუნქტებშიც (გაგრა, ალაჰაძე, გიენოსი, დრანდა, განთიადი, ჰაშუფსა, მიუსერა, მრამბა, შაპკა, აბაანთა, ქიაჩ-აბაა და სხვა).

ადრე შუასაუკუნეებში ეკლესიები აფხაზეთში წარმოდგენილია ცალნავიანი (ბიჭვინთის №1, №4 და საკათედრო ტაძრის დასავლეთით გამოვლენილი ორი ეკლესია, გიენოსი, ჰაშუფსა, წებელდა, მრამბა, შაპკა) და ორნავიანი (ბიჭვინთა) ნაგებობებით; სამნავიანი ბაზილიკებით (ბიჭვინთის №2 და №3 ეკლესიები, განთიადი, ალაჰაძე), „სამეკლესიანი ბაზილიკებით“ (გაგრა, მიუსერა, აბა-ანთა, ქიაჩ-აბაა) და ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობით (დრანდა).

მართალია, ბერძნული კონფესიური გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყანაში საკულტო ხუროთმოძღვრული ფორმები ბიზანტიიდან შემოდის, მაგრამ აფხაზეთის მკვიდრთა ქართულ „ქვეყნებთან“ სულიერ-კულტურული ერთობა არ წყდება, ამ დროის საკულტო ხუროთმოძღვრულ ნაწარმოებებში ვხედავთ ბიზანტიურისა და ადგილობრივის საზიარო მხატვრული დინებების შერწყმა-შეერთებას.

ადრე შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე აფხაზეთში აშენებული ეკლესიების ნაწილი თუ ბერძნულია (მაგალითად, ძველი პიტიუნტი, ბიჭვინთის IV-V საუკუნეების ერთმანეთზე დაშენებული ბაზილიკები, გუდავის IV საუკუნის ბაპტისტერიუმი), ცოტა უფრო გვიან, VI საუკუნეში, აწინდელ გაგრაში აგებული ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკა“ საქართველოში უგუმბათო არქიტექტურის ტიპად ჩამოქნილი ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

აფხაზეთში ამ ტიპის ოთხი ძეგლია შემორჩენილი ძველ გაგრაში, აბაანთის ციხეში (სოფ. ლიხნი), ქიაჩის ბორცვზე და ამბარაში, მიუსერას კონცხზე. მათგან უძველესია ძველი გაგრის ეკლესია, რომელიც გაგრის ციხის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ ტაძარში ქართული ადრექრისტიანული რელიეფებისათვის

დამახასიათებელი მოტივი – წრეში ჩაწერილი ტოლმკლავა, ე.წ. „ბოლნური“ ჯვრებია შემორჩენილი.

არქიტექტურული თემა „სამეკლესიოანი ბაზილიკისა“, როგორც აღინიშნა, უგუშაბათო ტაძრის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც თავისი გარეგანი ფორმებით სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ შიგნიდან, როგორც კონსტრუქციული აზრით, ისე სივრცის შთაბეჭდილებით სრულიად განსხვავდება ბაზილიკისაგან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ აქ სვეტების თუ საბჯენების ნაცვლად, რომლებიც ბაზილიკის შიდა სივრცეს ნავებად ყოფს, კედლები ჩნდება. ამ ტიპის ნაგებობამ საქართველოში საინტერესო ევოლუცია განიცადა და განსაზღვრულ ხანაში მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები მოგვცა.

მართალია, ბაზილიკის ეს ტიპი სხვა ქვეყნებშიც ცნობილია, მაგრამ ამ ტაძრებმა საქართველოში განსაზღვრული დამოუკიდებელი ტიპის სახე მიიღეს. მათი შემოქმედებითი განვითარების საფუძვლად კახეთია მიჩნეული, სადაც ამ ტიპის ორ ათეულამდე ძეგლია შემონახული. შენობის ეს ტიპი ერთნაირად მოსაწონი და მისაღები უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის. ეს გარემოება ბუნებრივად და კანონზომიერად გამოაჩენს „სამეკლესიოანი ბაზილიკების“ ერთდროულ აღმოცენებას კახეთში, ქართლსა და აფხაზეთში.¹ აფხაზეთში ამ ტიპის სარეთო ქართული ძეგლების არსებობა რეალური კულტურულ-ისტორიული ვითარების მაჩვენებელია.²

ქართველი მკვლევარები აფხაზეთში „სამეკლესიოანი ბაზილიკების“ არსებობას არ განიხილავენ როგორც ქართლის პირდაპირ პოლიტიკურ ზემოქმედებას ძლიერი ბიზანტიის ვასალ სახელმწიფოზე, ევრისზე,¹ მაგრამ „მოქცევა ქართლისა“-ს, „ქართლის ცხოვრებისა“ და სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის მონაცემებზე დაყრდნობით,

¹ დ. თუმანიშვილი, შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ერთობის შესახებ, – ლიტერატურა და ხელოვნება, 3-6, 1993, გვ. 177.

² ვ. ბერიძე, კულტურის ძეგლები აფხაზეთში, – ჯვარი ვაზისა, I, თბ., 1995, გვ. 65.

არ გამორიცხავენ ქართლსა და ევრისს შორის V-VII საუკუნეებში საეკლესიო კულტურული ერთობის არსებობას² და ერთი მწყემსმთავრის, ცნობილი ქართველი მოღვაწის, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების აქტიური მონაწილის, კირიონ ქართლის კათოლიკოსის (VI-VII საუკუნეების მიჯნა) ხელქვეით გაერთიანებას.³

ბიზანტიურისა და ადგილობრივის, მთელი კულტურულ-ისტორიული საქართველოსათვის საზიარო მხატვრული დინებების შერწყმა-შეერთების მკაფიო მაგალითია დრანდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომლის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ხუროთმოძღვრული ანალიზით, გ. ჩუბინაშვილი ტაძარს მცხეთის ჯვრის (VI ს.) ვარიაციად მიიჩნევს,⁴ რ. მეფისაშვილი სახელოვნებათმცოდნეო და საბუნებისმეტყველო-ფიზიკური მეთოდებით VIII საუკუნით ათარიღებს,⁵ ზოლო მ. ზოტელაშვილი და კ. იაკობსონი მას ბიზანტიურ ძეგლად თვლიან და არქეოლოგიური მასალით VI საუკუნით ათარიღებენ.⁶ აგურით ნაშენი ტაძარი, დაბალი და განიერი მრავალსარკმლიანი გუმბათით, მრავალრიცხოვანი კარ-სარკმელებით, შუაში როტონდული სივრცით გვიანრომაული მემკვიდრეობაა. ამ ნაგებობაში ნართექსისა და მთავარი სივრცის შესასვლელთა ღერძების აცდენა VIII-IX სს. ზოგადქართულ სწრაფვას ეხმიანება, საკურთხევლის სამი შვერილით აფსიდის თალების გადაბმის

¹ დ. თუმანიშვილი, აფხაზეთის ხუროთმოძღვრების რაობისათვის, – ზედაშე, I, თბ., 2005, გვ. 80; ი. ბერძენიშვილი, აფხაზეთის „სამეკლესიოანი ბაზილიკები“, – მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, თბ., 2005, გვ. 59.

² ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 124.

³ ზ. ალექსიძე, ეპისტოლეუთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 167-168.

⁴ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 140-141.

⁵ Р. Мепишавили. Дранда (памятник архитектуры VIII века). — ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1981, გვ. 1-2.

⁶ М. Хотелашвили, А. Якобсон. Византийский храм в с. Дранда (Абхазия). – Византийский временник, т. 45. М., 1984, гв. 192-200, 204-205.

ხერხი კი „მცხეთის ჯვრისა“ და მისი ჯგუფის (თუნდაც მარტვილის ტაძრის) გამოცდილებას ემყარება.¹

შემდგომში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობებში თანდათან ძლიერდება არაბიზანტიური საწყისი, კვლავ აშენებენ „სამეკლესიო ბაზილიკებს“. VII-VIII საუკუნეებში აშენებული აბანთისა² და ამბარის „სამეკლესიო ბაზილიკები“, აგრეთვე VIII-X საუკუნეების ქიაჩის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის „სამეკლესიო ბაზილიკა“³, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილი სალოცავი ყოფილა, იმ ტენდენციებს ასახვენ, რაც აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში იჩენს თავს (გეგმარების გართულება, შიდა კედლების ძალოვანი შევირთებით დატვირთვა).

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ, გარდამავალი ხანის ჩხორთოლის ერთნაგიან დარბაზულ ეკლესიას IX-X სს. პარალელები ჯავახეთსა (ხვილიმა — VIII-IX სს.) და შიდა ქართლში (სნეჭვი — IX-X სს., ერედვის ბერის საყდარი — X ს., ერედვის წმ. გიორგი — 906 წ., კუსირეთი — VIII-X სს., ხეთის საბაწმიდა — X ს., დისევი — X ს.) მოეპოვება,⁴ ხოლო წყელიკარის დარბაზულ ეკლესიას (XI ს.) კი — ჯავახეთში (აგარა — X ს.).⁵

შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები და ტენდენციები ასახულია აფხაზეთის IX-X სს. ძეგლებში, რომლებიც გარდამავალი ხანის უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნებიან და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ძიებებით გამოირჩევიან. ამ ძიებების პროცესში ქართულ ხუროთმოძღვრებაში

¹ დ. თუმანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80. Л. Шервашидзе, Археологические раскопки в крепости Аба-анта. Плевые археологические исследование в 1976 г., Тб., 1979, გვ. 233.

² Л. Рчеулишвили, Купольная архитектура..., გვ. 73-74.

³ დ. თუმანიშვილი, აფხაზეთის ქრისტიანული ტაძრები. — ჯვარი ვაზისა, I, გვ. 68.

⁴ რ. ხვისტანი, ჩხორთოლის ეკლესია. — აფხაზეთი, I. თბ., 2006, გვ. 129.

⁵ Л. Шервашидзе. Цкеликари. Материалы археологии Абхазии. Тб., 1971, გვ. 64.

გაბატონებულ ადგილს ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა იკავებს, რომლის ძირითადი მანსიათებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის წაგრძელებული ფორმის ნაგებობა. ასეთი ნაგებობის მასები სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნიან. ოთხ თავისუფლად მდგარ ბოძზე დაბჯენილი გუმბათი აღმართულია ტაძრის მკლავების გადაკვეთაზე. ტაძრის ეს ტიპი მრავალფეროვანია, იგება „თავისუფალი ჯვრის“ და „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ტაძრები.¹

„ჩაწერილი ჯვრის“ ძირითად ბირთვს ჯვარ-გუმბათოვანი სტრუქტურა შეადგენს. ეს თემა დროთა განმავლობაში თანდათან ვითარდება და რთულდება, რაც ძირითადი ერთიანი კომპოზიციური სტრუქტურისათვის ცალკეულ ელემენტთა დამატებაში გამოისახება. ანაკოფიის ტაძარში, ბზიფში წარმოდგენილ ძირითად კომპოზიციას დასავლეთით ნართექსი ემატება, რომელიც უშუალოდ ძირითად კორპუსს ერწყმის. აქ კარიბჭეები გამოწვეულ ფორმას ქმნიან. ანაკოფიის ტაძრის გეგმა ლიხნში მეორდება. აქ ინტერიერს, ანაკოფიისაგან განსხვავებული, ნართექსს ზევით მოთავსებული პატრონიკე ამრავალფეროვნებს. ლიხნის ინტერიერის გრანდიოზულობისა და დიდებულების შთაბეჭდილება გაძლიერებულია სამი მხრიდან შემოვლებული ორსართულიანი გარშემოსავლელითა და დასავლეთ მხარეს დამატებული ორი სვეტით.

წინარე ხანის არქიტექტურულ ფორმათა ძიებას სრულყოფილი სახე აქვს მიღებული მოქვის ტაძარში. თავისი მშვიდი და მკაცრი სიმეტრიულობით კლასიკური ხანის ქართულ ტაძრებს უკავშირდებიან ბზიფისა და ანაკოფიის ტაძრები. ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურაში დამკვიდრებულ „ცხოველხატულ“ სტილს ასიმეტრიულობითა და დინამიურობით ესმინებიან ლიხნისა და მოქვის ტაძრები.

„ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ძეგლებში — ბზიფი (IX ს.), ანაკოფია, ლიხნი და მოქვი (X ს. 60-იანი წლები. აფხაზეთა მეფე ლეონ III-ის, ბაგრატ III-ის მკვიდრი ბიძის აგებული) ბიზანტიელების კვალიც ჩანს. ასეთია, მაგალითად შიგნით შეზნექილი სვეტებისაგან შედგენილი

¹ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი. ქართული არქიტექტურის განვითარების გზები. თბ., 1936, გვ. 82-83. В. Беридзе. Некоторые вопросы..., გვ. 7; მისივე: ძველი ქართული..., გვ. 47.

გუმბათი, რომელსაც ინგლისელები „გოგორისებურს“ უწოდებენ; სამი შვერილი აფსიდი აღმოსავლეთ მხარეს და სადგომების უშუალოდ (დასავლეთი კედლის გარეშე) გახსნა შუა სივრცისაკენ. ამ ნიშნების გამო, XIX საუკუნიდან მოყოლებული, მათ ბიზანტიური ხელოვნების ქმნილებებად თვლიდნენ. ამ ეკლესიებს აქვთ მეტად საგულისხმო ნიშან-თვისებები და მხატვრულ-ისტორიული მახასიათებლები, რომელთა მიხედვით ისინი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებია, „ბიზანტი-ზმები“ კი მხოლოდ მინარევებია. ოთხივე ტაძარი ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაბჯენილი გუმბათით. ასეთი აგებულების გუმბათიანი ნაგებობა X საუკუნიდანაა გავრცელებული ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძველ რუსეთში. კონსტანტინოპოლსა და თესალონიკში, ერთი სიტყვით, მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში. ამ სახის უადრესი ტაძრები სადღეისოდ საქართველოსა და სომხეთშია მიკვლეული. აღმოსავლეთ საქართველოში ამ სახის ტაძრების უწყვეტი მწკრივი გვაქვს (წრომი — VIII ს., სამშვილდე — VIII ს., იყალთო და რუსი — VIII-IX სს.), როცა ბიზანტიაში „ჩაწერილი ჯვრის“ არქიტექტურული თემა ამ პერიოდში ახლად იკიდებს ფეხს.

„ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის აფხაზეთის ტაძრებში უადრესი ბზიფის ტაძარია, რომელიც ამჟამად ქართლის ძეგლებს უკავშირდება. აფხაზეთში ამ ტიპი სხვა შენობებიც (ისევე, როგორც „სამეკლესიანი ბაზილიკა“) საერთოქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ქართულ სამყაროზე მიგვითითებს აღნიშნული ძეგლების გარე და შიდა აღნაგობა, სადაც გუმბათქვეშა თალები პირდაპირ ბურჯებზეა დაყრდნობილი; ანალოგიური ბიზანტიური ძეგლების გუმბათი კი დაბალ საბჯენებზე ამოყვანილ კედლებს ეყრდნობა. აფხაზეთის ტაძრების კედლები გარედან არაა დაცხრილულ-დაცხაურებული ბიზანტიური ძეგლებივით. ბზიფის ტაძრიდან (IX ს.) მოქვის ტაძრამდე (X ს.) საკურთხევლისკენა ღერძის გაყოლებით შეინიშნება მოცულობათა თანდათანობითი სიგრძივი ზრდა, ბიზანტიურ ძეგლებში კი, VI საუკუნიდან მოყოლებული, საპირისპირო პროცესი ხდება — სიგრძივი ღერძი თანდათანობით მოკლდება.¹

¹ ზ. ჯანგველაძე, IX-X სს. საეკლესიო ხუროთმოძღვრება აფხაზეთში. — საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 44.

ლიხნის დასავლეთი პატრონიკეს რამდენიმე სართულად დაწყობილი თაღები, რომელიც ბიზანტიური არქიტექტურისათვის უცხოა, გურჯაანის ყველაწმინდაშია დამუშავებული და ამბარის „სამეკლესიანი ბაზილიკაში“ გადმოსული. საქართველოში აფხაზეთის და კახეთის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი დიდი თაღოვანი ბჭეები, რაც აგრეთვე უცნობია ბიზანტიური ხუროთმოძღვრებისათვის.

ბიჭვინთის ტაძარი განსხვავებული გუმბათქვეშა კონსტრუქციის გამო „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ტაძრებში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა. ძეგლი მდებარეობს ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე შავი ზღვის ნაპირას, ბიჭვინთის ყურეში. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია აბანოს, სასახლისა და ტაძრების ნაშთები; ერთ-ერთი ეკლესიის იატაკი დაფარული იყო მოზაიკით, რომელიც ადრექრისტიანულ სიმბოლოურ-ალეგორიულ გამოსახულებებსა და ორნამენტულ მოტივებს შეიცავდა (IV-V სს.).

ბიჭვინთის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, მაგრამ დასავლეთით აქვს ნართექსი და აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი. ნართექსი საქართველოში იშვიათია, შვერილი აფსიდები კი ახასიათებს ადრინდელ ქართულ ეკლესიებს, უფრო გვიან შავი ზღვის სანაპიროს ძეგლებს და აქა-იქ აღმოსაღეთ საქართველოს ძეგლებსაც. ბიჭვინთის ტაძრის დასავლეთის მკლავი სამხრეთი პატრონიკეთია აღჭურვილი. ტაძრის გუმბათი საკურთხევლის კედლებს ეყრდნობა და არა ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ეს თემა გარდამავალ ხანაში დამუშავდა. მისი ადრეული ნიმუშები კახეთსა და ტაო-კლარჯეთში (ბარცხანა, ოზაანი, ხანძთა — IX-X სს.) გვხვდება, XI საუკუნიდან კი მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართულ არქიტექტურაში. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია ბაგრატ III-ის აგებულსა და ჩვენს მატიანეში დიდი აღტაცებით ნახსენებ ბედიის ტაძარს. როგორც არქიტექტორ-რესტავრატორმა ლ. ხიმშიაშვილმა გაარკვია, ახლანდელი ნაგებობა ბაგრატიისეულის ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში. სამაგიეროდ, მანვე გამოავლინა თავდაპირველი ეკლესიის გეგმა, რომელიც დაახლოებით იმგვარივეა, როგორც ზემოგანხილული

გუმბათიანი ეკლესიებისა.¹

აფხაზეთის გარდამავალი ხანის ძეგლებს შემდეგი თავისებური ნიშნები ახასიათებს: შვერილი აფსიდა აღმოსავლეთის მხარეს, ტაძრის ძირითადი სივრცისაკენ დამატებითი კომპარტიმენტების თავისუფალი გახსნა, ნართექსი დასავლეთის მხარეს, ფასადთა ტუნწი მორთულობა. იგივე ნიშნები სხვა ქართული რეგიონების საეკლესიო არქიტექტურასაც ახასიათებს, რდაგან იგი ზოგადქართული მოვლენაა. შვერილი აფსიდები აქვთ ვაჩნაძიანთ ყველაწმიდას (VIII ს.) და განვითარებული შუა საუკუნეების გელათის მთავარ ტაძარს (XII ს.), ტიმოთესუბნის ეკლესიას (XII-XIII სს.) და მეტეხის ტაძარს (XIII ს.). დამატებითი კომპარტიმენტების თავისუფალი გახსნა ტაძრის ძირითადი სივრცისაკენ ცნობილია სამშვილდის სიონში (VIII ს.), იკორთასა (XII ს.) და XII-XIII საუკუნეების სხვა ქართულ ძეგლებში. დასავლეთის ნართექსი გვხვდება წრომის ტაძარში. ეს ფორმა მართო ბიზანტიურ სუროთმოდღვრებას არ ახასიათებს, იგი საერთოდაა დამახასიათებელი ქრისტიანული სუროთმოდღვრებისათვის.¹ პატრონიკე შუასაუკუნეების ქართულ სუროთმოდღვრებაში, მართალია, აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც გვხვდება (ვაჩნაძიანთ ყველაწმიდა — IX ს., ალავერდის ტაძარი — XI ს.).

ქართულ ტრადიციაზე აფხაზეთის ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრებში მრავალი კომპონენტი მეტყველებს. აფხაზეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, კედლების წყობაში (ბიჭვინთის გარდა), თლილი ქვა გამოყენებული. ორივე რეგიონში გუმბათქვეშა კვადრატადან გუმბათის წრეზე გადასვლისას იყენებენ ეპოქისათვის დამახასიათებელ აფრებს, ბიზანტიაში კი აფრების ნაცვლად — ტრომპებს. აფხაზეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტაძრებში დასავლეთ-აღმოსავლეთის

¹ ვ. ბერიძე, ძველი ქართული..., გვ. 44-45; ლ. ხიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი, ბეღია), — ძეგლის მეგობარი, 14, თბ., 1969, გვ. 77; ი. ვარსიმაშვილი, ბეღია — ძეგლის მეგობარი, თბ., 1973, გვ. 31-32.

¹ Л.Д. Рчеулишвили, Купольная..., გვ. 77; პ. ზაქარაია, ქართული სუროთმოდღვრება XI-XIII სს. თბ., 1990, გვ. 29, 42.

სიგრძივი ღერძის თანდათანობით დაგრძელება ხდება, ბიზანტიურ ნაგებობებში კი პირიქით — სიგრძივი ღერძი მოკლდება. აფხაზეთის ტაძრებს ახასიათებს საკუროთხევლის აფსიდის ნალისებური მოყვანილობა და ფასადთა ტუნწი მორთულობა. ამ ნიშნით ისინი კახეთის ძეგლებს უახლოვდებიან, სადაც ალავერდის ტაძრის გარდა, ყველა ძეგლი მოურთველია.

აბსიდის ჩრდილო მხარეზე ძირითად ნავთან კარით დაკავშირებული, ნავთან შედარებით მოკლე, შესაბამის ფასადზე საფეხურად შეჭრილი სათავსოები აქვთ გამოყენებული ილორის (XI ს.), ლაშქენდარის (X-XI სს.), ლუბურიშის (XI ს.) და აჩანუას დარბაზულ ეკლესიებს,¹ რომელთა ანალოგიური კომპოზიციისა და სუროთმოდღვრული ნიშნების მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში (ქართლი, ჯავახეთი, არაგვის ხეობა, რაჭა) გვხვდება. აღნიშნული ძეგლები აგრძელებენ აღებული ეპოქის ქართული სუროთმოდღვრების ხაზს.²

რუსმა არქეოლოგმა ბ. რაევმა ქ. ადლერის შემოგარენში (კრასნაია პოლიანას მიდამოებში) XI-XIII სს. ხუთი აშკარად ქართული დარბაზული ეკლესიის ნაშთი (ლიპნიკი, კრიენ ნერონი, გოლოცინი, ახშთირი) შეისწავლა. ამ ძეგლების გეგმარება და კონსტრუქცია მან საქართველოს ძეგლების (დრანდისა და ნოქალაქევის) ანალოგიურად მიიჩნია.³

ბიჭვინთაში, მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბაში, დრანდასა და გაგრაში გამოვლენილია VI-VIII სს. რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებ-

¹ А. Кацья, Илори (Памятник XI века), Тб., 1963, გვ. 78; М. Трапш. Труды, т. 4. Сухуми, 1975, გვ. 85; რ. ზვისტანი, ქრისტიანული ძეგლები ოქუმსწყლის ზემო წელზე (ლუბურიშის ეკლესია). — ძიებანი, №2, თბ., 1998, გვ. 90; А. Кацья, Памятники архитектуры в долине Цкаура, МАА, Тб., 1967, გვ. 91.

² А. Кацья, Памятники архитектуры..., გვ. 91.

³ В. Белоцерковская, Средневсковские крепости в олимпийской осаде. — Наука и жизнь, №1, М., 2008, გვ. 148-149.

ბული ადგილი წებელდის ბარელიეფებს უჭირავთ. ბიბლიური სიუჟეტებით შემკული აღნიშნული ბარელიეფები ამ რეგიონში აღმოსავლეთ საქართველოს გავლენის მაჩვენებელია. ანაკოფიის ციხის ეკლესიაში ბერების მიერ XIX ს. აშენებულ კედელში ჩაყოლებულია ახლო-მახლო დანგრეული ეკლესიებიდან მოტანილი X-XI სს. რელიეფიანი ქვები, რომლებიც ქართლისა და სამხრეთ საქართველოს რელიეფებს ემსგავსებიან.¹

ზოგიერთი ავტორი, წარსულშიც და დღესაც, საქართველოსთან დამაკავშირებელი ისტორიულ-კულტურული ძირებისა და კავშირების იგნორირებითა და გაყალბებით ამკვიდრებს მცდარ, ტენდენციურ აზრს აფხაზეთის ისტორიის, ხელოვნების, კერძოდ კი ხუროთმოძღვრების განვითარების საკუთარი, დამოუკიდებელი გზის არსებობის შესახებ. აღნიშნული ავტორები აფხაზეთის ადრე შუა საუკუნეებისა და გარდამავალი ხანის ეკლესიების ზემოთ განხილულ თავისებურ ნიშნებს, ქართული პარალელების შეგნებულად გვერდის ავლით, „აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების აფხაზურ-ალანური სკოლის“, ან „აფხაზური ხუროთმოძღვრების“ თავისებურებად თვლის,² რაც ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ცალკეული განსხვავებული ნიშნების არსებობა შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლოგიკური, კანონზომიერი მოვლენაა. მკვეთრი სხვაობა კახეთის, ქართლისა და სხვა ქართული „ქვეყნების“ ხუროთმოძღვრულ ძეგლებშიც ვლინდება.

ასეთ სურათს გვიხატავს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ადრე შუა საუკუნეებისა და გარდამავალი ხანის საკულტო ხუროთმოძღვრება. ამ სურათის გაყალბება შეიძლება, შეცვლა კი ვერა, სხვა სპეციალისტთა გასარკვევია, რა ენაზე

ლაპარაკობდა იმჟამინდელი აფხაზი, ის კი უთუოა, რომ იგი ქართული კულტურული სამყაროს მონაწილე ყოფილა, შესაბამისად, „ქართლის ბედის“ მოზიარეც უნდა იყოს.¹

¹ Р. Шмирлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 77; დ. თუმანიშვილი, აფხაზეთის ხუროთმოძღვრების..., გვ. 81.

¹ В.П. Пачулия. В стране золотого руна, М., 1863; Л.Д. Хрушкова. Скульптура раннесредневековой Абхазии, М., 1980; Ю.Н. Воронов, В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978; История Абхазии, Под ред. С.А. Лакоба, Сухуми, 1991 და სხვ.

¹ დ. თუმანიშვილი. აფხაზეთის ხუროთმოძღვრების..., გვ. 88.

§7. მასალა სვანეთის ქრისტიანული არქეოლოგიისათვის

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის ექსპედიციამ (ხელმ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ჩართოლანი), ნასოფლარ ხეშკილში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1997-98 წლებში აწარმოა.¹ ნაწილობრივ შესწავლილ იქნა ეკლესიასთან დაკავშირებული სამაროვანი, აიზომა და დაფიქსირდა ნასოფლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად შემორჩენილი შუასაუკუნეების ძეგლები.

ნასოფლარი ხეშკილი მდებარეობს დაბა მესტიის სამხრეთ-დასავლეთით 10 კ-მის დაშორებით, მდინარეების – ენგურისა და მულხურას წყალგამყოფ ქედის სამხრეთ კალთაზე, ტყით დაფარულ ფერდზე. ნასოფლარში ზედაპირულად ოთხი ეკლესიის (წმ. გიორგი, ელია, მაცხოვარი, წმ. ბარბარე) ნაშთია შემორჩენილი. წმ. ბარბარეს ეკლესიის ნანგრევში ექსპედიციამ კარების თავსართ ქვაზე შესრულებული რელიეფური, ე.წ. „ბოლნური“ ჯვარი გამოავლინა, რომელიც იმეორებს კუხეთში (რუსთავი) გამოვლენილ, V-VII სს-ით დათარიღებულ სარკოფაგზე ამოკვეთილ რელიეფური ჯვრის ფორმებს.²

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (ჯგრაგ) მდებარეობს ნასოფლარის ჩრდილო ნაწილში, დამრეცი ფერდის მცირე გავაკებაზე. ძეგლზე მცენარეული საფარისა და ნაყარის მოხსნის შედეგად გამოჩნდა სამნაწილიანი ნაგებობის მიწის ქვეშ მოქცეული სხვადასხვა სიმაღლის კედლები. იგი წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე დამხრობილ (მცირეოდენი დამხრობით) ერთნაგიან დარბაზულ ეკლესიას (6,5X4,5 მ) დასავლეთი (2,5X9 მ) და სამხრეთი (6,5X3,5 მ) ოთხკუთხა მინაშენებით (ტაბ. V).

ცენტრალური სათავსოს (დარბაზის) კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1,5 მ-დან 2 მ-მდეა, დასავლეთის სათავსოსი 10 სმ-დან 50 სმ-

¹ შ. ჩართოლანი, რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი, ხეშკილის წმინდა გიორგი. „ძიებანი“, №6, თბ., 2000, გვ. 87-96.

² გ. მინდიაშვილი, 1999 წლის საველე სამუშაოები, „ძიებანი“, №6, 2000, გვ. 100.

მდე, სამხრეთის სათავსოდან მარტო საძირკველია შემორჩენილი.

დარბაზის დონესთან შედარებით ერთი საფეხურით ამაღლებული (სიმაღლე 0,6 მ), აღმოსავლეთისაკენ მიმართული საკურთხევლის აბსიდი გვემით ნახევარწრიულია (გაშლილი ნახევარწრე). იგი დარბაზს ცენტრალურ ნაწილში მოწყობილ, შირიმის კვადრების ორი საფეხურისაგან შემდგარი აღსავლით (კიბით) უკავშირდება. აღსავლის ორივე მხარეზე შემორჩენილია შირიმის კვადრების ორი საფეხურისგან შემდგარი საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვრების ბაზები (სიმაღლე 20 სმ, სიგანე – 35 სმ).

აბსიდის მოედნის (არდაბაგის) კიდეზე გაყოლებულია შირიმის კვადრებისაგან გამოყვანილი 20 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანის შელესილი კანკელის (ზღუდარის) ქვედა ნაწილი, რომელზეც მონატულობის კვალია შემორჩენილი. აბსიდის აღმოსავლეთ კედლის ცენტრში მოწყობილია კედელზე მიდგმული, კირის ხსნარზე შირიმით გამოყვანილი შელესილი ტრაპეზი (შემორჩენილი სიმაღლე – 42 სმ, სიგანე – 60 სმ, სისქე – 45 სმ), რომლის მარჯვნივ შემორჩენილია კედელში დატანებული პატარა, ოთხკუთხა ნიში.

ინტერიერში, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების ძირში, დარბაზს 35 სმ სიგანისა და 20 სმ სიმაღლის შირიმის კვადრებისაგან შედგენილი შელესილი ხარისხა (ჩამოსაჯდომი) შემოუყვება. ანალოგიური ზომის ერთსაფეხურიანი ცოკოლი ნავს საფასადო მხრიდანაც ჰქონდა შემოვლებული, მომცრო კარი (სიგანე 1 მ) დარბაზსა და დასავლეთის მინაშენსაც დასავლეთ კედელში აქვს დატანებული. აბსიდის მოედნისა და დარბაზის იატაკი კირის ხსნარის სქელი ფენითაა მოსწორებული.

ეკლესიის ცენტრალური სათავსოს კედლის (სისქე 80 სმ) წყობა პერანგულია, საშენად გამოყენებულია შირიმის კვადრები. საშუალო ზომის კვადრების ორ პარალელურ რიგს შორის სივრცე ამოვსებულია წვრილი ქვითა და კირის ხსნარით. თითოეული რიგის სიმაღლე მერყეობს 35-40 სმ-ს შორის. მოსაპირკეთებელი კვადრების სისქე 15-20 სმ-ია. კედლებში სიმძიმის მასის ძირითად დატვირთვას არა გარეთა კვადრები, არამედ მათ შორის სივრცის შემვსები დულაბი ლებულობს. ნაკერის სისქე მინიმუმამდეა დაყვანილი. კვადრებს შორის

წარმოქმნილი ღრიჭოები კირის ხსნართაა ამოვსებული. კვადრები საგულდაგულოდ ერთმანეთზე ისეა მორგებული, რომ ხსნარი გარეთ არ დაღვრილიყო.

დასავლეთისა და სამხრეთის მინაშენების კედლის (სისქე – 80 სმ) წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვა, შემკრავად – კირის ხსნარი, ორივე სათავსოს იატაკი თიხატკეპნილია.

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში, სადაც ზედაპირულად მოჩანდა რამდენიმე საფლავის ქვა, გაითხარა ქვების შესაბამისი ორი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული თითო მიცვალებულის ჩონჩხი. ჩონჩხები კარგად იყო დაცული, ინვენტარი სამარხებში არ აღმოჩენილა.

ხეშვილის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების საერთო რაოდენობა (საველე ნუმერაციით) ასორმოცდაათს აღემატება. მასალები დაცულია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა-ფონდსაცავში (დაბა მესტია).

არქეოლოგიურ მასალაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს შეწირული, დარბაზისა და აბსიდის იატაკზე დაფიქსირებული, რკინის იარაღი – ისრისპირები (ტაბ. VI).

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისა და მიწის სამუშაოების დროს 3 ათასზე მეტი რკინის ისრისპირია აღმოჩენილი. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია განძის სახით, სხვები აღმოჩენილია სამარხეულ კომპლექსებში. ისრისპირები დიდი რაოდენობითაა დაცული საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქუთაისის, მესტიის, ზუგდიდის, ცაგერის და სხვა მუზეუმებში. მარტო სანეთის მუზეუმსა და ეკლესიებში 2000-ზე მეტი ისრისპირია დაცული.¹

საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით დადგენილია, რომ მჭედლები ამზადებდნენ სამი სახის – სარძოლო, სანადირო და საკულტო დანიშნულების ისრისპირებს.

ხეშვილის ისრისპირებს შორის გამოიყოფა სანადირო და საბრძოლო, ანუ საყალბო ისრისპირები, სანადირო ისრისპირებს

¹ შ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976, გვ. 30-35.

განეკუთვნება ორკაპა ბოძალი და ქიბორჯი ისრისპირები. ვახუშტის ცნობით, მათი ფუნქცია მსხვილ ნადირზე გამოყენება ყოფილა.¹ ბოძალებში გამოირჩევა სხვადასხვა ზომის გაშლილი, ვიწრო წახნაგოვანი და გლუვი, ერთ ან ორივე მხარეს ალესილი ფორმის მქონე ისრისპირები. ქიბორჯი ისრისპირებში ფართო და ვიწროკაპიანი ფორმები გამოირჩევა.

სანადირო დანიშნულების მეორე ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს ე.წ. ქებიური, პირდიდი და ფრთამაღალი ისრისპირები. ეს ტიპიც მსხვილ ნადირზე სანადიროდაა განკუთვნილი.

ხეშვილის ისრისპირების ძირითადი ჯგუფიდან აღსანიშნავია ფოთლისებური ანუ ალისებური, რომელიც და ბრტყელი სატეხისებური.

საბრძოლო ისრისპირებს შორის ხეშვილის მასალაში ტექნიკური და მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა ოთხკუთხაგანიკვეთიანი, სამკუთხა და რომბული, რომელთაც სულხან-საბას მიხედვით, სარჩა ისრისპირები ეწოდება.²

ხეშვილის ბოძალი ისრისპირების ერთი სახეობა (ტაბ. VI-13) მგსავსია ურბნისის ადრე შუასაუკუნეების პერიოდის ისრისპირების ფორმებისა.³ მეორე სახეობა (ტაბ. VI-11) კი ჩვაბიანის მთავარანგელოზის ეკლესიაში (XI ს.) შელესილობაზე არსებულ ნადირობის ამსახველ გრაფიკულ ნახატზე გამოსახულ ისრისპირებთან პოულობს მსგავსებას.⁴

საბრძოლო იარაღს განეკუთვნება ეკლესიის დარბაზის იატაკზე დაფიქსირებული რკინის უმბონი და კვერთხისთავი (ტაბ. VII-7). კვერთხისთავები, ანუ ლახტისთავები, ეკლესიებისათვის შემოწირულ მასალებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სვანეთში. ე.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 14.

² სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1962, გვ. 18.

³ ლ. ჭილაშვილი, ურბნისი. თბ., 1964, გვ. 126, სურ. 55.

⁴ სვანეთი, I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1977, ტაბ. XXII-4.

თაყაიშვილის აღრიცხვით, სვანეთის ეკლესიებში კვერთხისთავების საერთო რაოდენობა 12 ცალი იყო.¹ 1972-74 წლებში სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ 5 კვერთხისთავი იქნა გამოვლენილი.²

კვერთხი შუასაუკუნეებში სვანეთის ერთობლივი თუ ცალკეული თემის მიერ არჩეული მახვშის ხელში ხელისუფლების მიმანიშნებელი ინსიგნია იყო ლაშქრობის თუ ყრილობებისა და სახალხო კრებების ცერემონიალში.³

ეკლესიის აბსიდის იატაკზე დაფიქსირებულ ნივთებს შორისაა რკინის მომცრო ვჯარი, სპილენძის ზარაკები, ჟღარუნები და ვარდულის ფორმის სასანთლე. ხეშკილის ელიფსური მოყვანილობის ზარაკისა (ტაბ. VII-6) და სფერული ფორმის მქონე ჟღარუნის (ტაბ. VII-3) ანალოგიური ზარაკი და ჟღარუნა უღვალის (სვანეთი) ეკლესიაშია დაცული.⁴ ბრინჯაოს ნივთებიდან ხეშკილში გვაქვს ანჯამების ფრაგმენტები (ტაბ. VIII-10,14).

ხეშკილის არქეოლოგიური მასალის ნაწილს ეკლესიის მინაშენებისა და სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები შეადგენს (ტაბ. IX). თიხის ჭურჭელი ძალზე ერთფეროვანია. ძირითადად გვხვდება სასუფრე დანიშნულების მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელი (ქოთნები, ქილები, ღოჭები, ღერგები, ჯამები, თეფშები, ხელაღები და სხვ.). მოუჭიქავი ჭურჭელი დამზადებულია საკმაოდ უხეშად დამუშავებული ჭარბი მინარეგებიანი თიხისგან. ჭურჭელი გამომწვარია სხვადასხვა ფერად: წითლად, ყავისფრად, ლეკად, მონაცრისფრად. ყველა სახის ჭურჭელი ჭარბად ქარსნარევიანია, რაც, როგორც უტყობა, თიხის ადგილობრივი კარიერების თავისებურება უნდა იყოს. ჭურჭელი ერთფეროვანია, როგორც დანიშნულების, ისე ფორმის მიხედვით. გვხვდება ერთი სახეობის, თითქმის ერთი ტიპის

ჭურჭელი. მოზრდილი ჭურჭელი უფრო სქელკედლიანია, მომცროებს კი შედარებით თხელი კეცი აქვს. ყველა ჭურჭელს აქვს თითქმის ერთი ფორმის ბრტყელი ძირი.

ჭურჭლის შესამკობად საკმაოდ ძუნწადაა გამოყენებული ორნამენტად ქცეული კონცენტრულად და ტალღისებურად ამოღარული ხაზებით შედგენილი სარტყლები. ძირის ფორმების, კეცისა და გამოწვის მიხედვით, ხეშკილის მასალის დიდი ნაწილი ანალოგიებს პოულობს გვიანი შუასაუკუნეების (XVI-XVII სს.) ხაიშის ციხისა და დიზის სამაროვანზე აღმოჩენილ შესაბამის თიხის მასალასთან.

კეცის, ანგობისა და ჭიქურის მიხედვით, ხეშკილის მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. IX – 16, 17, 19, 20) ანალოგიურია სვანეთში, ეცერის სამაროვანზე აღმოჩენილ XVII ს-ის დასასრულით დათარიღებულ თიხის მოჭიქული ჯამისა.¹ მოჭიქული კერამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფილა გავრცელებული სვანეთში. საამისოდ ყველაზე ადრეული არქეოლოგიური დასტურია ბეჩოში აღმოჩენილი მწვანე ჭიქურიანი ღოჭი, რომელიც საქართველოს ანალოგიური მონაპოვრების მიხედვით XII ს-ით თარიღდება.²

ნიმანდობლივია ის ფაქტიც, რომ სვანეთის ეკლესიებში შემონახულია სხვადასხვა საუკუნეების ადგილობრივი მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. სვანეთში მრავლადაა გამოვლენილი შორეული რაიონებიდან შემოტანილი მოჭიქული ჭურჭელი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამ სახის ფუფუნების საგნებზე გაზრდილი მოთხოვნის საბუთია.

ეკლესიის დასავლეთის მინაშენში აღმოჩნდა ირანული ვერცხლის მონეტა წარწერით: „არ არს ღმერთი გარდა აბასისა“ (სურ. 1), რომელიც სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლის, აბას II (1642-1666 წწ.) დროსაა მოჭრილი (მონეტა განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ირინა ჯალაღანიამ).

¹ შ. ჩართოლანი, მასალები, გვ. 39.

² В. Артилаква, Железообрабатывающее ремесло древней Грузии, Тб., 1977, таб. XXII-4.

³ შ. ჩართოლანი, მასალები..., ტაბ. XXX.

⁴ შ. ჩართოლანი, მასალები..., სურ. 35-36.

¹ შ. ჩართოლანი, მასალები..., გვ. 63, ტაბ. X II.

² შ. ჩართოლანი, მასალები..., გვ. 63, ტაბ. X III.

ეკლესიის თაღებით სამად დანაწევრებული კანკელის ანალოგიური ფორმის კანკელები სვანეთის ეკლესიებში მრავლადაა (ადიშის მაცხოვარი – X-XI სს; ადიშის წმიდა გიორგი – XI ს. იელის წმიდა გიორგი – X-XI სს. იფრალის მთავარანგელოზი – XI ს. ქურაშის წმიდა გიორგი – XI ს. და სხვ. აღნიშნულ ეკლესიებში კანკელები ან ორნამენტირებული დეკორით არის მოხატული, ან წმინდანების გამოსახულებებით. როგორც შემორჩენილ ნიშბისა და რეესტრის გამყოფი ორნამენტის (ტაბ. XI-2) ფრაგმენტებით ირკვევა, ხეშკილში კანკელი წმინდანებით ყოფილა მოხატული. წმინდანების გამოსახულებებით მოხატული კანკელები სვანეთში გვაქვს ლაგურკასა (X ს.) და ქურაშის „ჯგრაგში“ (XI ს.).

ეკლესიის აღმოსავლეთ კედლის ძირში აღმოჩნდა სარკმლის სათაური ქვები, რომლებზეც „აყვავებული“ (განელლებული) ჯვრის ფრესკული გამოსახულებაა (ტაბ. VI-I) და შირიმის ქვაში გამოკვეთილი ცხვრის თავ-კისერი, რომელიც ალბათ ფასადს ამკობდა. ანალოგიური რელიეფებით შამკულია წვირმის მთავარანგელოზისა (X ს.) და იფარის წმინდა გიორგის (X ს.) ფასადები.

ხეშკილის არქეოლოგიურმა გათხრებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა ეკლესიის ორი სამშენებლო პერიოდი: ზედა ჰორიზონტი წარმოდგენილია დასავლეთისა და სამხრეთის ოთხკუთხა სათავსოებით, ქვედა ჰორიზონტის ნაგებობა კი დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიით.

ძეგლის სტრატეგრაფია, არქიტექტურული სტილის ანალიზი, არქეოლოგიური მასალის შესწავლა და არსებული პარალელები საფუძველს გვაძლევს ხეშკილის წმიდა გიორგის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობის (ცენტრალური სათავსოს) აშენების თარიღად X-XI სს-ის მიჯნა მივიჩნიოთ, მეორე სამშენებლო პერიოდის ნაგებობისა (დასავლეთისა და სამხრეთის სათავსოები) კი XVI ს-ის ბოლო. XVII ს-ის ბოლოს ეკლესია წყვეტს ფუნქციონირებას.

§8. ადრე შუასაუკუნეების მცირე პლასტიკის ნიმუში სვანთიდან

ქვემოთ განხილულია მესტიის რაიონის სოფელ ნესგუნში (ლენჯერის საკრებულო) შემთხვევით მიკვლეული ეკლესიის ნაშთის გაწმენდისას აღმოჩენილი, ყალიბში¹ ერთიანად ჩამოსხმული ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი (სიმაღლე – 62 სმ, გაშლილი მკლავების სიგრძე – 50 სმ, სისქე თავში – 5 სმ, ძირში – 2 სმ), რომელზეც ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული. (სურ. 2)

ნესგუნი მდებარეობს ზღვის დონიდან 1480 მ-ის სიმაღლეზე, რაიონის ცენტრ მესტიიდან დასავლეთით 3 კმ-ის მანძილზე, ენგურის შენაკად მდ. მუხლურას (მესტიაჭალას) ხეობაში. სოფელში დგას IX-X საუკუნეების მიჯნაზე აშენებული, მცირე ზომის, მაცხოვრის ორ შესასვლელიანი დარბაზული ეკლესია, რომლის ინტერიერი XII ს-შია მოხატული. ეკლესიაში შემონახულია ქვის კანკელი.

ნესგუნის ჯვრის მეტ-ნაკლებად სწორი მკლავები ბოლოებში მომრგვალებულია. ჯვრის კიდე გამოყოფილია მის ირგვლივ შემონახული ღარი. ჯვარცმის სცენა მკვეთრი, დაბალი რელიეფითაა გამოსახული.

კოლობიუმით შემოსილი ქრისტე მოცემულია en face. შუბლზე ორი კლაკნილი ხაზია დატანილი, რაც შესაძლოა ეკლის გვირგვინს გამოსახავდეს. უთმო თავს რელიეფურად ამაღლებული, წრეში მოქცეული ჯვარი ადგას. ჯვრის ეს მკლავი ერთმანეთისაგან დაცილებული ორი პარალელური საკიდით ბოლოვდება.

ჯვრის იდეურ-კომპოზიციური ცენტრი ჭაბუკი ქრისტეს ფიგურაა, რომელიც გამოსახულია ცოცხალი, ღია თვალებით. ქრისტეს

¹ ჯვრების ჩამოსხმელი ქვის ყალიბები აღმოჩენილია რუსეთის ტერიტორიაზე, იხ. Б.А. Рыбаков, Ремесло древней Руси, Москва, 1948, ст. 261; А.Л. Якобсон, Реннестредневековый Херсонес, Материали и исследования по археологии СССР, Москва-Ленинград, 1959, отс. 179: 4; Древняя Русь, город, замок, мелю. Археология СССР, Москва, 1986, ст. 263, таб. 105-8, 100-17.

სახეზე წამებით გამოწვეული ტანჯვის ნაცვლად სიმშვიდეა აღბეჭდილი. სახე და ოდნავ დაგრძელებული ჰორიზონტალური მკლავები სხეულთან შედარებით მაღალი რელიეფითაა გადმოცემული.

ქრისტეს სახის ნაკვთები, პირი, ნუშის ფორმის გახეხილი თვალები, აზიდული წარბები და ტანსაცმლის დეტალები, პირობითადაა გამოყვანილი მეტ-ნაკლები სიღრმის ჩაჭრილი ხაზებით. ცხვირის გამომსახველი ხაზები მორკალულ წარბებში გადადის. სამოსის ფართო სახელოები ნაკეცებიანია. ნაკეცები ვერტიკალური ხაზებითაა გადმოცემული.

ჯვარცმაში ნახატი მოკლებულია პლასტიკურობას, უგულვე-ბელყოფილია ფორმათა მოდელირების ხერხი. განსაკუთრებით სქემატურადაა შესრულებული კოლობიუმის სახელოებს ქვედა ნაწილი, სადაც არცერთი ნაოჭი არ მიანიშნებს სხეულის რომელიმე ნაწილს. სხეულის პროპორციები დარღვეულია. განსაკუთრებით დისპრო-პორციულადაა გადიდებული ხელები და ფეხები.

მართალია ქრისტეს სხეულის ფორმა და პლასტიკურობა ნაკლებად იგრძნობა, მაგრამ უსიცივცხლოდ დაშვებული, ატროფირებული ქვედა კიდურები, რომლებიც პირდაპირ ილლიის ქვეშ იწყება, მისადაგებულია სახელოების ნაკეცთა დინამიკასთან. სახელოების ნაკეცებს, რომლებიც ორივე მხარეზე თითქმის უკისრო თავთან იწყება, აქცენტი მაცხოვრის თავზე გადააქვს.

ქრისტეს თავს ზემოთ აღმართული წრეში ჩასმული ჯვარი ზომითა და მონახაზით ოსტატურადაა შეწყვილებული ნიკაპიდან ფეხებამდე დაშვებულ კოლობიუმთან, რაც პირობითი სქემის ფიგურულ რელიეფში მაცხოვრის სახისაკენ მზერის მიმმართველ მკვეთრ დინამიურ აქცენტად აღიქმება.

შუასაუკუნეების საქართველოში უმაღლეს დონეზე ასულ ლითონის მხატვრულ დაბუშაგებასთან შედარებით ლითონის მხატვრული ჩამოსხმა მკრთალადაა წარმოდგენილი,¹ მაგრამ ყალიბში ჩამოსხმული ნიმუშები მაინც საკმაოდ გვაქვს. უშუალოდ ჯვარცმის გამოსახულებიანი

ჩამოსხმული გულსაკიდი ჯვრები ცნობილია შენაქოდან,¹ ძველი გავაზიდან,² ვანის ვილაეთიდან, თეძამიდან,³ სოხუმიდან, ლიხნიდან,⁴ ახალქალაქიდან⁵ და ულუმბოდან.⁶ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნიმუში ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, თავიდანვე ჯვარცმის ორი ტიპი გავრცელდა: ადრინდელ თეოლოგიურ ინტერპრეტაციაზე აგებული, ცოცხალი ქრისტე, რომელიც სიკვდილზე გამარჯვების იდეას გამოხატავს და ლოგმატიკური დებულების სახაცვლო – ტანჯვა-წამებით გარდაცვლილი ქრისტე.⁷ ნესგუნის ჯვრის პირდაპირ მდგომი, თვალებგახელილი ქრისტეს ფიგურის გამოსახულება შეესა-ბამება ადრექრისტიანული ლოგმატიკური ვერსიის ტრიუმფატორის იკონოგრაფიულ ტიპს, მასზე ადრინდელ თეოლოგიურ ინტერპრეტაციაზე აგებული ჯვარცმის („სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“) კომპოზიციაა გამოსახული.

როგორც აღვნიშნეთ, ნესგუნის გულსაკიდ ჯვარზე გამოსახულ ჯვარცმულ ქრისტეს სხეულს ნიკაპიდან ფეხებამდე დაშვებული გრძელი კოლობიუმი მოსავს. ცნობილია, რომ ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე

¹ რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973, გვ. 17-21, ტაბ. I.

² ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, გვ. 51, 62-67, ტაბ. XVI-5.

³ მ. ლაბაძე, გულსაკიდი ჯვრები, არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა II-III სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1982, გვ. 186-187.

⁴ Л.Г. Гельбак, Два предмета мелкой пластики из коллекции музея, Труды Абхазского Государственного музея, IV, Сухуми, 1974, гв. 168; Хрушкова Л.Г. Материалы мелкой пластики средневековой Абхазии, материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, гв. 62-73, ტაბ. 43, 1-2

⁵ გ. გაბუნია, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია, საველე არქეო-ლოგიური კვლევა-ძიება 1989-92 წლებში, თბ., 2004, გვ. 5-6.

⁶ კ. წერეთელი, გულსაკიდი ჯვარი ულუმბოს ღმრთისმშობლის მონასტრიდან, ხელნაწერი, გვ. 1-14, სურ. 1.

⁷ თ. საყვარელიძე, XII ს-ის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 3.

¹ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, гв. 12.

ჯვარცმული მაცხოვრის სხეული ფეხის ტერფამდე დაშვებული კოლობიუმითა დაფარული, IX ს-დან კი წინსაფრიანი ქრისტეს ტიპი მკვიდრდება.¹

გრძელი კოლობიუმი მოსავს VII-VIII სს-ით დათარიღებულ, სვანეთში დაცულ სირიულ თასზე გამოსახულ ჯვარცმულ ქრისტეს.² გრძელი კოლობიუმით შემოსვის ნიმუშებია აგრეთვე საცხენისისა და კიტროულის სტელებზე (VI-VIII სს.) გამოსახული ჯვარცმის კომპოზიციები.³

ზოგიერთი ნიშნებით ნესგუნის გულსაკიდი ჯვრის ახლო პარალელებია VIII ს-ით დათარიღებული უსანეთის სტელა, სადაც ნათლისღების კომპოზიციაში ყრმა ქრისტეს კვერცხისებური უნიმბო თავი პირდაპირაა დასმული პირობითად გადმოცემულ ტანზე და VIII-IX სს-ის გველდესის კანკელის ფილის რელიეფი, სადაც გრძელკოლობიუმია ჯვარცმული ქრისტე უნიმბოდაა წარმოდგენილი.⁴

ნესგუნის გულსაკიდი ჯვარზე ქრისტეს ფიგურა ხაზობრივ-გრაფიკულ მანერაშია შესრულებული. ფიგურა გაშლილია მთელ სიბრტყეზე, გადიდებულია კიდურების ზომები, ზედაპირი მჭიდროდაა შევსებული ფიგურით, რაც პირობითობისა და სიბრტყობრივობის შთაბეჭდილებას ქმნის. რელიეფურ დეკორში პლასტიკური ამოცა-

¹ Хрушкова Л.Г. მით. ნაშრ. გვ. 65.

² Г. Чубинашвили, Сирийская чаша в Ушгуле, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-13, 1941, გვ. 1-19, ტაბ. 2-4; К. Мачабели, Из сокровищницы Сванетии, Тб., გვ. 74-89, ტაბ. 14-17.

³ გ. ჯავახიშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბ., 1998, გვ. 35, ტაბ. XXIX, სურ. 1; К. Мачабели, Каменные кресты Грузии, თბ., 1998, გვ. 145-165, სქემა 7, ტაბ. 18; გ. ოთხმეხური, სტელა ნაეკლესიარ „ბერიჯვრიდან“, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №1, 1986, გვ. 88-94.

⁴ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1936, გვ. 212-213, ნახ. 166-167; Г. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, გვ. 115-116, ტაბ. 88-89; К. Мачабели, Каменные кресты Грузии, გვ. 197-219, სქემა 10, ტაბ. 22; 1962, გვ. 67-76.

ნების გადაწყვეტის ორნამენტულ-სიბრტყობრივი სტილის დომინირება კი შუა საუკუნეთა ქართული ხელოვნების განვითარების ე.წ. გარდამავალი ეტაპის (VII ს-ის მეორე ნახევარი, X ს-ის პირველი ნახევარი) ხალხური შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი.¹

ცალკე განხილვას მოითხოვს წრეში ჩასმული ჯვარი, რომელიც ნესგუნის გულსაკიდი ჯვარზე მაცხოვრის თავზეა აღმართული. ჯვარცმის კომპოზიციაში მაცხოვრის უნიმბო თავს ზემოთ წრეში ჩასმული ჯვრის გამოსახვის სხვა ნიმუში, ნესგუნის გულსაკიდი ჯვრის გარდა, ჩვენთვის უცნობია.

ნესგუნის ნიმუშზე წრეში ჩასმული ჯვარის გამოსახვა, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს დაბალი დაოსტატების ხელოსნის რომელიმე ნიმუშისადმი თავისუფალ, თვითნებურ მიდგომას. ნესგუნის ჯვარი ყალიბშია ჩამოსხმული, რაც თავისთავად ტირაჟირებას გულისხმობს. შეუძლებელია ოფიციალური ეკლესია შერიგებოდა საეკლესიო ხელოვნების კანონიკის ფარგლებს გარეთ გასვლას, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში დაკანონებული სქემისა და შემუშავებული ტიპის დარღვევას, მით უმეტეს ქრისტიანობის ისეთ კულმინაციურ მოვლენაში, როგორცაა ჯვარცმა. გულსაკიდი ჯვარის შემქმნელი უთუოდ იმ იკონოგრაფიული ნიმუშით ხელმძღვანელობდა, რაც ანატოლიის სახით ნესგუნის ჯვარმა შემოგვინახა.

როგორც ცნობილია, ქართული რელიეფების სტილის სპეციფიკა ერთი მხრივ განპირობებული იყო უცხოეთიდან მზა სახით შემოტანილ ადრექრისტიანული ტრადიციებით, მეორე მხრივ, იმ პუნქტებში, სადაც საერთოდ მიღებული ნიმუშები არ არსებობდა — ფორმების ადგილზე, დამოუკიდებლად შექმნილი,² სადაც ასეთი ორიგინალური ფორმები იქმნება, შეინიშნება გარკვეული მოუხეშობა, მერყეობა, რაც გარკვეულწილად კომპოზიციური აგების, ჩანაფიქრის ერთიანობით ინიღბება.³

ნესგუნის გულსაკიდი ჯვარზე ქრისტეს თავზე გამოსახული

¹ გ. ჯავახიშვილი, მითით. ნაშრ. გვ. 213.

² Г. Чубинашвили, Болнисский Сион, Известия института языка, истории и материальной культуры им. акад. Н.Я. Марра, т. 9, Тб., 1940, გვ. 146.

³ К. Мачабели, მითით. ნაშრ. გვ. 23.

ჯვარი სიმბოლურად ჯვარცმას უნდა გადმოსცემდეს. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობის ადრეულ ხანაში ჯვარცმის სიუჟეტს სიმბოლურად მისტიკური კრავითა და ჯვარით გადმოსცემდნენ, ქრისტეს ფიგურირანი ჯვარცმა კი V ს-დან ჩნდება.¹

საქართველოში აღმოჩენილ, ყალიბში ჩამოსხმულ გულსაკიდ ჯვრებიდან ნესგუნის ნიშეში ფორმით ყველაზე მეტ მსგავსებას ლიხნის (VII-VIII სს) და ულუმბოს (VII-VIII სს) ჯვრებთან ავლენს. მსგავსება შეინიშნება ჯვრის ვერტიკალური მკლავების ბოლოების ოდნავ გაგანაერებასა და მომრგვალებაში, ქრისტეს უნიმბოდ გამოსახვაში, ჯვარცმულის პოზაში, ფონისა და რელიეფთა დონეების ურთიერთ-მიმართებაში, ხელებისა და მთლიანად სხეულის პროპორციულ თანაფარდობაში.

ნესგუნის ჯვრის თარიღის საკითხის კვლევისას არსებითი მნიშვნელობისაა ჯვარცმის იკონოგრაფიაში, თუ როდის ჩნდება და მკვიდრდება გარდაცვლილი ქრისტეს სახე. მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით მომაკვდავი ან გარდაცვლილი ქრისტეს გამოსახულება XI ს. შუახანებამდე, ან XII ს-მდეც კი ცნობილი არ არის.² განსხვავებული თვალსაზრისის თანახმად ჯვარცმის ახალი ტიპის ადრეული ნიშეები IX ს-დან ჩნდება.³ ავტორთა პირველი ჯგუფის ძირითად დასაყრდენს ნიკტა სტეთატიკოსის სწავლება წარმოადგენდა, რომლის თანახმადაც ჯვარცმის გამოსახულების ახლებური გადაქმევა XI ს-ში განხორციელებულა, მაგრამ ვ. რიაბუშინსკიმ ამ თეორიის მცდარობა არგუმენტირებულად დაასაბუთა.⁴ ამავე დროს, ჯვარცმული ქრისტეს იკონოგრაფიაში განხორციელებული ცვლილებების ქრონოლოგიის საკითხთან მიმართებაში დოგმატიკურ-თეოლო-

გიურ პრობლემათა ასპექტების თეორიულ ანალიზზე გაცილებით მეტ და საყურადღებო ინფორმაციას რეალურად არსებული მასალა შეიცავს.¹ ჯვარზე გაკრული გარდაცვლილი ქრისტეა გამოსახული ევროპის მთელ რიგ ხელნაწერთა მინიატურებსა და საწინამძღვრო ჯვრებზე (მაგ.: ნიუ-იორკის Pierpont-Margan-ის ბიბლიოთეკის IX საუკუნის სახარების ჯვარცმა, X ს. მიწურულის ბრიტანეთის მუზეუმის ფსალმუნთა ჯვარცმა, 973-982 წწ. მათილდას პირველი საწინამძღვრო ჯვარი ესენის კათედრალიდან, XI ს. დასაწყისის ბერნვარდის ჯვარი ჰილდსჰეიმის ტაძრიდან),² საქართველოში – 973 წ. იშხნის ჭედურ ჯვარზე.³

ნესგუნის ჯვრის დათარიღებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ საქართველოში სხვადასხვა დროს გამოვლენილ ჯვარცმის გამოსახულებიან გულსაკიდ ჯვრებს, რომელთა უადრესი ნიშეები წინ უსწრებენ იმ ქართული წიგნის მინიატურის, კელის მხატვრობის თუ ჭედურობის ძეგლებს, რომლებზეც იგივე კომპოზიციაა გამოსახული. ჯვარცმის სიუჟეტში თვალგაზრდად ჩნდება ქრისტეს ე.წ. სერიული ტიპი ჩამოყალიბდა VII ს-ში, რისი მაგალითიცაა წმიდა მიწიდან ჩამოტანილი და რომის ლუთერანთა კაპელაში დაცული სამანსოვრო პილიგრიმული კოლოფი, რომელზე ასახული კომპოზიციები მთელ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი უძველესი ტაძრების კელის მხატვრობის ერთგვარ ასლებს წარმოადგენდნენ.⁴ რაც შეეხება გარდაცვლილი ჯვარცმული ქრისტეს იკონოგრაფიული ტიპის VIII ს. გაჩენის და X ს. საყოველთაოდ გავრცელების თაობაზე გამოთქმულ აზრს,⁵ იგი საქართველოში აღმოჩენილი გულსაკიდი ჯვრების მაგალითზე ფაქტობრივად დასტურდება. კერძოდ, ასეთებია VII-VIII სს. ყალიბში ჩამოსხმული ბრინჯაოს ჯვარცმიანი ორი ჯვარი

¹ Г. Чубинашвили, Болнисский Сион..., გვ. 120.

² Ш. Амиранашвили, Бека Опизари, Тбилиси, 1956, გვ. 29-30.

³ G Millet. Recherches sur l'Iconographie de L'Evangile, Paris, 1916, p. 396-460; Kunstle, eonographie der christlicher Kinst, I, Freiburg, 1928, p. 446-468; H. Vampenhuesen, E. Dinkler, Die Religion in Feschichte und Gegenwart (Handwörterbuch für Theologie und Religionswisswnschaft), IV b. Tübingen, p. 47-49

⁴ Bulletin of the buzantine institutum v. II, Boston, 1950, p. 567-596.

¹ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, № 87-88.

² P. Thobu, Le Vrucifix, tab. XIII, №29, XXIX, №68.

³ გ. ჩუბინიშვილი, 973 წლის იშხანის ჯვარი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 6, 1931, გვ. 297-314, ტაბ. 9-22.

⁴ H. Jantzen. Otonische Kunst, Munchen, 1947, fig. 161.

⁵ Н.П. Кондаков, Иконография Богоматери, т. 1, СПб, 1914, с. 48.

თვალთვალეზილი ქრისტიანი სოხუმიდან და ლინხედან (აფხაზეთი),¹ VII-IV სს. შუალედით დათარიღებული ჯვარი აღმოჩენილ ვანის ვილაეთში,² სოფ. შენაქოში არქეოლოგიური გათხრებისას IX-X სს. მასალასთან ერთად გამოვლენილი IX ს. ორი ჯვარი,³ IX-X სს. ჯვარი ძველი გავაზის ეკლესიის სამაროენიდან⁴ და VII ს-ის დასასრულისა და VIII ს-ის შუახანების ულუმბოს ჯვარი. დასახლებული მაგალითების გათვალისწინებით ნესგუნის ჯვარის შექმნის პერიოდი VIII-X სს. შუალედში თავსდება.

საქართველოში აღმოსავლურ ქრისტიანული ცენტრებიდან, კერძოდ სირია-პალესტინიდან შემოქმონდათ საეკლესიო კულტის სხვადასხვა ნივთები (ჯვრები, ხატები, წმიდა წიგნები, საცეცხლურები და სხვ.), რომლებიც შემდგომ ანალოგიური დანიშნულების ინვენტარის დამზადებისას ნიმუშად გამოიყენებოდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ითამაშა VI ს-ში ქართლში მოსულმა ე.წ. 13 სირიელი მამების დასმა, რომელთაც სამონასტრო ცხოვრების დაარსების, სარწმუნოების განწმენდის და ჭეშმარიტი რელიგიის ქადაგების მისია დაეკისრა და სწორედ კულტის ყველა დეტალსა და ატრიბუტზე ზრუნვის მიზნით მათ უნდა გაეგრძელებინათ ასეთი „ნიმუშები“ თუ მოდელები, რომელთა მიხედვითაც ადგილობრივი ოსტატები საჭირო რაოდენობის ლიტურგიულ და სხვა დანიშნულების საეკლესიო ნივთებს ამზადებდნენ.⁵ აღმოსავლურ ქრისტიან-

ნული საცეცხლურების მაგალითზე ნათლად ჩანს ქრისტიანული სწავლების, კერძოდ სახარებისეული სცენების ძირითადი იდეის განზოგადებულ სახეებში გადმოცემის, პლასტიკური გამომსახველობის უკიდურესი ლაკონურობის, მოქმედ პირთა მინიმუმამდე დაყვანის და სიუჟეტის სიმბოლური მნიშვნელობის ხაზგასმის გამოკვეთილი ტენდენცია. ნიმუშისა და ასლის ურთიერთმიმართების პრინციპიდან გამომდინარე, ადრეული შუასაუკუნეების ქართული პლასტიკის ნიმუშები, კერძოდ კი უკვე ნახსენები გულსაკიდი ჯვრები, ანალოგიური ნიშანთვისებებით ხასიათდებიან.

ყოველივე ზამოთქმულის შედეგად ნესგუნის ჯვარის შექმნის თარიღად VI-VIII სს. გვესახება. თუ დავყვარდებით ჩვენი ჯვარის სახვითი საშუალებების და რელიეფის პლასტიკური სტილის ნაწილობრივ მსგავსებას, ერთი მხრივ VI-VII სს. ქართული ქვაჯვარების ფიგურულ რელიეფებთან, მეორე მხრივ კი კომპოზიციური სქემის, გამომსახველობითი მეტყველების და ცალკეული ელემენტების თვალსაზრისით უფრო ახლოს მდგომ VII-VIII სს. ჯვრებს აფხაზეთიდან, გვაქვს საფუძველი თარიღი VII, ან VIII სს-ით დაკონკრეტდეს. VIII-IX სს. ქვაში გამოკვეთილი ქართული რელიეფური ძეგლებისათვის ნიშანდობლივია იკონოგრაფიული სქემის მხოლოდ ძირითადი არსის შენარჩუნება და ერთდროულად გამოსახულებათა სკულპტურულ-რელიეფური დამუშავების გარედან შემოტანილი ტრადიციული ხერხებისა და საშუალებების უარყოფა, სიბრტყობრივ-გრაფიკული და ხაზობრივ-ორნამენტული გამომსახველობითი მანერის დამკვიდრება, სახის გამომეტყველების ხაზგასმული ექსპრესიულობა. ყველა ეს ნიშან-თვისება მეტ-ნაკლებად ნესგუნის ჯვარის ფიგურულ რელიეფშიც აისახა, ხოლო ქრისტეს თავის მოყვანილობა და სახის ნაკეთების ფორმა (ნუშისებური თვალები, წარბების მონახაზი), მას ყველაზე მეტად VIII ს. დასასრულის უასანეთის სტელასთან აახლოებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ჯვარი ორი – ე.წ. ტრადიციული და ახალი სტილის საზღვარზე შექმნილი ჩანს და მისი თარიღი VII ს. დასასრულით და VIII ს. შუახანებით უნდა განისაზღვროს.

ნესგუნის ჯვარი იმ მხრივაც აღძრავს ინტერესს, რომ საქართველოს მხატვრული ლითონსმულის ნიმუშთა შედარებით

¹ აღნიშნულ ჯვრებს ლ. გელბაკი VIII-IX სს-ით ათარიღებს (Л.Г. Гельбак, Два предмета мелкой пластики из коллекции музея. – Труды Абхазского государственного музея, 4, Сухуми, с. 168), ხოლო ლ. ხრუშკოვა მათი შექმნის პერიოდს VIII-IX სს-ით განსაზღვრავს (Л.Г. Хрушкова, Материалы по мелькой пластике средневековой Абхазии – Материалы по археологии Абхазии, Тб., 1979, с. 65-66, рис. 43-1.2).

² მ. ლებაძე, გულსაკიდი ჯვრები. – არქეოლოგიური ძიებანი, ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1982, გვ. 186-187.

³ რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973, გვ. 17-21, ტაბ. I-1.

⁴ ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, გვ. 51-62-67, რუს. 18, ტაბ. XVI-5.

⁵ Г. Чубинашвили, Зандиен, с. 29-30.

მცირე ჯგუფის ახალი დამატებითი შენაძენია.

დაბოლოს, იმისდა მიუხედავად, რომ ნესგუნის ჯვარი უშუალოდ არქეოლოგიური გათხრის პროცესში არ გამოვლენილა, ის მაინც არ უნდა განვიხილოთ მოცემულ გარემოს მოწყვეტით, შემთხვევით მონაპოვრად, არამედ იგი კონკრეტული კულტურული პუნქტის და გარკვეული დროის მკაფიოდ მეტყველი არქეოლოგია.

§9. სვანეთის ადრეული ქრისტიანიზაცია არქეოლოგიური მასალის მიხედვით

საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუხის – სვანეთის შესახებ მკვლევარები და დამკვირვებლები XIX საუკუნიდან ქმნიან ეთნოგრაფიულ ნაშრომებს, სადაც ყურადღება მახვილდება რეგიონის ყოფაში დადასტურებულ „გადმონაშთურ“ ელემენტებზე, რამაც ამ კუთხეში გვაროვნული წყობილების „გახანგრძლივებული“ არსებობის შთაბეჭდილება და შესაბამისი კონცეფციები შექმნა. აღნიშნულ რწმენა-წარმოდგენათა სისტემის სპეციფიკურ ინტერპრეტაციაზე დამყარებული შეხედულებების თანახმად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ერთგვარი სკეფსისი – თითქოს, ადრე შუასაუკუნეებში სვანეთში საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას ადგილი არ ჰქონია და არც ქრისტიანულმა რელიგიამ გაიდგა მყარად ფესვები.

ქართველ ენათმეცნიერთა, სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ისტორიის, სამართლის, ეპიგრაფიკისა და დიპლომატიკური ხასიათის მასალის, ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისა და შუასაუკუნეების საგანგებო მონოგრაფიული შესწავლის შედეგად, სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი და განზოგადებული იქნა მდიდარი მასალა, რამაც ბოლო მოუღო მცდარ შეხედულებას სვანეთში გვაროვნული წყობილების ხანგრძლივებული არსებობის შესახებ.

სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები დღეისათვის საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და მის მაღალგანვითარებულობაში ეჭვი არავის ეპარება. საქართველოს ისტორიის მკვლევარები სვანეთს განიხილავენ, როგორც ქართულ სამყაროსთან სოციალ-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით მჭიდროდ დაკავშირებულს და მის განუყოფელ ნაწილს.

მიუხედავად ამისა, შუასაუკუნეების სვანეთის ცხოვრების ზოგიერთი სპეციფიკური მხარის ჩვენება მკრთალად წარმოგვიდგება. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი რეგიონის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მთელ რიგ არსებით საკითხებზე.

საეკლესიო კრებათა მატრიანები და საერო სახის სხვადასხვა ხელნაწერები, მაღალმხატვრული ოქრომჭედლობა, დახვეწილი არქიტექტურა, „სვანური ფერწერის მხატვრული სკოლა“, ეკლესიებში დაცული დიდძალი განძეულობა და ქრისტიანული კულტურის მრავალი სხვა კომპონენტი, სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ყოვლისმომცველ ხასიათს და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს.

სვანეთის ქრისტიანული მონუმენტური ფერწერისა და ლითონმქანდაკელობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მან სტილისტური ევოლუციის იგივე ეტაპები გაიარა, რაც სრულიად საქართველოს ხელოვნებამ. სვანეთში ქრისტიანული ხელოვნების განვითარება, რომელსაც ახასიათებს არაერთი თავისებურება, ქართული ხელოვნების განვითარების სინქრონულად მიედინებოდა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

მართალია, სვანეთის ადრე შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კვლევა დღემდე შემთხვევით აღმოჩენებსა და არქეოლოგიურ დაზვერვებს არ ვასცილებია, მაგრამ გამოვლენილი მასალა ალბულის ეპოქის მხარის სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობის მრავალ საკითხს ჰფენს შუქს.

ადრე შუასაუკუნეების სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ხასიათსა და საეკლესიო ცხოვრების დონეზე მეტყველებს ენგურისა და ცხენისწყალის ზემო წელზე გამოვლენილი სამაროვნები და ეკლესიები სოლში, ხოფურში, ფხუტრერსა და ნესგუნში.

1986 წელს ლენჯერის საკრებულოს (მესტიის რაიონი) სოფელ სოლში ბ. შუკვანის სახლის მშენებლობისას აღმოჩნდა სამაროვანი.¹ აღმოჩენის ადგილზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრები არსებითად დანგრეულ ფენებში განახორციელა, მაგრამ გამოვლენილ იქნა საინტერესო მასალა, რომელიც უდაოს ხდის ამ ტერიტორიაზე

¹ შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1986 წლის საველე მუშაობის ანგარიში. ინახება ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში, გვ. 7-9, ტაბ. XVIII. შ. ჩართოლანი, ახალმშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში, „ძეგლის მეგობარი“, I, თბ., 1990, გვ. 28, სურ. 3.

ადრე შუასაუკუნეების სამაროვნის არსებობას.

სოლის სამაროვნის ადრე შუასაუკუნეებით დათარიღებისათვის გვაქვს სარწმუნო მონაპოვარი მინის ჭურჭლის სახით. მას წაკვეთილი კონუსის ფორმა და შეზნექილი ძირი გააჩნია. პირი ოდნავ გადაშლილია. ზედაპირზე მქრქალ პარალელურ სარტყელებს შუა ლურჯი ფერის რელიეფური ხალები აზის (ტაბ. XI, 7). საქართველოში ამ ტიპის მინის ჭურჭელი ნაპოვნია შავიზღვისპირეთში და კარგად თარიღდება IV-V სს-ით.¹

სოლის სამაროვნის დათარიღების თვალსაზრისით, საინტერესოა ძირგვერდნაკლული დოქი, რომლის თიხა მოწითალოა. დოქს გადაშლილი პირის კიდე და მსხლისებური ტანი აქვს მაღალი, ცილინდრული ყელი პირისკენ შევიწროვებულია. ყელის ძირს ირგვლივ ექვსრიგად შემოუყვება ტალღოვანი ხაზები. ორი ტალღოვანი ხაზი შემოუყვება თეფმისებურ პირის გვირგვინსაც. პირის გვირგვინსა და ტალღოვან ხაზებს შორის ყელი წრიულად განლაგებულ ოთხ-ოთხი, ერთმანეთისაგან თანაბრად დაცილებულ ჯვრის ფორმის ორნამენტითაა შემკული. ჯვრები შტამპითაა დატანილი. გრეხილკიდეებიან ბრტყელ ყურზე ვერტიკალურად დაყოლებულია ჯვრები. ანალოგიური ორნამენტი შემოუყვება ყელის ძირსაც. ტანი ქვემოთკენ ვიწროვდება ძირისაკენ. ძირი ბრტყელია, თიხა ქარსნარევი, ცუდადაა განლექილი, ჩარხზეა ნაკეთები (ტაბ. XI, 4).

ადრე შუასაუკუნეებში ანალოგიური ჭურჭელი გავრცელებულია წებელდაში, კოდორის ხეობაში, ტყვარჩელში და სხვაგან. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა იგი აღმოჩენილი წებელდის სამაროვნებზე და თარიღდება V-VI საუკუნეებით.²

სოლის სამაროვანზე აღმოჩენილი მოკლე მარტივყუნწიან და დიდი ზომის ვადაგანიერ სატევრებს, მასრიან შუბისპირებს, ბალთებს, კერამიკულ ჭურჭელს, ანალოგიები მოძებნება კოლხეთის სინქრონულ ძეგლებში. სამაროვანი მხოლოდ ნაწილობრივია არის შესწავლილი.

¹ ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 43-44, ტაბ. 15.

² Воронов, О. Бгажба, Материалы археологии Цецелды, Тб., 1988, გვ. 75, ტაბ. 52-53.

იგი კერძო პირის ეზოშია და მარტო ის მონაკვეთია გათხრილი, სადაც ეზოს მეპატრონე მშენებლობისათვის მიწის სამუშაოებს აწარმოებდა.

2001 წელს სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ეცერის საკრებულოს სოფელ ფხუტრერში გათხარა ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევი, რომლის ქვეშ აღმოაჩინა უფრო ადრეული, სწორკუთხა, უაფსიდო ეკლესიის (6,40X5,90 მ) ნაშთი (ტაბ. XI, 2), რომელიც თანმხლები მასალითა (ხალიანი მინა, კერამიკა) და ხუროთმოძღვრული სტილით V საუკუნით თარიღდება.¹

სვანეთში მრავლადაა შემორჩენილი ფხუტრერის ანალოგიური ოთხკუთხა, უაფსიდო ეკლესიები, რომლებზედაც შემდგომში დაშენებულია დარბაზული ტიპის ეკლესიები. პირველ სართულზე მოქცეულმა აღნიშნულმა ეკლესიებმა ამ დროიდან დაკარგეს თავდაპირველი ფუნქცია და საძვალეებად იქცნენ. ფხუტრერის სწორკუთხა, უაფსიდო ეკლესია, ვფიქრობთ, წინამორბედია სვანეთისათვის დამახასიათებელი, საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებულ დარბაზული ტიპის ეკლესიისა, რომელიც გადახურულია საყრდენ კამერებზე დაფუძნებული ნახევრად ცილინდრული თაღით, სადაც საკურთხევლის აფსიდი გამოწეულია აღმოსავლეთით და ზოგჯერ ნახევარწრის ან მრავალკუთხედის სახეს იღებს. შედარებით უფრო გვიანი ხანის ძეგლებზე საკურთხევლის აფსიდი დაფარულია აღმოსავლეთის კედლის სისქეში და არ არღვევს კედლის სიბრტყეს. ამგვარ ნაგებობებში, ქართული ხუროთმოძღვრების საერთო განვითარებასთან შეფარდებით, იცვლებოდა პროპორციები, კამარების ფორმა, კაპიტელის დეკორი და სხვ.

ფხუტრერის სწორკუთხა, უაფსიდო ეკლესია სვანეთის ადრე შუასაუკუნეების ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მსგავსი ეკლესიების მშენებლობა,

¹ შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2001 წლის საველე მუშაობის ანგარიში. ინახება ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში. გვ. 3-6, ტაბ. VIII-IV.

შესაძლოა, უკავშირდება V საუკუნის მეორე ნახევარში სვანეთის სამთავროს გაძლიერებას, როცა რეგიონი ეგრისის სამეფოს შემადგენლობიდან გავიდა და ფაქტიურად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა.

მენანდრე პროტიქტორისა და პრისკე პანიონელის ცნობებით, 457-474 წლებს შორის, სვანეთმა ეგრესისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, რაც გუბაზ მეფის ბიზანტიასთან გართულებულ ურთიერთობებს დაემთხვა.¹

გუბაზმა ბიზანტიასთან ურთიერთობის გარკვევის შემდეგ, კვლავ სცადა სვანეთის დამორჩილება. ამ კონფლიქტში სვანეთს იბერია და ირანი ეხმარებოდა, ხოლო ეგრისმა დახმარებისათვის ბიზანტიას მიმართა. საბოლოოდ სვანეთმა კვლავ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.²

ადრე შუასაუკუნეების სვანეთში ქრისტიანული თემების არსებობაზე მეტყველებენ ქვედა მარლისა და ხოფურის სამაროვნები. ხოფურში აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ადრე შუასაუკუნეების ე.წ. „წებელდური ცულები“ (ტაბ. XI, 5), რომლის ანალოგიური, VI საუკუნით დათარიღებული ცულები, მრავლადაა აღმოჩენილი წებელდის სამაროვნებზე.³

ადრე შუასაუკუნეების სვანეთი, ქრისტიანულ ხასიათსა და საეკლესიო ღონეზე მეტყველებს ლენჯერის საკრებულოს სოფელ ნესგუნში მოსახლის ეზოში, მშენებლობისათვის წარმოებული მიწის სამუშაოების დროს გამოვლენილ ეკლესიის ნაშთში (რომლის დაფიქსირებაც, სამწუხაროდ, არქეოლოგებმა ვერ მოასწრეს) აღმოჩენილი, VII საუკუნის მეორე ნახევრითა და VIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული, ყალბში ერთიანად ჩამოსხმული ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, რომელზეც ქრისტეს ჯვარცმამა გამოსახული. (ტაბ. XI, 1)⁴

¹ ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 78.

² ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 314; ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 81.

³ Ю. Воронов, О. Бражид, დასახ. ნაშრომი. გვ. 98, ტაბ. 113-28.

⁴ რ. ხვისტიანი, ადრე შუასაუკუნეების მცირე პლასტიკის ნიმუში სვანეთიდან, საისტორიო ძიებანი, 7, თბ., 2004, გვ. 182-188.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს იძლევა ეჭვქვეშ დადგეს სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ერთგვარი სკეფსისი, თითქოს მოცემულ რეგიონში ქრისტიანულმა რელიგიამ ადრე შუასაუკუნეების მიწურულამდე მყარად ვერ გაიდგა ფესვები.

§10. კატაულას წმ. გიორგის ეკლესია

კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის 2006 წლის ზაფხულში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება მნიშვნელოვანი შედეგებით დამთავრდა.¹

ძველმა ყურადღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მიიპყრო საკურთხეველში გამოვლენილ ქვასვეტის (სტელა) ფრაგმენტის გამო, რომლის რელიეფური დეკორი შეიცავს რელიგიურ-სიმბოლიკურ და წმიდა პერსონაჟების გამოსახულებებს, საერო პორტრეტთა დიდ რაოდენობას და ძველ ქართულ (ასომთავრულ) წარწერებს. გარდა იმისა, რომ სტელა რელიეფური დეკორით, სპეციფიკური დეკორატიული მიღვლით, აგრეთვე მკაფიოდ გამოკვეთილი სტილის ნიშნებითა და პლასტიკური მეტყველების ორიგინალური ინტონაციით გამორჩეული მხატვრული ქმნილებაა, იგი ადრე შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის მჭერმეტყველი საბუთიცაა. სტელის დათარიღებაში მკვლევარებს შორის ჯერ თანხმობა მიღწეული არაა, მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები VII საუკუნიდან VIII-IX საუკუნეების მიჯნამდე მერყეობს.²

¹ საქართველოს საპატრიარქოს თანხმობითა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ნებართვით ძველის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგის ინსტიტუტის კლასიკური და შუასაუკუნეების სექტორის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა რეზო ზვისტანმა.

² Г.Н. Чубинашвили, Вновь открытый памятник древней культуры (1924), Вопросы истории искусства, Тб., გვ. 140; გ. ჩაჩანიძე, გრიგოლ ევატოსის ძველი, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1925, გვ. 261-263; ა. ჯავახიშვილი, საქართველოს ძველი საკულტო-მემორიალური ძეგლები, 1949, გვ. 1-12, ხელნაწერი; Г.Н. Чубинашвили, Хандиси. I. 1972, გვ. 102, 108; ქართული წარწერების კორპუსი, ლაბადარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980, გვ. 119-123; მ. მგალობლიშვილი, კატაულას წმ. გიორგის ეკლესია, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღწერილობა, თბ., 1990, გვ. 168; К. Мачабели, Каменные кресты Грузии, Тб., გვ. 166-178; გ. ჯავახიშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბ., 1998, გვ. 37-38.

ეკლესია მდებარეობს კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში, მდ. კავთურას მარჯვენა მხარეზე მონასელიანთ უბანში, მთა კატაულას სამხრეთ ფერდზე. მონასელიანთ უბანი არქეოლოგიურ რუკაზე 1963 წელს გამოჩნდა, მდ. კავთურას მარცხენა მხარეზე შემთხვევით აღმოჩენილ ოთხკუთხა, მრგვალგუმბათოვან გადახურვის მქონე საკნისა (2,8X2,27X3 მ) და დრომოსისაგან (სიგრძე – 1,5 მ, სიგანე – 0,9-1,10 მ., სიმაღლე – 1 მ.) შემდგარ აკლდამის გამო, რომლის კედლები დულაბზეა ამოყვანილი კლდის ქვითა და ბრტყელი აგურით, ხოლო კედლები და იატაკი კირითაა შელესილი.

საკნის კუთხეებში 1,4 მ. სიმაღლეზე აგურით ისრული ტრომპები გადამყვანილი, რომელთაგან იწყება აგურის სფერული გადახურვა. დრომოსის შესასვლელთან ორსაფეხურიანი კიბეა შემორჩენილი. გუმბათს ზემოდან ფილაქვები ადევს, შემდეგ ქვის გროვა და მიწაყრილი.

საკნის სამხრეთ და დასავლეთ კედლების ზედა ნაწილში დაყოლებულია შიგნით დაქანებული თიხის მილები, რომელთაც გარეთა ნაწილი ყრუდ აქვთ დახშული. მილების დანიშნულება გაურკვეველია.

აკლდამაში ძვლები არეულად ეყარა, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ადრევე გაუძარცვავთ. აკლდამის არქიტექტურას XVI-XVIII საუკუნეების ქართულ-კახეთის უმრავლეს ნაგებობათათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები ახასიათებს.¹

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის გეგმის გარჩევა ძნელი იყო, რადგან მისი გვერდითა სათავსოები ჩამომხობილ კედლებით და ნიაღვრების მიერ შემოტანილ მიწითა და ქვა-ღორღით იყო ამოვსებული, რომელზეც ხეები და ეკალ-ბარდი იყო ამოსული. ნაგებობის ირგვლივ ანალოგიურ მასას ერთი მეტრიდან ორმეტრანახევრამდე სისქის „ფენა“ ჰქონდა წარმოქმნილი, ნიაღვრის შემოტანილ ქვა-ღორღისა და მიწის სქელი ფენით იყო დაფარული ცენტრალური სათავსოს იატაკიც.

შენობის ტერიტორიის დიდი სიფრთხილით გაწმენდის შემ-

დეგ მიწის ზედაპირზე მოიხაზა გვერდითა სათავსოების ძლიერ დაზიანებული, მაგრამ ძველი, შენარჩუნებული თავდაპირველი კედლების ნაშთები. გამოვლენილი ტაძრის სახე ასეთია: ერთმანეთის გვერდით განლაგებული სამი წაგრძელებული სადგომი (ნავი) ერთმანეთთან კარებითაა დაკავშირებული, სადაც შუა სადგომი დანარჩენ ორზე უფრო მაღალი და ფართოა. ჩრდილოეთის სადგომი ორ დანარჩენზე რამდენადმე მოკლეა და ცენტრალური ნავის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში საფეხურადაა შეჭრილი (ტაბ. XIII).

გარეთა ფორმებითა და ფასადზე მკაფიოდ გამოვლენილ სილუეტით ეკლესია ბაზილიკას ჰგავს, მაგრამ სივრცის ორგანიზებითა და კონსტრუქციული აზრით, ბაზილიკისაგან სრულიად განსხვავებულია. ინტერიერში შიდა სივრცე კედლებითაა დაყოფილი სამ ნაწილად, სამ ცალკე „ეკლესიად“, რომლებიც ერთმანეთთან გასასვლელებით არიან დაკავშირებული.

გეგმაში სწორკუთხედის ფორმის მქონე ტაძრის (11,25X8,42 მ.) ცენტრალური „ეკლესიის“ (8,42X5,72 მ.) აღმოსავლეთ ნაწილში ნახევარწრიული ფორმის აფსიდია ჩაწერილი. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, ხოლო ჩრდილოეთით ერთი ნიში. საკურთხევლის სივრცე ფართო მხრებითა და მათზე დაყრდნობითი ნახევარწრიული ფორმის თაღითაა გამოყოფილი. თაღი ქვიშაქვის იმპოსტებს ეყრდნობა, რომელთა მაღალ ტანს რამდენადმე წინწამოწეული თარო აგვირგვინებს. კამარის შემსუბუქების მიზნით კონქაში კირხსნარით შედუღებული ქვევრია ჩაშენებული.

განათებისათვის, საკურთხევლის სარკმლის გარდა, ორი სწორკუთხა სარკმელია დასავლეთით და სამხრეთით. კონქიკა და ნახევარწრიული კამარაც წვრილი ქვითაა ამოყვანილი კირის ხსნარზე. ინტერიერში, განსაკუთრებით აფსიდაში, რომელიც თავდაპირველად შესაძლებელი არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ყურადღებას იპყრობს წყობაში ცერად ჩასმული მოზრდილი ქვების მწკრივები, რაც დეკორატიულ მორთულობად აღიქმება. როგორც შემორჩენილ მოხატულობის ფრაგმენტებით ირკვევა, მოგვიანებით იგი მაინც შეუღლესიათ. ნავში („ეკლესიაში“) ორი არქიტრავული შესასვლელია – სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში და ჩრდილო კედლის

¹ ბ. ჯორბენაძე, კავთისხევი, – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღწერილობა, თბ., 1990, გვ. 150.

აღმოსავლეთ მონაკვეთში, აფსიდის მოედნის წინ.

აფსიდის თავდაპირველი მოედანი შემდგომში გადაუკეთებიათ, გაუფართოვებიათ, წინ წამოუწევიან და აუმაღლებიათ. ამ დროს დაუფარავთ თავდაპირველ კანკელის(?) საფუძვლის ქვა, რომელზეც ქართული ადრექრისტიანული რელიეფებისათვის დამახასიათებელი მოტივი, წრეში ჩასმული („ბოლნური“), გვერდიგვერდ განლაგებული, სამი ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი. პირველი ჯვარი სამმაგ წრეშია ჩასმული. ფორმით იგი მცხეთის ჯვრის სამხრეთის შესასვლელის რელიეფზე და დმანისის სტელაზე გამოსახულ ჯვრების ანალოგიურია. მომდევნო, კვარცხლბეკზე (ორსაფეხურიან საყრდენზე – ბუნზე) აღმართული ჯვარი ნახევარწრეშია ჩასმული. მესამე ჯვარი სამმაგ წრეშია ჩასმული, მის მკლავებს შორის სიმეტრიულადაა მოთავსებული ვარდულები (ტაბ. XII,2). აქვე აღმოჩნდა აფსიდის გაფართოვებისას კედელში ხურდად ჩატნული ადრე შუასუკუნეების წითლად მოხატული, ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები.

გამოვლენილ რელიეფურ ჯვარზე გამოსახულ ვარდულის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ვარდული რელიეფური დეკორის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ვარდული, როგორც მნათობის სიმბოლო, გვხვდება ქრისტეს და სხვა წმინდანების გამოსახულებათა ფონზე.¹ ვარდულები გვხვდება სიმეტრიულად მოთავსებული ჯვრის მკლავებს შორის (ხანდისი, ჟაღეთი, ბოლნისი), ვარდული სტელა – ჯვრის ცენტრში, მკლავების გადაკვეთის ადგილას (ახალი-გორა, ბოლნისი).² ბოლოს ვარდული ხდება თვით ჯვრის ექვივალენტი და ხშირად ისევე გვხვდება კვარცხლბეკზე აღმართული, ან აყვავებული რტოებით ისევე შემკული, როგორც ჯვრის გამოსახულება. მაგ., სათხის ეკლესიის ერთ-ერთ სტელაზე ორ გვერდზე ჯვრის გამოსახულებაა, ორზე კი რტოებს შორის მოთავსებული ორმაგი ვარდულისა,³ ან კიდევ დმანისის ქვა-ჯვარზე, სამ გვერდზე კვარცხლბეკზე

აღმართული ჯვარია გამოსახული, მეოთხეზე კი ისეთივე კვარცხლბეკზე, წრეში ჩასმული ვარდული.¹

ჩრდილოეთის ნავი („ეკლესია“) უაფსილოა (6X2,5 მ), რომელიც თითქმის მთლიანად დანგრეულია. იგი პირდაპირ წყობით ეკვრის ცენტრალური „ეკლესიის“ კედელს. ამ უკანასკნელზე კამარის დასაყრდნობად აგებული სამმალიანი თაღებია შემორჩენილი ორი სწორკუთხოვანი ბურჯით (ტაბ. XV,2). ბურჯები და თაღები ნატეხი ქვითაა ნაწყობი. ცენტრალურ „ეკლესიასთან“ დამაკავშირებელი კარის არქიტრაული ღიობი თაღქვეშაა მოქცეული.

ამ სათავსოში შესასვლელი მხოლოდ ცენტრალური „ეკლესიის“ შიგნითა სივრციდან, უშუალოდ საკურთხეველის სიახლოვიდანაა, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ მას თავდაპირველად სასამსახურო სათავსოს, საწესო სამოსლისა და სხვა ინვენტარის საცავის (სალარო) დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მოგვიანებით იგი საძვალედ გამოუყენებიათ. სათავსოში უამრავი თავის ქალები და ჩონჩხები იყო უსისტემოდ მიმოხეული, რაც მისი ადრევე გაძარცვის ნიშანია. სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ფილაქვით დახურული ორი ორმო-სამარხი გაიწმინდა. ორმოები გაჭრილია ქვა-ლორღიან ნიდაგში. ორმოს ზომებია: 1,50X40. სამარხებში თითო ინდივიდი დაკრძალული, დამარხვის წესი ქრისტიანულია. სამარხები უინვენტარია.

სათავსოს აღმოსავლეთ ნაწილში, შესასვლელის წინ აღმოჩნდა კაპიტელიანი სტელის ფრაგმენტი (სვეტის სიგრძე – 1,27 მ; კაპიტელის განი – 28 ს; სვეტის განი – 26 სმ). კვარცხნარევი კირქვის ოთხწახნაგა სვეტის კუთხის წიბოები, ცერადაა ჩამოთლილი და მონაცვლეობით საპირისპიროდ მიმართული „კონცენტრული რკალების“ რიგითაა შემკული. წახნაგების ზედაპირი ე.წ. „თევზიფხურით“ მოჩაროებული, არათანაბარ სწორკუთხა არეგებადაა დაყოფილი, სადაც ხალიჩისებურად დაფარულ დაბალ რელიეფში შესრულებული, ერთმანეთის თავზე ვერტიკალურად განლაგებული, მაცურებლისავენ

¹ Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, № 18, сур. 11.

² ნ. ჩუბინაშვილი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, დმ., №30, 1972, გვ. 35.

³ ნ. ჩუბინაშვილი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები, დმ., №30, 1972, გვ. 35.

¹ ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბ., 1982, გვ. 104, ტაბ. LIX.

მომზირალი, ბრტყელი, თითქმის უსხეულო წმიდა პერსონაჟები და საერო პორტრეტები, აგრეთვე რელიგიურ-სიმბოლიკური გამოსახულებებია. წმიდა პერსონაჟებისა და საერო პორტრეტების ფონის თავისუფალ ადგილებში ამოღარულია ასომთავრული წარწერები, სადაც უცნობი ისტორიული პირებია მოხსენიებული (სურ. 3). საერო პორტრეტების, რელიგიურ-სიმბოლიკური გამოსახულებების, წმინდა პერსონაჟებისა და ძველქართულ (ასომთავრულ) წარწერების შემცველი სტელის რელიეფური დეკორის შესწავლა, რომელიც მრავალგვარი ინფორმაციის წყაროა, ვფიქრობთ, ადრე შუასაუკუნეების საქართველოს სულიერი და სოციალური ცხოვრების მრავალ საკითხს მოფენს შუქს. მისი ხალიჩისებურად დაფარული დაბალ რელიეფში შესრულებული პლასტიკური გამოსახულებები, ჩარჩოების გრაფიკული ორნამენტი და განსაკუთრებული ხატოვანი მეტყველებით შესრულებული რელიეფური სახეების კვეთის მანერა ამავე ეკლესიის საკურთხეველში ადრე აღმოჩენილ სტელის ფრაგმენტის გრაფიკული ორნამენტისა და რელიეფური სახეების კვეთის მანერის ანალოგიურია. ერთმანეთს ემთხვევა მათი ზომები, ქვის ჯიშში და მათი შეერთების ადგილზე გასამაგრებელი სოლისათვის ამოკვეთილი ფოსოების ზომებიც. აშკარაა, რომ ისინი ერთი სტელის ნაწილებია და ერთი ოსტატის ნახელავია. ახლადდაღმოჩენილ სტელის ფრაგმენტზე არსებული წარწერების შესწავლა უთუოდ მეტ სიცხადეს შეიტანს სტელის თარიღში, აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეებს საშუალებას მისცემს გაარკვიონ სტელაზე გამოსახულ პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულება, ბოლომდე გახსნან ძველის მხატვრული დეური არსი, სიღრმისეულად ჩასწვდნენ იკონოგრაფიულ სქემას და სრულყოფილად ამოხსნან მისი ერთიანი დეკორატიული სისტემა (სტელის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი და წარწერები ცალკე გამოქვეყნდება).

ვარაუდობენ, რომ საქართველოში ადრეული ხანის ქრისტიანული, ქვისგან გამოკვეთილი საკულტო ძეგლების-სტელების აღმართვის ჩვეულება ქრისტიანობის გავრცელების დროიდან მომდინარეობს და თავდაპირველად ახალი სარწმუნოების, ქრისტიანობის აღიარებას – ნათელლებას გამოხატავდა. სტელები

ღია ცის ქვეშ, ხშირად ეკლესიის გვერდით აღმოსავლეთ მხარეს იდგმებოდა.¹ V-VII საუკუნეებში სტელა-ჯვრების ინტენსიური აღმართვა, სხვა მოსაზრებით, ირანის მიერ ძალით თავს მოხვეულ ზოროასტრიზმთან ბრძოლას უკავშირდება.²

სამხრეთის აფსიდიანი „ეკლესიაც (8,42X2,87 მ.) დანგრეულია. ნაღისებური აფსიდის ცენტრზე მაღალი და ვიწრო ნიშია, რომლის თაროზე მრგვალი ფორმის მომწვანო ფერის ბრტყელი, ოთხკუთხა ფოსოიანი ქვა დევს, რომელიც შესაძლოა ჯვრის საფუძველი იყოს. აფსიდის მოედანი წამლილია გვიანდელი ორმოსამარხების მიერ. ტაძარში ერთადერთი შესასვლელი სათავსოს სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია. ჩრდილო მხარეზე, კამარის დასაყრდნობად, აქაც ორი სწორკუთხა ბურჯით სამმალიანი თაღედია პირდაპირი წყობით მიკრული ცენტრალური „ეკლესიის“ სამხრეთ კედელზე (ტაბ. XV, 3).

ეკლესიის სქელი კედლები სხვადასხვა ზომის ტლანქად დამუშავებული ქვითაა ნაშენი კირის ხსნარზე. წვრილი ქვის გვერდით გვხვდება დიდი ლოდებიც. კარგად გათლილი კვადრები, რომელსაც მწვანე ფერის ქვაც ურევია, მხოლოდ კუთხეების, თაღებისა და სარკმელებისათვისაა ნახმარი. ნაგებობას სამკაულები არა აქვს. ნაგებობის მხატვრულ ეფექტს ფასადზე სხვადასხვა ზომისა და ფერის ქვების მონაცვლეობა აძლიერებს. შენობის აღმოსავლეთი კედელი პირდაპირი წყობით ეკვრის საგანგებოდ ვერტიკალურად ჩაჭრილ ფერდს, რის შედეგადაც აღმოსავლეთის ფასადი მიწის ზედაპირიდან გაცილებით დაბალია, ვიდრე დასავლეთისა. ამგვარი გადაწყვეთით ნაგებობა ბუნების სილამაზესთანაა შერწყმული. (ტაბ. XV)

გათხრებმა გამოავლინა სამშენებლო (ბრტყელი, გვერდებაკეცილი, წითლად მოხატული და მოუნატავი კრამიტი) და სამზარეულო (მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელი) კერამიკის, აგრეთვე მინის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები (აღნიშნული მასალა

¹ გ. ჯავახიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 5.

² ნ. ჩუბინაშვილი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები. დმ., №30, 1972, გვ. 47.

ცალკე გამოქვეყნდება), რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესია აშენების დროიდან უწყვეტად ფუნქციონირებდა გვიან შუასაუკუნეებამდე (XVII-XVIII სს.).

ეკლესიის ირგვლივ სამაროვანია, რომლის ნაწილი, სამწუნაროდ, რესტავრაციისათვის წარმოებულ მიწის საბუთაობისას გაანადგურეს (თაღოვანი აკლდამა, ქვაყუთები), ნაწილი გადარჩენილია.

ეკლესიიდან 150 მეტრის დაშორებით, სამხრეთ მხარეზე, ფერდზე, ექსპედიციამ გამოავლინა მიწისქვეშა ნაგებობა – ხარო. ქვითკირით ამოგებული ხარო ყელისაკენ ვიწროვდება. იგი თითქმის ბოლომდე ამოვსებული მიწითა და ქვა-ლორღით.

მარცვლეულის საიდუმლო საცავი მიწისქვეშა ნაგებობა – ხარო, არქეოლოგიურად აწყურის ანტიკური ხანისა და ფინვალის ნაქალაქარშია მიკვლეული.¹ ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხაროს გავრცელების უმთავრეს კერას აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენდა და ძირითადად მემინდვრეობის ისეთი ცენტრებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორცაა ქიზიყი, შიდა და ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი.²

კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია წარმოადგენს უგუმბათო ტაძრის ნაირსახეობას, ადრე შუასაუკუნეების ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკის“ მარტივ ვარიანტს. საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების საკულტო ხუროთმოძღვრება (IV საუკუნიდან VII საუკუნის შუა წლებამდე), რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ევროპული და წინააღმოსავლური ხელოვნების ე.წ. „ძველქრისტიანულ ხანას“, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების პირველი აყვავების ხანაა. აღნიშნულ ხანაში საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „სამეკლესიანი ბაზილიკა“ უწოდეს. გარედან თავისი

„პროფილით“ იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, მაგრამ შიგნით ნაგები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებითაა გათიშული, ე.ი. არსებითად, აქ ერთ შენობაში გაერთიანებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა.

ამ ტიპის საკულტო ნაგებობების ზოგადი გენეზისი, გავრცელების დიაპაზონი და ქრონოლოგიის საკითხები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა გარკვეული. ბაზილიკის ეს ტიპი სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, მაგრამ ამ ტაძრებმა ჩვენში საინტერესო ევოლუცია განიცადეს, წმინდა ქართული წარმომავლობის განსაზღვრულ დამოუკიდებელ ტიპად ჩამოყალიბდნენ და მხატვრულად დასრულებული ნაწარმოების სახე მიიღეს.¹

საქართველოში „სამეკლესიანი ბაზილიკების“ შემოქმედებითი განვითარების საფუძვლად კახეთია მიჩნეული, სადაც ამ ტიპის ორ ათეულამდე ძეგლია შემონახული, თუმცა ამ საერთოქართული კულტურული მოვლენის ამსახველი ძეგლები ქართლსა და აფხაზეთშიც მრავლად შემოგვრჩა. მკვლევართა აზრით, „სამეკლესიანი ბაზილიკის“ წარმოშობა დღის განმავლობაში წირვის რამდენიმეჯერ გადახდისა და ყოველი წირვისთვის ცალკე საკურთხეველის ქონის აუცილებლობამ განაპირობა.²

ამ სახის ძეგლების უძველეს ნიმუშებს, რომლებიც VI ს-ის შუა წლებს მიეკუთვნებიან ელემენტარული აღნაგობა აქვთ: ერთიმეორის გვერდით განლაგებულ სამ წაგრძელებულ სადგომს ერთმანეთთან კარები აკავშირებს. შუა სადგომი გვერდითებზე მაღალი და ფართოა, რის გამოც შენობას გარედან ნამდვილი ბაზილიკის იერი აქვს. VII საუკუნიდან, როცა ახალი პრაქტიკული მოთხოვნები გაჩნდა, მხატვრული

¹ მ. მარგველაშვილი, ქალაქი ფინვალი, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 199, გვ. 8.

² თ. ჩიქოვანი, ხარო – მიწისქვეშა საიდუმლო საცავი, ძიებანი, №13-14, თბ., 2004, გვ. 155.

¹ Чубинашвили Г.Н. Церковь близ сел. Болнис – Капаначки, Христианский восток, т. 5, вып. 3, Петроград, 1916, гв. 67; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 65-66; Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетиний, текст, Тб., 1959, гв. 141.

³ ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1973, გვ. 25.

ამოცანებიც უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა, სამეკლესიანი ბაზილიკების ტიპი თანდათან გართულდა, კომპოზიციურად უფრო მთლიანი და შეკრული გახდა; გვერდითა ნაგებობები ერთმანეთს დასავლეთის შემაერთებული გალერეით დაუკავშირდა. ამ გალერეიდანაა შესასვლელი შუა ეკლესიაში (ნავში), რომელიც ნაგებობის დომინანტის მნიშვნელობას იძენს. ცალკე გამოიყო რიტუალისთვის საჭირო სადიაკვნე და სამკვეთლო. გაჩნდა ახალი მოტივი – მრგვალ თაღებზე დაყრდნობილი, გვერდითა ეკლესიების ორ ან სამთაღიანი ღია შესასვლელები. ბაზილიკის ეს თავისებური ვარიანტი არსებობას X ს-მდე განაგრძობს.

კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აღნაგობით საქართველოში გავრცელებულ „სამეკლესიანი ბაზილიკების“ პირველი ნიმუშების მსგავსია. აქ არ არის დასავლეთის შემაერთებული ნაწილი განაპირა ეკლესიებს შორის, არ არის შესასვლელი დასავლეთის მხრიდან. კატაულას წმ. გიორგის ადრეულობაზე მეტყველებს აქ გამოვლენილი ქართული ადრექრისტიანული რელიეფებისათვის დამახასიათებელი მოტივი – წრეში ჩასმული (ბოლნური) ტოლმკლავა ჯვრები. ეკლესია კომპოზიციურ მსგავსებას ავლენს კახეთის ზოგიერთ ძეგლთან, მაგალითად, ბოლნისხევის წმ. ევსტატეს ეკლესიასთან გრემთან და ვაზისუბნის „სამკარიან“ ეკლესიასთან. ეს ძეგლები VI ს-ით თარიღდება.¹

კატაულას წმ. გიორგის „სამეკლესიანი ბაზილიკის“ ჩრდილოეთის „ეკლესიის“ ოთხკუთხა ფორმის აბსიდის მსგავსი აბსიდები გვხვდება კონდამიანის, ველისციხის, ოთარაანის, ვაზისუბნის, შილდის და საბუის „სამეკლესიანი ბაზილიკებში“, აბსიდის ოთხკუთხა ფორმას გ. ჩუბინაშვილი „სამეკლესიანი ბაზილიკების“ თანდათანობითი განვითარების ეტაპად თვლის.²

სტილისტური ნიშნებით კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია სამეკლესიანი ბაზილიკის მარტივ ვარიანტს წარმოადგენს. ტაძრის სახე ჯერ კიდევ მხატვრულად შეუქმნავებელია და არქაულობის აშკარა ხასიათს ატარებს. ქვემო ბოლნისისა (V-VI

სს.)¹ და გაგრის (VI ს.)² სამეკლესიანი ბაზილიკების მსგავსად, აქაც არ არის შემაერთებული ნაწილი განაპირა ეკლესიებს შორის, არ არის შესასვლელი დასავლეთის მხრიდან, რომლებიც ამ ტიპის შენობებში მხოლოდ VII საუკუნიდან, ახალი მოთხოვნის გამო (როცა რიტუალისათვის საჭირო სადიაკვნე და სამკვეთლო გამოყვეს) ჩნდება.³

ამრიგად, ხუროთმოძღვრულ-სტილისტური ნიშნებით კატაულას წმ. გიორგის ეკლესიის არქიტექტურა VI-VII საუკუნეებს უკავშირდება. „სამეკლესიანი ბაზილიკების“ პირველი ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მარტივი კომპოზიცია (შენობის დომინანტის, განაპირა „ეკლესიის“ შემაერთებული გალერეისა და მრგვალ თაღებზე დაყრდნობილ ღია შესასვლელების არ არსებობა), სტილისტური ნიშნები, სამშენებლო ტექნიკა, არსებული პარალელები და არქეოლოგიური მასალა (სამშენებლო კერამიკა, რელიეფური ჯვრები) მყარ საფუძველს იძლევა კატაულას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აშენების დროდ VI-VII საუკუნეების მიჯნა მივიჩნიოთ.

¹ Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетиний, გვ. 159, 161.

² Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетиний, გვ. 160, 161.

¹ Чубинашвили Г.Н. Церков близ селения, გვ. 107, 115; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, გვ. 94.

² ი. ბერძენიშვილი, აფხაზეთის „სამეკლესიანი ბაზილიკები“, მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები, თბ., 2005, გვ. 57.

³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 66; მისივე, Архитектура Кахетиний, გვ. 141.

§11. საგურამოს ქასური წმ. გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკა

ასურელი მამის, იოანე ზედაზნელის ცხოვრების მიხედვით საგურამოს ქასური¹ წმ. გიორგის სამონასტრო ეკლესია დაარსებულია VI საუკუნეში მოღვაწე ასურელი მამის იოანე ზედაზნელის მოწაფის, თათა სტეფანწმინდელის მიერ, იოანე ზედაზნელის სიცოცხლის პერიოდშივე.²

უნდა აღინიშნოს, რომ ასურელ მამათა ცხოვრების წიგნები ქართული ლიტერატურის იმ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობაც მარტო მხატვრული ღირებულებებით არ შემოიფარგლება. ეს შესანიშნავი ნაწარმოებები უზარმაზარ ინფორმაციას შეიცავენ VI საუკუნის საქართველოს კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრების შესახებ და ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენენ როგორც ზოგადი ისტორიის, ისე კულტურისა და ყოფის სხვადასხვა სფეროების ისტორიის მკვლევართათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნულ თხზულებებში მრავლად დაცული ცნობები ასურელ მამათა და მათი მოწაფეების ინიციატივით გაშლილ სამონასტრო მშენებლობის თაობაზე. ისინი საშუალებას გვაძლევენ არა მხოლოდ წარმოვიდგინოთ ამ მშენებლობის მასშტაბები, ხასიათი და მატერიალური პირობები, არამედ საკმაოდ ზუსტად განვსაზღვროთ ცალკეული მონასტრის დაარსების დროც.

იმისათვის, რომ აღნიშნულ თხზულებებში დაცული ცნობები

¹ სახელწოდება „ქასური“ მომდინარეობს ქვის იმ ჯიშის სახელისაგან, რომლის კარგად გათლილი კვადრებისაგანაცაა აშენებული ტაძარი.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 207-209; ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 98; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 83-107; დ. მერკვილაძე, ასურელი მამები (VI საუკუნის სირიელი მოღვაწენი საქართველოში), წიგნი I, თბ., 2006, გვ. 189-194.

სწორად იქნეს გამოყენებული, აუცილებელია მათი შეჯერება-დაკავშირება რეალურ არქიტექტურულ ძეგლებთან, იმ სამონასტრო ნაგებობებთან, რომლებიც ახლა არსებობს ნაწარმოებში დასახელებულ პუნქტებში. მკვლევარს არც თუ ისე ხშირად ეძლეა შემთხვევა არქეოლოგიური კვლევის შედეგები დააზუსტოს და განამტკიცოს წერილობითი წყაროს მონაცემების მეშვეობით. ბუნებრივია, ყოველი ასეთი იღბლიანი შესაძლებლობა მაქსიმალურ გამოყენებას საჭიროებს.

აღნიშნული წყაროს მიხედვით, როდესაც წმ. მამა იოანე ზედაზნელმა იგრძნო აღსასრულის მოახლოება „მოუწოდა მოწაფეთა თვისთა რომელთამე, და ელიას დიაკონსა და თათას, რომელსა აღემენა მონასტერი ქუეშე კერძო მთასა მის და იმყოფებოდა მის შინა ძმათა თანა მრავალთა, მის მიერ შეკრებილთა, მონასტერსა მას შინა“.¹ ამავე წყაროს მიხედვით, წმ. იოანე ზედაზნელი გარდაცვალების შემდეგ პირველად ამ ეკლესიაში დაუსვენებიათ – „და მოწიწებით წარმგრაგნელთა სხეულისა მისათა წარიხუნეს იგი მონასტერსა თათას მიერ (მოწაფისა მისისა) აღმენებულსა და ლარნაკისა მოქმედთა მის შინა დაესხნეს პატიოსანნი ნაწილნი მისნი“.² შემდეგში წმ. მამა თავის სამყოფელ ადგილას იქნა გადასვენებული, სადაც ახლა არის ზედაზნის მონასტერი – „ხოლო შემდგომად აღყვანებისა ნაწილთა მისთასა დაცხრა ძერაი, რომელ იყო მონასტერსა მის შინა თათაისა“.³

როგორც აღნიშნული ტექსტიდან ჩანს, თათა სტეფანწმინდელის მიერ აგებული ტაძარი მდებარეობდა ზედაზნის მთის ფერდზე, იოანე ზედაზნელის მონასტრის ქვემოთ. მითითებულ ტერიტორიაზე (დღევანდელი საგურამოს ზემოთ, ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მთა ზედაზნის ფერდზე, ტყეში) რამდენიმე ეკლესიაა შემორჩენილი, რომელთა შორის მხოლოდ ქასური წმ.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული..., გვ. 95; ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა..., გვ. 108.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული..., გვ. 101; ასურელ მამათა ცხოვრების წიგნთა..., გვ. 75.

³ დ. მერკვილაძე, ასურელი მამები..., გვ. 189; ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 208.

გიორგის ეკლესიაა ამ პერიოდის ხუროთმოძღვრების შესაფერისი.

საგურამოს ქასური წმ. გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა და აღმოსავლეთის ფასადის სქემა, ჯერ კიდევ 1922 წელს აქვს შესრულებული არქიტექტორ ნ. სევეროვს (ტაბ. XVII). ტაძარი ამ დროსაც დანგრეული ყოფილა, თუმცა ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ტაძრის მთავარი ნავის კარნიზი, აღმოსავლეთის სარკმლის თავსართი, კაპიტელები და წარწერიანი ქვა.¹ ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში კომუნისტების მიერ ორგანიზებულ ანტიქრისტიანული მოძრაობის დროს ქასური წმ. გიორგის ეკლესიის შემორჩენილი კედლებისათვის თითქმის მთლიანად შემოუცლიათ ქვის კარგად გათლილი დიდი კვადრები და ძეგლი დუღაბის ამარა დაუტოვებიათ. ამ ქვებით ახლომდებარე ახალსოფელში საცხოვრებელი სახლი აუშენებიათ, რომელიც ახლაც დგას.

ქასური წმ. გიორგის სამეკლესიანი ბაზილიკის აღწერა და ანალიზი გამოქვეყნებული აქვს აკად. გ. ჩუბინაშვილს თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, სადაც მოქმენილია ძეგლის ადგილი VI საუკუნის საქართველოს ბაზილიკებს შორის.²

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ქასური წმ. გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო პროექტისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა არასამეწარმეო, არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა „დრო და მემკვიდრეობამ“ 2008 წლის ივნისში დაგვაავალა არქეოლოგიური შურფებით დაგვეზუსტა ის უხილავი დეტალები (ეკლესიის განაპირა ჩრდილოეთი კუთხე, კარის წირთხლები, აფსიდის კუთხე, ზღურბლის ქვები და სხვ.), რომლებიც 1922 წელსაც ნანგრევში იყო მოყოლილი, არ ჩანდა და ამიტომაც ნ. სევეროვის გეგმაზე პუნქტირითაა

¹ გ. პატაშური, ქასური წმ. გიორგის ეკლესია (სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა), ხელნაწერი, თბ., 2008.

² Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетиний, текст, Тб., 1959, გვ. 204.

დატანილი.

მიმდინარე საპროექტო სამუშაოებისათვის გათხრილმა არქეოლოგიურმა შურფებმა მთლიანად შეცვალეს ტაძრის აქამდე ცნობილი გეგმა. ეკლესიის ჩრდილო ნავის ჩრდილო კედელთან გათხრილმა შურფმა მთავარი ნავის კამარის გასწვრივ გამოავლინა მანამდე უხილავი, კვადრატულ ბაზაზე მდგარი ქვის სვეტი, რომლის დიამეტრი 70 სანტიმეტრია. ამ სვეტიდან, რომელიც თავის თავდაპირველ ადგილზე მდებარეობს, თაღები გადადიოდა როგორც აღმოსავლეთით სამკვეთლოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, ისე დასავლეთით.

სამხრეთის ნავის სამხრეთის კედელთან, იქ, სადაც ნ. სევეროვის გეგმაზე აღნიშნულია კვადრატული გეგმის ბურჯზე დაყრდნობილი ორი თაღი, ბურჯის ნაცვლად შურფმა 2 მეტრი სიგრძის კედელი გამოავლინა. აქვე გამოავლინდა აღმოსავლეთი თაღის აღმოსავლეთი კაპიტელის ფრაგმენტი – შვერილპროფილიანი თარო.

არქეოლოგიურმა შურფებმა სრულყოფილად გამოავლინა ეკლესიის ხუროთმოძღვრული ფორმა. (ტაბ. XVIII) ტაძარი წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას, რომლის მთავარ, შუა ნავის გრძივ კედელზე წყვილ-წყვილი პილასტრია, რომელიც დარბაზს ორ თანაბარ მონაკვეთად ყოფს. პილასტრები ერთსაფეხურიანია. ერთსაფეხურიანი კუთხითაა ნავისაგან გამოყოფილი აფსიდიც, რომლის აღმოსავლეთ კედელში სარკმელია გაჭრილი. აფსიდს სამხრეთ მხარეზე ოთხკუთხა ნიში აქვს. ჩრდილო ნავის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში ცალკე სათავსოა გამოყოფილი, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ნავის სამკვეთლოს. სამკვეთლოს შესასვლელი მხოლოდ ცენტრალური ნავის აფსიდის კუთხიდანაა. სამკვეთლოს აღმოსავლეთ კედელში სარკმელია, სამხრეთ კედელში კი სწორკუთხა ნიში. ჩრდილო ნავის შესასვლელი გაფორმებულია მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი ორი განიერი თაღით.

სამხრეთის ნავის სამხრეთი კედელი აგრეთვე გაფორმებულია ორი განიერი თაღით, რომელთა შორის მოგძრო კედელია. ნავს აღმოსავლეთიდან სარკმელი არ გააჩნია (ტაბ. XIX).

როგორც აღვნიშნეთ, ქასური წმ. გიორგის ეკლესია წარმოადგენს

ადრე შუასაუკუნეებში საქართველოში შეზღუდულ უგუმბათო ტაძრის ნაირსახეობას, ერთ შენობაში გაერთიანებულ სამ დამოუკიდებელ სამლოცველოს. მსგავს ეკლესიებს აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა „სამეკლესიოანი ბაზილიკები“ უწოდა.¹ ბაზილიკის ეს ტიპი სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, მაგრამ ამ ტაძრებმა საქართველოში საინტერესო ევოლუცია განიცადეს და წმიდა ქართული წარმომავლობის განსაზღვრულ დამოუკიდებელ ტიპად ჩამოყალიბდნენ. ზოგიერთი მკვლევარი მსგავს ტაძრებს „გარშემოსავლიან დარბაზულ ეკლესიებსაც“ უწოდებს.²

ქასური წმ. გიორგის ეკლესია „სამეკლესიოანი ბაზილიკის“ ხანგრძლივი განვითარების იმ ეტაპის ძეგლია, როცა გვერდითა, ჩრდილო და სამხრეთ ეკლესიებს კამარებიანი სტოების (შესასვლელების) ხასიათი აქვთ მიღებული. ცენტრალურ ეკლესიაში ერთი შესასვლელის ნაცვლად კეთდება ორი შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ამავე პერიოდში ჩრდილო ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიყოფა ცალკე ოთახი, რომელსაც ცენტრალური ეკლესიის სამკვეთლოს დანიშნულება აქვს. ერთი სიტყვით, სამეკლესიოანი ბაზილიკის განვითარების ამ ეტაპზე (VI ს.) გვერდითა, ჩრდილო და სამხრეთი ეკლესიების მთავარ, ცენტრალური ეკლესიისათვის დამატებით შემოსასვლელის, სტოას ფუნქციას ასრულებენ, ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამოუკიდებელი, ცალკე ეკლესიები.³ გ. ჩუბინაშვილმა საგურამოს ქასური წმ. გიორგის უახლოეს პარალელურად კახეთის ძეგლები – კონდამიანისა და რუისპირის სამეკლესიოანი ბაზილიკები მიიჩნია, რომლებიც VI საუკუნით თარიღდებიან. მართლაც, ქასური წმ. გიორგის მსგავსად ამ ეკლესიებს

სამხრეთის ნაგებში აღმოსავლეთით სარკმელები არ გააჩნიათ. ქასურის მსგავსად კონდამიანის ჩრდილო ნაგებში აღმოსავლეთ ნაწილში სამკვეთლო გამოყოფილი, რომელსაც ქასურისაგან განსხვავებით, შესასვლელი იმავე ნავიდან აქვს. ჩრდილოეთის კედელი აქ გაფორმებულია კვადრატული გეგმის ბურჯზე გადაყვანილი ორი თაღით, რომლიდანაც აღმოსავლეთის თაღი პირდაპირ ეყრდნობა სამკვეთლოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს და ქასურის მსგავსად კედლის წყობაში შედის.

ქასური წმ. გიორგის მსგავსად სამკვეთლოს ცალკე გამოყოფა დამახასიათებელია VI-VII საუკუნეების კახეთის ზუროთმოდღვრებისათვის (რუისპირისა და კონდამიანის სამეკლესიოანი ბაზილიკები, ზეგანის ყველაწმინდა). ამავე პერიოდის კახეთის ზუროთმოდღვრებისათვისაა დამახასიათებელი ქასურის მსგავსი განიერი პილასტრები (წმ. სტეფანეს ეკლესია იყალთოში, რუისპირი). VI-VII საუკუნეების საქართველოს ყველა სამეკლესიოანი ბაზილიკისათვისაა დამახასიათებელი შესასვლელების განიერი თაღებით გაფორმება, სადაც თაღების საბრჯენად ზოგან კვადრატული გეგმის ბურჯებს იყენებენ, ზოგან კი ქასურის მსგავს მასიურ სვეტებს. ასეთი ძეგლები გვხვდება როგორც ქართლში, ისე კახეთში. ქასური წმ. გიორგი ამ მხრივ ახლოს დგას ქართლის ძეგლებთან (ქვემო ბოლნისი, ვანათი). სამშენებლო მასალითა და მშენებლობის ტექნიკით (ქვის სუფთად გათლილი მოზრდილი კვადრების სწორი რიგები) ქასური აგრეთვე ქართლის ძეგლებთან ავლენს მსგავსებას (მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი).

ამგვარად, ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარე ქასური წმ. გიორგის ეკლესია არქიტექტურული ფორმებითა და პროპორციებით კახეთის ძეგლებთან დგას ახლოს, სამშენებლო მასალითა და მშენებლობის ტექნიკით კი ქართლის ზუროთმოდღვრებასთან. მონუმენტული პარალელებითა და წერილობითი წყაროებით ქასური წმ. გიორგი VI საუკუნის ძეგლია.

¹ Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетиний, გვ. 213.

² Р. Мефисашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии-Шиды Картли, Тб., 1975, გვ. 30; Чубинашвили Н.Г. Шашианские Самеба, Доклад на VI-м международном симпозиуме по Грузинскому искусству, Тб., 1983, გვ. 7-9.

³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 63.

§12. ფოთოლეთის ეკლესია

რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის აუცილებელი არქეოლოგიური გათხრები ფოთოლეთის ეკლესიის შენობის ნანგრევებში 2007-2008 წლებში ჩატარდა. გათხრებს 2007 წელს ხელმძღვანელობდა რ. დავლიანიძე, 2008 წელს კი ამ სტრიქონების ავტორი.

შემოწმდა მიწითა და ნანგრევებით დაფარული ნაგებობის შემორჩენილი კედლები და საძირკვლები. გამოვლენილ იქნა თავდაპირველი ნაგებობის გეგმა და ზოგიერთი არქიტექტურული დეტალი. დადგინდა ძეგლის სამშენებლო დონეები, დაზუსტდა ძეგლის თავდაპირველი სახით აღდგენისათვის საჭირო საკითხები.

ეკლესიის ჩრდილო გარშემოსავლელში (სამკვთლოს დასავლეთით, კედლის ძირში) 2008 წლის გათხრებმა გამოავლინა აკლდამა, რომელსაც დულაბზე ამოყვანილი ქვის კედლები აქვს. აკლდამის სახურავ ქვის ფილაზე შერეული, ნუსხური და მხედრული ნაკაწრი წარწერებია. სხვადასხვა პერიოდის წარწერები ჯერჯერობით შესწავლის პროცესშია. აგრეთვე გამოვლინდა სამშენებლო (კრამიტები, მათ შორის ირმების რელიეფური გამოსახულებებით), სამეურნეო (ქვევრები, თიხის მილები) და სამხარეულო კერამიკა. დასავლეთის გარშემოსავლელში ქვევრებთან აღმოჩენილი თიხის მილები ფრგმენტები გვაფიქრებინებენ, რომ ყურძნის დაწურული წვენი ამ მილებით ქვევრებში ჩაედინებოდა.¹

ფოთოლეთის ეკლესიის შენობაში არქეოლოგიური გათხრები 1939 წელსაც ჩატარდა სიძველეთა კომიტეტის მიერ. გათხრებს ხელმძღვანელობდნენ რ. მეფისაშვილი და ზ. მაისურაძე. სწორედ მაშინ გამოვლინდა X საუკუნით დათარიღებული შესანიშნავი კანკელი² და კარნიზის დეკორატიული მორთულობისათვის განკუთვნილი

სამკუთხედის ფორმის ბოლოების მქონე კრამიტები, რომელთა ჩაღრმავებულ სამკუთხედებში მოქცეულია ერთმანეთის პირისპირ მდგომი ირმების რელიეფური გამოსახულებები.¹

თავისი მდებარეობითა და ხუროთმოძღვრული იერით ფოთოლეთის ეკლესია მიჩნეულია გრიგოლ ხანძთელის მოწაფის – ქრისტეფორეს მიერ IX საუკუნის 40-იან წლებში დაარსებულ კვირიკეწმიდის მონასტრად.² როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, ქრისტეფორე გრიგოლ ხანძთელის უახლოესი მოწაფე იყო და მხარში ედგა თავის მოძღვარს მისი საქმიანობის პირველივე დღეებიდან. VIII საუკუნის მიწურულს იგი თევდორესა და საბასთან ერთად, თან ახლდა გრიგოლს კლარჯეთში მოგზაურობისას.³ შემდგომში ქრისტეფორე ქართლში, სამცხის მოსახლვრე მხარეში, აარსებს კვირიკეწმიდის მონასტერს.⁴

ფოთოლეთის მონასტერი მდებარეობს ბორჯომის რაიონში, ახალდაბის სამხრეთით 5 კილომეტრის მანძილზე, მთის ოდნავ გაგაკებულ ფერდზე, ფოთოლეთად წოდებულ ტყეში. სამონასტრო ნაგებობებიდან ზედაპირულად მხოლოდ „სამეკლესიოანი“ ბაზილიკის ნანგრევია შემორჩენილი. ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით, რომლებიც მხოლოდ პირის მხრიდანაა მოსწორებული, პილასტრებისა და ღიობთა წირთხლებისათვის დიდი ზომის წესიერად გათლილი ქვებია ნახმარი. რიგების ჰორიზონტალობა ალაგ-ალაგაა დაცული.

ეკლესიის შუა, ძირითადი სივრცე ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ერთიანი სამხრეთი გარშემოსავლეთითაა

¹ რ. ზვისტანი, ფოთოლეთის წმ. კვირიკეს ეკლესიის შენობაში 2008 წლის ივნისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, გვ. 4.

² P. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 53-54.

¹ დ. ხოშტარია, კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხისათვის, მაცნე-ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1985, №1, გვ. 78, სქოლიო 28.

² დ. ხოშტარია, კვირიკეწმიდის მდებარეობის..., გვ. 82.

³ Г. Мерчул, Жизнь св. Григория Ханзийского, Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра, с дневником поездки в Шавиш и Кларджию, С-Петербург, 1911, გვ. 3.

⁴ Г. Мерчул, Жизнь..., გვ. ლვ.

გარშემორტყმული. ჩრდილო ფრთის აღმოსავლეთ ნაწილში კედლით გამოყოფილია ცალკე სათავსო – სამკვეთლო. სამეკლესიანი ბაზილიკის შუა, ცენტრალური ეკლესია სამხრეთ და დასავლეთ გარშემოსავლეთან ორი კართაა დაკავშირებული. თითო კართაა აგრეთვე დაკავშირებული ჩრდილო და ცენტრალურ ნაგებთან სამკვეთლოც.

შუა ნავის გაგრძელებაზე გარშემოსავლელის დასავლეთი ნაწილი ორი თალითაა გამოყოფილი, რომლებიც წარმოადგენდნენ გარშემოსავლელის გრძივი და განივი მონაკვეთების კამარათა საზღვრებს. მათი საშუალებით ტაძრის დასავლეთი ნაწილი გამოცალკევებულია და იგი ნართექსის ფუნქციას იძენს, საიდანაც შეიძლება ცენტრალურ, აგრეთვე გვერდითა ეკლესიებში შესვლა.

ცენტრალური ნავი აღმოსავლეთ მხარეზე ღრმა საკურთხევლის აბსიდიტაა დაბოლოებული. ნავს ორ თანაბარ მონაკვეთად ყოფს სადა მოყვანილობის ცალსაფეხურიანი პილასტრების წყვილი. პილასტრებს ეყრდნობოდა საბრჯენი თალები, რომლებიც ახლა სახურავიანადაა ჩამონგრეული. სამივე ნავის აფსიდაში სარკმელები შემორჩენილია (ტაბ. XX).

რელიეფიანი კრამიტების გარდა, რომლის ნიმუშები 1939 წლისა და 2008 წლის გათხრების შედეგად იქნა მოპოვებული, ეკლესიას სხვა შემკულობა არა აქვს. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის თავზე, რ. შმერლინგს აღწერილი აქვს ქვაზე ამოკვეთილი მარტივი ფორმის ორქანობიანი თავსართი, რომელიც ამჟამად არ იკითხება. აღნიშნულ ავტორს ეს თავსართი უბისის ტაძრის სარკმლის ანალოგიური სამკაულის პარალელად მოჰყავს.¹ როგორც ცნობილია, უბე (ახლანდელი უბისი), „აფხაზთა“ მეფის დემეტრეს თხოვნითა და მატერიალური ხელშეწყობით თვით გრიგოლ ხანძთელმა დაარსა IX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს.²

¹ Р. Шмерлинг, К вопросу датировки храма Убиси. Сообщения АН ГССР, т. 6, №2, Тб., 1955, გვ. 127.

² Г. Мерчул, Жизнь..., გვ. კვ.

ფოთოლეთის სამეკლესიანი ბაზილიკის მხატვრული სახის შექმნაში დიდ როლს ასრულებს საშენი მასალა – მუქი მოყავისფრო-ვარდისფერი თხელი შრეებისაგან შემდგარი ქვის ჯიშში, რომლის გამოიღო ხელაპირზე პარალელური ხაზებით ლამაზი „ნახატებია“ შექმნილი.

ფოთოლეთის სამეკლესიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელია გარშემოსავლელის გამოყოფა თალების მეშვეობით, რაც ბორჯომის ხეობის IX საუკუნის შუახანების თითქმის ყველა ეკლესიას (ნემვი, ჩითახევი, ლიკანი) ახასიათებს. ბორჯომის ხეობის ამ პერიოდის ეკლესიებისათვის, ფოთოლეთის ეკლესიის მსგავსად, აგრეთვე დამახასიათებელია სისადავე, ლაკონურობა და სამკაულების ნაკლებობა. გარდამავალი ხანის საქართველოს ეკლესიებს საერთოდ ახასიათებთ უგუშბათო სიერცის მძლავრი პილასტრებითა და კედლის თალების მეშვეობით გაფორმება, შერეული მასალა (თლილი ქვა – პილასტრებისა და წირთხლებისათვის, უხეშად ნატეხი ქვა – შენობის ყველა დანარჩენი ნაწილისათვის) და სამკაულების უქონლობა, რისი მაგალითიც ფოთოლეთის სამეკლესიანი ბაზილიკაში გვაქვს. სწორედ ამ ხანის ძეგლები მოჰყავთ მკვლევარებს ფოთოლეთის ეკლესიის პარალელებად.¹

არქეოლოგიური მასალის, წერილობითი წყაროების ხუროთმოძღვრული ნიშნებისა და ჩამოთვლილ თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოთოლეთის სამეკლესიანი ბაზილიკა აგებულია IX საუკუნის I ნახევარში.

არქეოლოგიური მონაცემებით ფოთოლეთის ეკლესია XVI საუკუნის დასასრულს წყვეტს ფუნქციონირებას და უკაცრიელდება. ალბათ, ამ დროს მიეცა დავიწყებას ტაძრის ძველი სახელწოდებაც. როგორც ცნობილია, ძნელბედობის გამო, გვიან შუასაუკუნეებში ეს რეგიონი თითქმის მთლიანად იცლება. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, ბორჯომის ხეობაში 1595 წელს მხოლოდ 8 დაუცლელი სოფელია დარჩენილი 37 კომლით, სადაც მოსახლეობა 100-150 კაცს არ აღემატება.²

¹ დ. ხოშტარია, კვირიკეწმიდის მღებარეობის..., გვ. 85.

² დ. ხოშტარია, მითით. ლიტ. გვ. 82, სქელი 46.

დამატება

მდ. კოდორის ზემო წელის (დალის ხეობა) საძიებო- არქეოლოგიური ექსპედიციის 2007-2008 წლების მუშაობის შედეგები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაცემული არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობით 2007–2008 წლებში სოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმ. – რ. ხვისტანი) საძიებო სამუშაოები აწარმოა მდ. კოდორის ზემო წელზე, ისტორიულ დალში. 2007 წლის ივნისში ექსპედიციამ რეგიონში 12 დღე, ხოლო 2008 წლის აგვისტოში ერთი თვის ნაცვლად მხოლოდ 9 დღე იმუშავა, რადგან საომარი მოქმედებების გამო იძულებული გახდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას.

აღნიშნული რეგიონი, რომლის დასახლებული პუნქტები და ციხე-სიმაგრეები ანტიკური და შუასაუკუნეების მრავალ უცხოურ და ქართულ წყაროშია მოხსენიებული (ჰეკატე მილეტელი, ანასტასი აპოკრიასისი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, სვინაქსარი გიორგი მთაწმინდელისა და სხვ.), გაჯერებულია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა კვლევა დღემდე მცირე დაზვერვით სამუშაოებს (ი. ვორონოვი, შ. ჩართოლანი და სხვ.) არ გასცილებია. მხოლოდ მცირე დაზვერვითი სამუშაოების წარმოების საშუალებას (არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, მოსახლეობაში გაბნეულ, მიწის სამუშაოებისას სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის აღრიცხვა-ფიქსაცია და სხვ.) იძლეოდა სოხუმის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მწირი ბიუჯეტიც.

სოფელ ომარიშალში, მთა შიყერის ძირში, მდ. გვანდრის მარცხენა მხარეზე, ჰამლეტ ქოჩიანის ეზოში, ექსპედიციამ გამოავლინა მეცნიერთათვის მანამდე უცნობი ციკლოპური (მეგალითური)

ნაგებობის ნაშთი (31X11მ.), რომლის კედლები მშრალად, უღულაბოდა ნაგები უხეშად დამუშავებული ლოდებით. სამწუხაროდ, ექსპედიციამ ვერ მოასწრო მდ. გვანდრის სათავეების შემოწმება, სადაც, ადგილობრივების გადმოცემით, ანალოგიური ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი. აღსანიშნავია, რომ ამავე რეგიონში, კერძოდ, სოფელ საკენში, გრანდიოზული ციკლოპური ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ციკლოპური სიმაგრეები და ნამოსახლარები, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში და სხვაგან. ციკლოპური მშენებლობა არც საქართველოსთვის იყო უცხო. ამ ტიპის ნაგებობებით განსაკუთრებით თრიალეთია მდიდარი, სადაც ამგვარი სიმაგრეებისა და საცხოვრებელი კომპლექსების ნაშთებია შემორჩენილი. მსგავსი ციკლოპური ნაგებობები, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულიდან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით იგებოდა.

ომარიშალის ციკლოპური ნაგებობის ნაშთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მომავალი კვლევის საგანია. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ამ ძეგლის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე. აღნიშნულ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე ნივთიერი მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყუანვრელიანი ქვის საბრძოლო ცული, რომელსაც ფართოდ მომრგვალებული ყუა და ტანის ზედა ნაწილში დატანილი მრგვალი სატარე ზვრელი აქვს. სწორი ტანი პირისკენ თანდათან ფართოვდება და სამკუთხა ფორმას იძენს (სიგრძე – 9 სმ., სიფართე ყუის მხარეზე – 3,5 სმ., სიფართე პირის მხარეზე – 5 სმ., სატარე ნახვრეტის დიამეტრი – 2X2 სმ, მანძილი სატარე ნახვრეტის კიდიდან გვერდამდე – 1 სმ.). ტექნოლოგიურად როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ხეხვით ძალიან მაღალ ღონეზე შესრულებულ, ხის სახელურის ხანგრძლივი დაგების შედეგად გაპრიალებულ, მრგვალ სატარე ზვრელში ზრახნილებური ნაწიბურები შეინიშნება. ზედაპირნაპრიალები ცული მკვერივი ქანის ქვისაგანაა დამზადებული.

ცულის ყუა, პირი და სატარე ხერელის უკანა მხარის გარეპირი დაზიანებულია (ტაბ. XXI, 1).

აფხაზეთის ტერიტორიაზე ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები აღმოჩენილია გუმისთის ნამოსახლარზე, ლ. სოლოვიოვის მიერ გათხრილ №4 ყორღანში¹; ფსოუში, ახალ ათონში,² ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე და ფიჩორის №6 გუძუბაზე.³

ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გვხვდება დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარებზე (ერგეტა, ანაკლია I, განმუხური),⁴ ისპანში, საელიაოს კურზიას ადრებრინჯაოს ხანის ფენებში, საკირე გორაზე, ჭოლიპაში,⁵ ნოსირის ნამოსახლარის პირველ კულტურულ ფენაში⁶ და ოდიშის ნეოლითურ სადგომზე.⁷

ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გამოვლენილია საჩხერეში (სოფ. ქორეთი, კარახტინის მინდორი, ცარცის გორა), შიდა

¹ Бжанин В. Результаты Гумистинского населения в 1964 г. КСИА, №116, М., 1969. ст. 58; Воронов Ю.В. В мире архитектурных памятников Абхазии, М. 1978, ст. 30, таб. X. Соловьев Л. Новый памятник Воронцовской пещеры, ТАИЯЛИ, т. XXIX, Сухуми, 1959. ст. 53.

² Воронов Ю., Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979, ст. 10, кар. 17.

³ ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990, გვ. 39, ტაბ. XV.

⁴ Куфтин Б., Материалы археологии Колхиды, т. I I, ТБ., 1950. ტაბ. 64; პაპუაშვილი რ. პაპუაშვილი ნ., კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, ერგეტა, თბ., 2005. ტაბ. XXIX; გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982. გვ. 39-40.

⁵ კახიძე ი., აჭარის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის მასალები, გაზ.: აჭარა, 21. V.1992 გრიგოლია გ. ფხაკაძე გ. ბარამიძე მ. ლორთქიფანიძე გ., დასავლეთ საქართველოს სამიეო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მსკა, ტ. V, თბ., 1973. გვ. 21, 92. მურვანიძე ბ., რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, კრ.: გურია, III, თბ., 1975. გვ. 37

⁶ გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული..., გვ. 103.

⁷ ნებიერიძე ლ., დასავლეთ საქართველოს ნეოლითი, თბ., 1975. გვ. 55, ტაბ. XXXIV.

ქართლში (სოფ. თერგვანი, ოჟორა), სოფელ რუსთავში, ბორჯომის რაიონში¹ და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში შემავალ ძეგლებზე.²

ყუახვერელიანი ქვის საბრძოლო ცულები გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპაში,³ სომხეთში (კეტი, აისტეგენე, გნიშეკა, ენშიაძინი, პეზმაშენი, გინდლიჟა, შენგავითი),⁴ დასავლეთ ევროპაში (ფინეთი, შვედეთი, დანია, გერმანია, შვეიცარია, უნგრეთი, საქსო-ტიურინგია და სხვ.),⁵ ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში (ტროა II, თერმი I,

¹ კიკვიძე ი., ხიზანანთ გორას ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1977. გვ. 25. ორჯონიკიძე ა., სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983. გვ. 26, ტაბ. 34. ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961. გვ. 120; ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნოკულტურის ისტორიისათვის ძვ.წ. მესამე ათასწლეულში, თბ., 1998. გვ. 120; ჯაფარიძე ო. ავალიშვილი გ. წერეთელი ა., კახეთის (მარტყოფის) არქეოლოგიური ექსპედიციის 1980-1981 წლების მუშაობის ანგარიში, სსმაე, VIII, თბ., 1986. გვ. 40, ტაბ. VII; ჯაფარიძე ო., ლითონის წარმოების ადრეული საფეხურები საქართველოში, თბ., 1955, გვ. 119. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ყუახვერელიანი ქვის ცულების წარმომავლობის საკითხისათვის, პრეპრინტი, თბ., 1992, გვ. 4.

² ჯაფარიძე ო. ავალიშვილი გ. წერეთელი ა., კახეთის..., გვ. 75; ორჯონიკიძე ა., მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2004. გვ. 119.

³ Брюсов А., Об экспансии культур с Боевой Торорами в конце III тысячелетия до н.э. СА, №3, М.-Л. 1961, ст. 90; Брюсов А. Зимица М. Каменные сверлѣнные Боевые топоры на территории ССР, САИ, М., 1966, ст. 78; Городцов В., Культуры Бронзовой эпохи в средней России. Очерки исторического музея За 1914 г. М., 1916. ст. 15; Gumbultas M., Bronze age culture in Central and Eastern Europe. The heygne, 1965. გვ. 246.

⁴ Хандзян Э., Культура Армянского нагорья III тыс. до н.э., Ереван, 1967. ст. 106; таб. IX. Баибуртян Е., Новые находки каменного века в Армении, СА, №3, М. 1937, ст. 208; кар. 1; Петросян Л., Распокпи памятников Кети и Воскосакса (III-I тыч. до н.э.), Ереван, 1986. ст. 120.

⁵ Мончаит А., Археология западной Европы. Каменный век, М., 1973. ст. 283.

ალისარი, თეფე-გავრა)¹ და ჩრდილო კავკასიაში.²

მკვლევართა აზრით, საბრძოლო ქვის კულტურებში ყუახვრელიანი ქვის ცულების დამზადების ტრადიციას სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე ადრე, ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში, დასავლეთ ევროპაში ეყრება საფუძველი. შემდეგ იგი აქ არსებობას განაგრძობს ძვ. წ. III ათასწლეულსა და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში.³ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საბრძოლო ქვის კულტურებში ამ რიგის იარაღები ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე ჩნდება.⁴

ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიის ყუახვრელიანი ქვის ცულები ბრინჯაოს ხანის ევროპული ქვის კულტურის ხასიათს ატარებს. ანატოლიაში ამ ტიპის იარაღების ბალკანეთიდან, კერძოდ, დუნაის კულტურებიდან მოხვედრა ივარაუდება.⁵ მკვლევარები თვლიან, რომ დასავლეთ ანატოლიის პლატო ევროპულ და მესოპოტამიურ ცივილიზაციებს შორის ერთგვარი დამაკავშირებელი ხილია,⁶ თუმცა ტროა II, თერმი I და სხვა ძეგლების ქვის ყუახვრელიანი ცულების ფორმები მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს.⁷

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ქვის ყუახვრელიანი ცულები ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს ჩნდება და ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება, თუმცა მათი ზოგიერთი

სახეობა თავს გვიანბრინჯაოს ხანაშიც (ძვ. წ. XV-XII სს.) იჩენს.¹ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყუახვრელიანი ქვის ცულები ფიჩორის ცენტრალური ბორცვიდან (V ფენა) მომდინარე აბსოლუტური თარიღებითა და ქვის ყუახვრელიანი ცულების თანმხლები პროტოკოლხური მასალებით (ძირზე ჭილოფისანაბეჭდიანი კერამიკა, ჰორიზონტალური და წყვილადყურიანი ქოთნები, ჭურჭლის სარტყელზე ნათითურფოსოებით გამოყვანილი რელიეფი, თხელკეციანი შავპრიალა კერამიკა და სხვ.) ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ მეოთხედში (დაახლოებით ძვ. წ. XXI-XVII სს) ჩნდება.²

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ცილინდრულნახვრეტიანი ქვის ცულებში ცხრა ტიპია გამოყოფილი: სამკუთხა, სოლისებური, ბარისებური, ჩაქუჩისებური, კვერთხისებური, ყუიანი, ჯვრისებური, ფილაქვისმაგვარი და რომბისებური.³ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ოთხი ტიპის ყუახვრელიანი ქვის (ცილინდრულნახვრეტიანი) ცულია გავრცელებული: ვიწროყუიანი და სოლისებურტანიანი, ტანისაგან გამოყოფილი ყუით, ფართოდმომრგვალებულყუიანი და რომბული.⁴

ქვის ცულების კულტურებში დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი სოლისებური და სამკუთხატანიანი ყუახვრელიანი ქვის ცულები ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და გავრცელებულ ფორმადაა მიჩნეული.⁵ სოლისებური და სამკუთხა ფორმის ყუახვრელიანი ქვის ცულები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში თითქმის სინქრონულ პერიოდში, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულსა და

¹ Чайлд Г., У истоков Европейской шивилизации, М., 1973, ст. 66.

² Крупнов Е., Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода, МИА, № 23, М.-А., 1951. ст. 29; Мунчаев Р., Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, МИА, № 100, М.1961 ст. 56; Марковин В., Культуры племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н.э.) МИА, №93, М., 1960). кар. 7.

³ ზვისტანი რ. ბრინჯაოს ხანის უახლესი აღმოჩენა კოდორის ხეობის ზემო წელზე, ჟურნ.: „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №4, თბ. 2008. გვ. 169.

⁴ Чайлд Г., У истоков..., ст. 72.

⁵ Монгайт А., Археология западной Европы..., ст. 291.

⁶ Чайлд Г., У истоков Европейской..., ст. 85.

⁷ Чайлд Г., У истоков Европейской..., გვ. 66.

¹ Мунчаев Р., Древнейшая культура..., ст. 56. Крупнов Е., Материалы..., ст. 28.

² ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007, გვ. 43.

³ Брюсов А., Зимина М., Каменные..., № 26.

⁴ ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის III-II ათასწ. გვ. 43

⁵ Брюсов А. Зимина, М. Каменные..., ст. 18.

ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ვრცელდება.¹ დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ყუახვრელიანი ქვის ცულები ვ. მარკოვინს ჩრდილო კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის განვითარების ქრონოლოგიური ცხრილის პირველ ეტაპზე (ძვ.წ. 2000-1700 წლები) აქვს მოთავსებული.²

მტკვარ-არაქსის (აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის) ადრეული ყორღანების კულტურებში ყუახვრელიანი ქვის ცულებმა, არსებული მოსაზრებით, ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან შემოაღწია.³ რეგიონალური სახელოსნოს, ქვის ცულების ფორმათა იდენტურობის, ზედაპირნაპრიალობის, მასალის, ქრონოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით კოლხეთის დაბლობში მაგარი ჯიშის ქვისაგან დამზადებულ ამ ტიპის იარაღების ჩრდილოეთ კავკასიიდან შესაძლო იმპორტირება, ხოლო შედარებით რბილი ჯიშის ქვისაგან დამზადებული ნიბუშების ადგილზევე მიბაძვით დამზადება ივარაუდება.⁴

ომარიშალის ყუახვრელიანი ქვის საბრძოლო ცული ფორმის მიხედვით (ფართოდმომრგვალებული ყუა, სოლისებური სამკუთხა ფორმა, მრგვალი სატარე ხვრელი) ძალიან უახლოვდება დასავლეთ საქართველოს დაბლობისა და მთისწინა ნამოსახლარებზე (ისპანი, საკირე გორა, გუმიხთა, ჭოლი პა, ანაკლია II) გამოვლენილ ყუახვრელიანი ქვის საბრძოლო ცულებს, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით (დაახლოებით ძვ.წ. XIX-XVII საუკუნეები) თარიღდებიან.⁵ აღნიშნული ანალოგიების მიხედვით ომარიშალის ქვის ყუახვრელიანი საბრძოლო ცული ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი მეოთხედით შეიძლება განისაზღვროს.⁶

¹ Крушинов Е., Материалы..., ст. 27. Мунчаев Р. Древнейшая культура. . . ст. 56.

² Марковин В., Культуры..., ст. 45.

³ ჯაფარიძე ო. ავალიშვილი გ. წერეთელი ა. კახეთის..., გვ. 40.

⁴ ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II..., გვ. 42.

⁵ მურვანიძე ბ., რამდენიმე ექსპონატი..., გვ. 37.

⁶ ხვისტანი რ. ბრინჯაოს ხანის..., გვ. 170.

მიუხედავად იმისა, რომ ომარიშალის ყუახვრელიანი ქვის საბრძოლო ცული შემთხვევითაა აღმოჩენილი და უშუალოდ არქეოლოგიური გათხრების პროცესში არაა გამოვლენილი, ჩვენი აზრით, ის არ უნდა მოვწყვიტოთ მოცემულ გარემოს, რადგან იგი კონკრეტული კულტურული პუნქტის გარკვეული დროის ქვის ინდუსტრიის (საბრძოლო კულტურის) მკაფიოდ მეტყველი არტეფაქტია.

ომარიშალის ციკლოპური ნაგებობის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილ კერამიკული ნაწარმიდან (ადრეანტიკური კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი თავთავისებური და ტალღისებური ორნამენტებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები). ყურადღებას იპყრობს დერგის თუ ქოთნის გვერდების ფრაგმენტები, რომლებიც ე.წ. „პირამიდისებურ“ ორნამენტით არიან შემკული. ჭურჭლის ქარსნარევი, აგურისფერკეციან ფრაგმენტებზე ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღარებით შექმნილ სამკუთხედში პარალელურად განლაგებული ფოსოებია დატანილი, ხოლო სამკუთხედის წვერზე კი მოზრდილი ფოსოიანი კოპია დაძერწილი (ტაბ. XXI, 2).

მსგავსი ორნამენტი დამახასიათებელია შუაბრინჯაოს მიწურულისა და ადრებრინჯაოს საწყისი პერიოდის კოლხური კერამიკისათვის. იგი მრავლადაა დადასტურებული ნოსირის ბორცვის II ფენაში, გულეიკარსა და ანაკლიაში.¹

ამავე ძეგლის ტერიტორიაზე შემთხვევითაა აღმოჩენილი მსხვილ ნადირზე სანადირო პირდიდი, ფრთამაღალი ისრისპირი (ტაბ. XXII, 4) და წელში გამოყვანილი, სამუშაო პირისაკენ თანდათან გაფართოებული ვიწროტანიანი რკინის თოხი, რომლის ვიწრო სამუშაო პირი მოხერხებულია ბელტების დასამტვრევად და ფესვების ამოსაძირკვად (ტაბ. XXII, 3). მრგვალი სატარე ხვრელის დიამეტრი წინა მხრიდან უკანა ნაწილისაკენ ოდნავ დაქანებულია, ისე, რომ ხის ტარი სატარე ხვრელში მჭიდროდ ჩამჯდარიყო და არ ამოვარდნილიყო. თოხის მთლიანი სიგრძეა – 20სმ, ტანის სიგრძე – 13სმ, სიფართო პირთან – 9სმ, სიფართო შუა ნაწილში – 4,5სმ, სიფართო

¹ გოგაძე ე., კოლხეთის..., ტაბ. 38, 44.

ზედა ნაწილში – 4სმ. თოხის პირი შიდა მხრისაკენ დაფერდებულია, რათა უფრო მოხერხებული ყოფილიყო მიწის სამუშაოების წარმოებისას. მსგავსი რკინის თოხები აღმოჩენილია IV-VII საუკუნეების სამაროვნებზე (ლარის სამაროვნის №5 და №3 სამარხებში, აპუშთას სამაროვნის №5 სამარხში),¹ და ათარის (ოჩამჩირის რაიონი) სამაროვნის №1 და №4 სამარხებში.²

ამავე ძეგლზე ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ზომისა და ფორმის გრანიტის ბრტყელი ქვები, რომლებზეც 20-25 სმ დიამეტრის მქონე მრგვალი ფოსოებია ხელოვნურად ამოკვეთილი, რომელთა სიღრმე 20-30 სანტიმეტრია. მათ შესაძლოა ხელსაფქვავად (მარცვლეულის სანაყი) ან ხის ბოძის საყრდენ-სამაგრად იყენებდნენ. ანალოგიური ქვები ექსპედიციამ სოფელ საკენში, ადგილ „ნალზიგ-ვარში“-ც დააფიქსირა.

ციკლოპური (მეგალითური) ნაგებობის (სიმაგრის) მეორე ნაშთი მდებარეობს სოფელ საკენის აღმოსავლეთ მხარეზე, საკენის ტბის სამხრეთით, მთების – ღვალვასა (ჩრდილოეთი) და დარჩვს (სამხრეთი) შორის მდებარე ქვაბულის შემადგენაზე. ძეგლს უნიკალური კონსტრუქცია აქვს: ლოდებით მშრალად ნაწყობი, 3-4 მ. სიფართის მქონე კედელი, რომლის შემორჩენილი სიმაღლე ზოგან 2,5 მ-ს აღწევს, რკალივით შემოუყვება დაახლოებით ორიათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიას (განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი ჩრდილო მხარის გალავანი). გალავნის შიგნით, ძეგლის ცენტრში, შემადგენაზე, მცირე მოცულობის კვადრატული ნაგებობის ნაშთია, საიდანაც თავდაღმართზე სხივებივით იშლება ქვაყრილების (კედლების?) ზოლები. ძეგლი ვიზუალურად აღწერილი აქვს ი. ვორონოვს. იგი ძეგლს ციკლოპურ ციხედ მიიჩნევს, მის შუაგულში შემორჩენილ ოთხკუთხა ნაგებობას კი სამსხვერპლოდ. აღნიშნული

¹ Воронов Ю. Древности Азантской долины, ТБ., 1982. ст. 65-66, кар. 23, 24.

² Гунба М., Новые памятники Цевелдинской культуры, ТБ., 1978 ст. 60.

ავტორის ვარაუდით ძეგლი ბარიდან ალპურ საძოვრებზე გადაადგილებისას საქონლის თავშესაფრადაა შუასაუკუნეებში აშენებული.¹ საქონლის თავშესაფრად ამხელა გრანიტოზული ნაგებობის აშენება, როგორც ი. ვორონოვი ვარაუდობს, არადამაჯერებელია, თუმცა ძეგლის ამგვარი დანიშნულებით გამოყენება, მოგვიანებით, მისი ძირითადი დანიშნულების დაკარგვის შემდგომ, შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, ეგრისი უძველესი დროიდან უკავშირდებოდა ჩრდილო კავკასიას სამთო გზა-გადასასვლელით. ერთი ასეთი გზა მდ. ოქუმისწყალის სათავეებიდანაც გადიოდა. იგი მიუყვებოდა ბუნებრივად დაცულ წყალგამყოფ ქედებს – დაღალძისს, აფშარას და ხოჯალს, აქედან მთა დარჩვისა და შემდეგ მდ. კოდორის ზემო წელის გავლით კლუხორის უღელტეხილით (კარებით) ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა (იხ. სიტუაციური რუკა) ოქუმისწყალის ზემო წელზე მრავლადაა შემორჩენილი ადრეული ხანის ციხე-სიმაგრეების ნაშთები (ჩხორთოლი, ლუშურიში), რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზებს აკონტროლებდნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ გზებით გადაჰყავთ დღესაც საქონელი ალპურ საძოვრებზე.² ეს გზა, თავის დროზე, ალბათ დაკავშირებული იქნებოდა „დარინის გზასთან“, დიდ სავაჭრო მაგისტრალთან, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს აკავშირებდა.³

საკენის ციკლოპური ციხე, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა უკავია, კეტავს იმ ქვაბულს და ერთადერთ გზას, რომელიც ეგრისის დაბლობიდან ფანავის ქედის მთა დარჩვის გადმოლახვის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში გადადის (იხ. სიტუაციური რუკა). გამორიცხული არ არის, რომ საკენის ციკლოპური ციხის სახით

¹ Воронов Ю., В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978, ст. 158.

² რ. ზვისტანი, ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციისათვის, ჟ. „ძეგლის მეგობარი, №70, თბ., 1985, გვ. 28.

³ ანასტასი აპოკრისიასი, გეორგია, IV, ს. ყუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1952.. გვ. 237.

საქმე გვეკონდეს ჰეკატე მილეტელის (ძვ.წ. V ს.) მიერ მოხსენიებულ კორაქსების კედელთან თუ ციხესთან (აღნიშნული ავტორის ცნობით, კორაქსები აფხაზეთის მთიანეთში მოსახლეობდნენ). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კორაქსები დ. მუსხელიშვილს კოდორის ხეობის ზემო წელზე ჰყავს ლოკალიზებული.¹

ეს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი ამჟამად სოჭის ასწლოვანი ხეებითა და ეკალ-ბარდებითაა დაფარული და სათანადო გაწმენდამდე მისი სრული აღქმა ჭირს. ექსპედიციას განზრახული ჰქონდა მისი გაწმენდა, ტოპოგადაღება და სადაზვერვო თხრილების გაღება, რისი საშუალებაც, ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, არ მოგვეცა.

სოფელ საკენში, მდ. საკენის მარჯვენა მხარეზე, მთა შიყერის ძირში, ზაურ აფრასიძის სახლს ზემოთ შუასაუკუნეების ნაეკლესიარზე მცირე ზომის (6X4) დარბაზული ეკლესიაა აშენებული. აღდგენამდე ძეგლი აღწერილი აქვს ი. ვორონოვს.² სოფელში მეორე აღდგენილი დარბაზული ეკლესიაა, რომელიც აგრეთვე აღდგენამდე აქვს აღწერილი ი. ვორონოვს,³ იგი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, ზღვის დონიდან 1600 მეტრზე.

ამავე სოფელში, ადგილ „ლამურყვამ“-ში შემორჩენილია ტყით დაფარულ ნაგებობის ნანგრევები. კედლები ქვისაა, კირის დულაბზე, ვიზუალური დაკვირვებით ციხე-სიმაგრის ნაშთი უნდა იყოს. ადგილობრივების გადმოცემით მიწის სამუშაოებისას აქ ხშირად პოულობენ თიხის ჭურჭლისა და რკინის ნივთების ფრაგმენტებს.

რეგიონში ორი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეა, რომელთაც ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, მათი მოვალეობა იყო სამთო-გადასასვლელების ჩაკეტვა-გამაგრება. ერთ-ერთი მათგანი, ბიზანტიური წყაროების – ჩახარის,

მდებარეობს სოფელ ჩხალთაში მდინარეების – ჩხალთისა და კოდორის შესართავთან, მარჯვენა სანაპიროზე, გზისპირას აღმართულ თვალწარმტაც კონცხზე, ბუნებრივად შემადლებულ და ხელოვნურად თავმოკვეთილ კლდის თავზე. კლდის ზედა ბაქანი ზრამზე ამოზრდილ კედლებითაა გარშემორტყმული, რომლის შემორჩენილი სიმაღლე ზოგან 10 მეტრს აღწევს. მოედანზე რამდენიმე ნაგებობის ნაშთი ჩანს; გზისპირა ჩრდილო კოშკის ადგილზე ბოლო წლებში პატარა ეკლესია აუშენებიათ, რომელსაც სამხრეთის კედლის გასწვრივ განლაგებული რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი ემიჯნება. მოპირდაპირე მხარეს შირიმის ქვით შემოსილ ოთხკუთხა ნაგებობის (შესადლოა ეკლესიის) ნაშთი ჩანს. ქვედა იარუსის კედლებით დასავლეთისა და ჩრდილოეთის ეზოებია შემოზღუდული, სადაც რამდენიმე ნაგებობის ნაშთი და ჭიშკრის ფრაგმენტები შეინიშნება. ციხის კედლები უხეშად დამუშავებულ ქვის (გაბრო) კვადრებითაა ნაგები კირის მაგარ ხსნარზე.

ციხე-სიმაგრე გაიგივებულია ბიზანტიური წყაროების „ჩახართან“.¹ როგორც აგათია სქოლასტიკოსი მოგვითხრობს, 555 წელს ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებული მისიმიანები ჩახარის (ჩხალის) ციხეში გამაგრებულან, რომელიც ძველთაგანვე „რკინის ციხედ“ ყოფილა ცნობილი.² ციხე-სიმაგრის ნაშთები აღწერილი აქვს ი. ვორონოვს, რომელიც ზედაპირულად აკრეფილი მასალის (თიხის სამეურნეო და სამხარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები) მიხედვით ძეგლის შემორჩენილი კედლების აშენების დროდ IX-X საუკუნეებს მიიჩნევს და იქვე აღნიშნავს, რომ აქ უფრო გვიანდელი ეპოქების კედლების ნაშთებიც გამოიყოფა.³ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე 1939 წელს აღმოჩენილია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) ოქროს მონეტა.⁴ ძეგლის

¹ მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980. გვ. 15, 16, 17, 19.

² Воронов Ю. В мире архитек..., № 157-158.

³ იქვე.

¹ მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული..., გვ. 12.

² აგათია სქოლასტიკოსი, მისიმიელთა აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ 555 წელს, გეორგიკა, III, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1936. გვ. 86.

³ Воронов Ю. В мире архитектурных..., ст. 157.

⁴ Воронов Ю. Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969. ст. 69.

